ეროვნული ბიბლიოთეკა



# შრომა

№ 1 იანვარი 1953

# ახალი წელი

კრემლის საათის ზარის წკრიალით,
როგორც ჭაბუკი მშვიდობის მცველი,
მოვიდა წელი ნაპერწკლიანი,
ჩვენი სამშობლოს ახალი წელი.
ზღვასა და ხმელეთს ფრთა ჰკრა ფრთამალმა,
გრძნობით დაკოცნა უმალ მთა-ბარი,
ყველგან შეაღო კარი თამამად,
ადამიანთა ძმობით გამთბარი.
ამღერდა ქვეყნის შემომქმედ ხალხთან,
თვით შემომქმედად ფეხზე დამდგარი.
ყველგან ცხოვრების ძალ-ღონედ დახვდა
ძველი წლის დიდი ნაამაგარი.
ეამა და თქვა, ქვეყნის კაშკაშით,
მიწის კაშკაშით აღტაცებულმა:
ბუჩქს ხედ ვაქცევო, ამ ქვეყანაში
შრომა დიდების წყაროდ ქცეულა.
და დატრიალდა წელი ახალი,
დღეების დიდი ჯარის პატრონი,
აგერ ხარაჩო შეკრა მაღალი,
იქ აამღერა ექსკავატორი;
ხელი შეახო ცხოველმყოფელი
ნერგებს, ველების საფრად დარგულებს,
მდინარეებზე მკვიდრად მოფენილ
ხარაჩოებში მჯდომ ელსადგურებს...
ყმაწვილკაცურად დაუცხრომელი
სად არ მოქმედებს, სად არ გუგუნებს!
ჩვენი ოცნებით, ჩვენი ცხოვრებით
ერთვის დიდ სხივად დიდ საუკუნეს.

გიორგი კაჭახიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდით!

# დროშა

№ 1 (18)

იანვარი 1953 წ.

ყოველთვიური
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
სალიტერატურო-
სამხატვრო
ჟურნალი

გამომცემლობა „კომუნისტი"




# ერთი მრავალთაგანი

1952 წლის 31 დეკემბერი. საღამოს 5 საათი და 30 წუთია. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატი ილია ჭუმბურიძე ამხანაგებთან ერთად გამოდის ქარხნის ეზოდან.

დამთავრდა სამუშაო დღე. დამთავრდა სამუშაო წელიც. სახლში მისვლამდე ილია მაღაზიებში აპირებს შევლას. ნაძვის ხის სათამაშოები უნდა მიუტანოს თავის პატარა გოგონას, ბევრი სხვაცა აქვს საყიდელი. ან კი როგორ არ იყიდოს: ილია, როგორც სტახანოველი მუშა, 1962 წლის ანგარიშში მუშაობს! მის დაზგაზე ერთ წელიწადში მრავალმა სამუშაო წელმა ჩაირბინა, და დღეს იგი თითქოს რამდენიმე ახალ წელს უნდა შეხვდეს ერთად.



მით უფრო სასიხარულოა ახალი წელი, როდესაც მას ახალ, მშვენიერ ბინაში ხვდები. საბჭოს ქუჩაზე ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის მუშა - მოსამსახურეთათვის ახლახან აშენდა სამსართულიანი სახლი.

ილია ჭუმბურიძესთან ერთად ამ სახლში ბინა მიიღო მრავალდაზგოსანმა ზეინკალმა სიკო ზარიძემაც. ერთი საამქროს მუშები ამ სახლშიც მეზობლად ცხოვრობენ.

სულ 5 წუთის დაწყებული იყო ახალი წელი, როდესაც ილიას სტუმრად ეწვია სიკო ზარიძე; მიულოცეს და უფრო მეტი და მეტი წარმატებები უსურვეს ერთმანეთს. დაილია სადღეგრძელოები, გამოითქვა სურვილები, სუფრის პატარა წევრებთან ერთად მხიარულებას მიეცა სტახანოველი მუშის ბედნიერი ოჯახი...



1953 წლის 2 იანვარს კი, დილით, ილია ჭუმბურიძემ მექანიკური განყოფილების საზეინკლო საამქროს ოსტატ შ. ზაალიშვილისაგან სამუშაო განაკვეთი მიიღო და 1963 წლის ანგარიშში შეუდგა მუშაობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

# ლენინის უკვდავება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ნაფროშვილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეცხრამეტე ყრილობის ტრიბუნიდან, მრავალ სხვა მისალმებათა შორის, წაკითხულ იქნა ლუის კარლოს პრესტესის მისასალმებელი დეპეშა. ბრაზილიელი კომუნისტების მამაცმა წინამძღოლმა ამ მისალმებით ერთგულების დიადი და წმინდა ფიცით შეჰფიცა ლენინისა და სტალინის დროშას.

პრესტესი თავისი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ დღედ იმ დღესა სთვლის, როცა მას ლენინის წიგნი პირველად ჩაუვარდა ხელში; ხოლო სახელგანთქმული პოეტი და რომანისტი ჟორჟი ამადუ აღნიშნავს, რომ ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე არა მარტო პრესტესისათვის, არამედ მთელი ბრაზილიის ხალხისათვის, ორმოცდაათი მილიონი დაჩაგრული ბრაზილიელისათვის, რომელთაც ამიერიდან ისწავლეს, როგორ უნდა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

პრესტესის სახელი თავზარსა სცემს ბრაზილიელ რეაქციონერებსა და მათს ბატონებს—უოლ-სტრიტის მაგნატებს. რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში გაკრულია განცხადებები, რომლებშიაც ბნელეთის მოციქულები ერთ მილიონ კრუსეიროს ჰპირდებიან მას, ვინც პრესტესს მოკლავს, ან ცოცხალს ხელთ ჩაიგდებს. მას გაცოფებით დაეძებენ არა მარტო ბრაზილიელი ფაშისტები, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე გამოცდილი და გაქნილი მზვერავებიც. მისი ძებნისას ალყას არტყამენ ქალაქების ქუჩებს, პოლიციის მეძებრებს ფეხდაფეხ მისდევენ მეტყვიამფრქვევეთა ოცეულები, თითქოს ბინების გასაჩხრეკად კი არა, ფორტებზე საიერიშოდ მიდიანო. მაინც მუდამ ამაოა მათი ცდები — პრესტესი არსად არა ჩანს, ვერ უპოვნიათ. იმავე დროს პრესტესი ჩანს ყველგან — ეს პრესტესია, ძილს რომ უფრთხობს არა მარტო რიო-დე-ჟანეიროს მარიონეტულ მინისტრებს, არამედ ვაშინგტონელ ბატონებსაც; ეს პრესტესის გამარჯვება იყო, რომ ამერიკელებმა ბრაზილიელი ჯარისკაცები ვერ გაგზავნეს კორეაში. პრესტესი ვერ უპოვნიათ, მაგრამ აგერ უცებ კუბას კომუნისტური გაზეთი აქვეყნებს მის ინტერვიუს; პრესტესი ამ ინტერვიუში ამბობს: „ჩვენ არასოდეს იარაღს არ აღვმართავთ სახელოვანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ჩვენი ქვეყნების გამცემლური მთავრობანი შეეცდებიან ჩაგვითრიონ ახალ ომში, ჩვენ გადავაქცევთ ამ ომს გამათავისუფლებელ ომად, დავამხობთ იმპერიალისტურ უღელს, დავამხობთ გამცემლურ მთავრობებს, რომლებიც კაპიტალისტური ლატიფუნდიებისა და მსხვილი იმპერიალისტური კონცერნების ინტერესებს იცავენ, დავამხობთ მათ და დავამკვიდრებთ დემოკრატიულ რეჟიმს. ეს არის ერთადერთი გამოსავალი ლათინური ამერიკის ყველა პატრიოტისა და პატიოსანი ადამიანისათვის“.

პრესტესის ხმას უსმენს ლათინური ამერიკის ყველა პატიოსანი ადამიანი. ამიტომ ეშინიათ პრესტესისა ამერიკელ მილიარდერებს. ისინი ცოფდებიან, ახალ-ახალ ჯაშუშებს უსევენ, მაგრამ მარცხს მარცხზე განიცდიან. რა ძალა აქვს პრესტესს? როგორ უმკლავდება ის რეაქციის ურდოების შემოტევას? მამაც კომუნისტს დიდი ლენინის სიბრძნე ეხმარება. ის იფარავს მას, ასწავლის როგორ მოერიოს თავის მტრებს; ის ამხნევებს პრესტესს, და განა მარტო მას? ყველა მებრძოლს, თავისუფლების დიადი არმიის ყველა ჯარისკაცს დედამიწის ხუთივე მატერიკზე, მთელ პლანეტაზე.

დიდი ჩინეთის ხალხის ბელადი მაო ძე-დუნი ამბობს:

„ჩვენ ვუმადლით მარქსს, ენგელსს, ლენინსა და სტალინს, რომელთაც იარაღი მოგვცეს. ეს იარაღი —ტყვიამფრქვევები როდია, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის ჩვენი საუკეთესო მასწავლებელი“.

ამ დიდი მასწავლებლის გამოცდილების საფუძველზე, მისი სიბრძნის შეთვისებითა და შესწავლით მოიპოვა თავისუფლება ოთხასსამოცდათხუთმეტმა მილიონმა ჩინელმა; ამ მასწავლებლის გამოცდილებით შეიარაღებულნი იბრძვიან მამაცი კორეელები თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის; ამ გამოცდილების საფუძველზე აგებენ სოციალიზმს პოლონელები და ბულგარელები, რუმინელები და ჩეხოსლოვაკები, აღმოსავლეთ გერმანიის მკვიდრნი და მთიანი ალბანეთის მშრომელები, რომელნიც თავიანთ ქვეყანას შკიპერიას — „არწივების ქვეყანას“ ეძახიან. ამ გამოცდილების საფუძველზე შენდება სოციალიზმი შანდორ პეტეფის სამშობლოში; ამ გამოცდილებით შეიარაღებულნი იბრძვიან მთელი მსოფლიოს ხალხები; მათთვის მაგალითის მაჩვენებელი — დიდი საბჭოთა კავშირია, ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი პირველი სოციალისტური სახელმწიფო, მსოფლიოს ყველა მშრომელთა სამშობლო.

ჟორჟი ამადუ თავის შესანიშნავ წიგნში „ლუის კარლოს პრესტესი“ აღნიშნავს:

„საბჭოთა კავშირი, ჩემო მეგობარო, — ეს მთელი მსოფლიოს მშრომელების სამშობლოა, ეს არის მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სილამაზისა და თავისუფლების სამშობლო. ესაა სამშობლო ადამიანური სამართლიანობისა, ესაა პოეტების ოცნება, რომელიც მუშებმა და გლეხებმა ლამაზ სინამდვილედ აქციეს.

წინათ ამ თოვლით გადათეთრებულ, ნავთისაგან გაშავებულ, ოქროსფერი ქვავით დაფარულ სივრცეებზე ადამიანები დამონებულნი იყვნენ სოფლებშიც და ფაბრიკებშიც, ისინი პატიმრები იყვნენ უნივერსიტეტებშიც და ბიბლიოთეკებშიც. უბედური იყო ამ ხალხის ცხოვრება, ღიმილი არ ანათებდა ქალებისა და მშიერი ბავშვების სახეს; იმ გარდასულ დღეებში, ცარიზმის დროს, რუსეთის სივრცეებზე მეფობდა შიმშილი და ჩაგვრა. ზუზუნებდა მათრახი ადამიანების ზურგზე, ადამიანთა კვნესის ხმებს ახშობდა გრუხუნი ზარბაზნებისა, რომლებიდანაც ესროდნენ ხალხს მოედნებზე. ერთი მუჭა მდიდრებისათვის მუშაობდნენ მილიონები... ცაზე არ ჩანდნენ ვარსკვლავები, დღე იყო უმზეო, დილა—უსიხარულო. და იქაც, როგორც ბრაზილიის სოფლებში, ცრუმორწმუნე გლეხები ამბობდნენ: „რა ვქნათ, ჩვენი ბედი ასეთია, ღმერთმა ასე დაგვიწესაო“. ისინი თითით უჩვენებდნენ ცაზე და ამბობდნენ: „იქ დაწერილ ბედის წიგნს ვერავინ შეცვლისო“. მაგრამ ერთხელ გამოჩნდა კაცი და მან დაამტკიცა, — განაგრძობს ამადუ — რომ ბედი ადამიანებისა ზეცაში არ იწერება, რომ კანონები, რომლებიც განაგებენ ადამიანთა ცხოვრებას, რეალური კანონებია... ამ ადამიანის სახელია კარლ მარქსი. რუსეთის ღამის წყვდიადში გამოჩნდა მეორე ადამიანი და თქვა: ეს კანონები შექმნილია უმცირესობის მიერ უმრავლესობის წინააღმდეგ. იმ დღეს, როცა უმრავლესობა მოინდომებს, მას შეუძლია დაწეროს საკუთარი კანონები და თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახდეს. მაშინ გათავდება ეს წყვდიადისებური ღამე და ქვეყანაზე მზე ამოვაო. ამ ადამიანის სახელია ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი, მისი საბრძოლო სახელია ლენინი. ეს სახელი დაჰქროდა მთელ რუსეთში, როგორც გამაცოცხლებელი იმედის ქარიშხალი.

მეფის რუსეთი, ჩემო მეგობარო, იყო ქვეყანა დაჩაგრული ხალხისა, რომელიც შიმშილობდა იმ მიწაზე, სადაც უხვი ყანები იყო, რომელიც წყურვილით იტანჯებოდა იმ ქვეყანაში, სადაც წყალუხვი მდინარეებია, ჩაცმული იყო კონკებში საქსოვი დაზგების გვერდით, რომლებიც უშესანიშნავეს ქსოვილებს ამზადებდნენ. ასეთი იყო რუსეთი სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ...

მთელი ქვეყნის ბედი მშრომელების ხელშია, — ასე თქვა ლენინმა და მოუწოდა ყველა ადამიანს — მუშებსა და გლეხებს, პოეტებსა და მწერლებს, ექიმებსა და მასწავლებლებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, ყველა უბედურსა და დაჩაგრულს, ყველას, ვინც აღშფოთებული იყო უსამართლო წყობილებით,

## ლენინს

კალე ბობოხიძე

ხალხი ძლიერი შენს სახელს ფიცავს,
შენს ნათელ დროშას მკერდით დარაჯობს;
ბაღნარად აქცევს გადამწვარ მიწას
და ცამდე მართავს შრომის ხარაჩოს!

ძვირფასო ლენინ, ანდერძი გვახსოვს,
შენს თავს გვაგონებს სტალინი ბრძენი,
წინსვლის ნაბიჯში შენს სახელს აქსოვს
გამარჯვებული ქვეყანა ჩვენი!

ვგრძნობთ—კომუნიზმის დიადი დღენი
ახლოა, როცა შევხედავთ სტალინს,
იგი წინ გვიძღვის მომავლის რწმენით
და ჩვენს გულებში სინათლეს გზავნის.

როდესაც ჰიმნი გაისმის ლხენის,
როდესაც ვუსმენთ კრემლის კურანტებს,
მშობლიურ ხმაში შენა ხარ, ლენინ,
შენი სახელი ხალხს გზას უნათებს.

შენი სახელი სამშობლოს ჩვენსას
თავზე ევლება შენების დროსაც;
შენი სახელი ამხნევებს მთესავს,
შენი სახელი ამღერებს მგოსანს...

არის ჩაგრულთა თვალის ამხელი
შენი მოძღვრება გმირულ მიზნისა
და წინ მიგვიძღვის შენი სახელით
დიდი მედროშე კომუნიზმისა.

მოუწოდა გაენადგურებიათ ეს მახინჯი ბედი და დაემკვიდრებინათ ბედნიერება მიწაზე. მან მოუწოდა ყველას რევოლუციისაკენ, ჩაგრულთა განთავისუფლებისაკენ და მშრომელებმა საკუთარი სისხლით დასწერეს ახალი ბედი ადამიანებისათვის მიწაზე, მათ შექმნეს ბედნიერი, სასიხარულო, სიუხვითა და სიყვარულით სავსე ცხოვრება.

აი ასე, ჩემო მეგობარო, რუსეთი შიმშილისა და მონობის ქვეყნიდან იქცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად — სიუხვისა და თავისუფლების, სიხარულისა და სიყვარულის ქვეყანად.

ახლა საბჭოთა კავშირი — დაასკვნის ჟორჟი ამადუ — ეს არის ქვეყანა თავისუფალი ხალხებისა, ბედნიერი ადამიანებისა. იქ აღარ არიან აღარც მჩაგვრელნი და აღარც ჩაგრულნი. იქ არიან სრულუფლებიანი ადამიანები, ღირსეული ბატონ-პატრონები თავისი ცხოვრებისა; მოკლე ხანში ამ ადამიანებმაააშენეს ახალი ქვეყანა. კაპიტალისტებს სურთ წაშალონ გეოგრაფიულ რუკაზე ეს ქვეყანა, სადაც ადამიანები თვითონ ჰქმნიან თავიანთ ბედს, ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს მაგალითს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთათვის. მაგრამ მტრები ამას ვერასოდეს ვერ მოახერხებენ, იმიტომ, რომ საბჭოთა ხალხებმა, რომელთაც შექმნეს ბედნიერი ცხოვრება, იციან როგორ დაიცვან თავისი დიადი უფლებანი ამ ცხოვრებაზე. სიყვარული თავისუფლებისადმი ცოცხლობს მათ ფოლადის მკერდში, რომელიც გამოწრთობილია ახალი ქვეყნის მზის — სტალინის ფოლადისაგან“.

ფოლადის მკერდი, გამოწრთობილი ახალი ქვეყნის მზის — სტალინის ფოლადისაგან, — ჟორჟი ამადუს ამ სიტყვებში ახსნილია, თუ რატომ არის უძლეველი კომუნისტის გული.

ლენინ-სტალინის პარტიამ თავისი სახელოვანი ისტორიის მთელ მანძილზე დააგროვა უმდიდრესი გამოცდილება, შეჰქმნა დიადი ტრადიციები, რომლებსაც გატაცებით სწავლობენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, ლენინისა და სტალინის მთელი ცხოვრება და ბრძოლა — მათთვის ბრძნული სახელმძღვანელოა, დიადი სკოლაა, რომელიც ასწავლის მათ თავისუფლებისათვის ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას. ამ გამოცდილებაზე, ამ დიადი სკოლის მაგალითებზე იწრთობიან მოძმე კომუნისტური, დემოკრატიული და მუშურ-გლეხური პარტიები, რომლებსაც „ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება: და რომლებიც მუშაობას განაგრძობენ ბურჟუაზიული დრაკონული კანონების პირობებში. მათთვის, რა თქმა უნდა, უფრო ძნელია მუშაობა. მაგრამ მათთვის იმდენად ძნელი როდია მუშაობა, რამდენადაც ძნელი იყო ჩვენთვის, რუსეთის კომუნისტებისათვის, ცარიზმის პერიოდში, როცა ოდნავ წინსვლით მოძრაობა უმძიმეს დანაშაულად ცხადდებოდა. მაგრამ რუსეთის კომუნისტებმა გამძლეობა გამოიჩინეს, სიძნელეებს არ შეუშინდნენ და გამარჯვებას მიაღწიეს. ამასვე მიაღწევენ ეს პარტიებიც“. (ი. სტალინი).

ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილება, უჩვენებს რა მაგალითს ყველა მოძმე კომუნისტურ პარტიას, აძლევს შესაძლებლობას „გაიადვილონ თავიანთი მუშაობა“.

ლენინისა და სტალინის წიგნები — მოქმედების დიადი სახელმძღვანელოა ყველა მოწინავე მებრძოლისათვის მთელ პლანეტაზე, ყველასათვის, ვინც იღწვის თავისუფლების დასამკვიდრებლად, ამერიკული იმპერიალიზმის ბორკილების დასალეწად.

ლენინისა და სტალინის სახელი — არის დროშა, რომელსაც წინ მიჰყავს მთელი მსოფლიოს მშრომელები. ამ დროშით იბრძვის საფრანგეთის კომუნისტური პარტია, მორის ტორეზის პარტია, რომელიც რაზმავს ფრანგ ხალხს თავისუფლების მოსაპოვებლად. თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ხალხის შვილი“ მორის ტორეზი წერს: „ჩვენ რომ არ შეგვესწავლა ლენინი, როგორ უნდა დაგვეძლია სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომლებსაც ვაწყდებით სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე?“. ლენინის სახელი — გზის მანათობელი შუქურაა, მისი შუქი გზას უკაფავს იტალიის ორნახევარ მილიონ კომუნისტსა და კომკავშირელს, რომელნიც პალმირო ტოლიატის მეთაურობით იბრძვიან დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის; ეს შუქურა გზას უნათებს ბერძენ და ესპანელ კომუნისტებს, ვიეტნამის, მალაის და ფილიპინის მამაც მეომრებს, ყველას, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის; ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში, რომელიც წაკითხული იყო მეცხრამეტე ყრილობაზე, აღნიშნულია, რომ ლენინ-სტალინის დროშა — ვიეტნამის ხალხს მიაჩნია ახალი იმედების და სინათლის წყაროდ, რომელიც ნათლად უჩვენებს ვიეტნამის ხალხებს დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლის გზას.

ლენინი — მარად უკვდავი, მარად ცოცხალი გენიოსია, რომელიც დღეს რაზმავს ხალხებს მთელ პლანეტაზე და კომუნიზმისაკენ მიჰყავს ისინი. მსოფლიოს ხალხებს კარგად ახსოვთ მგზნებარე ანრი ბარბიუსის სიტყვები: „სიკვდილის შემდეგ ადამიანი ცოცხლობს მხოლოდ მიწაზე. ლენინი ცოცხლობს ყველგან, სადაც არიან რევოლუციონერები. არავისში ისე არ არის განხორციელებული ლენინის აზრები, როგორც სტალინში. სტალინი — ეს არის ლენინი დღეს“.

მთელმა მოწინავე კაცობრიობამ კარგად იცის, რომ სტალინი — ეს არის ლენინი დღეს.

და მთელი მოწინავე კაცობრიობის გულისთქმა გამოხატა „არწივების ქვეყნის“ — ალბანეთის ხალხის ბელადმა ენვერ ხოჯამ, როცა სთქვა:

„იმდენი ხნის სიცოცხლე ჩვენი ხალხისა და კაცობრიობის მხსნელს, გენიალურსა და საყვარელ ბელადს სტალინს, რამდენ ხანსაც დგანან ჩვენი ქვეყნის ყველაზე მაღალი მთები“.

შალვა ამისულაშვილი

# დღეს რომ ცოცხალი იყოს ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას რომ შეეძლოს შემოვლა
სამშობლოს ყველა კუთხისა,
სადაც დიადი სიცოცხლე
გადარჩენილა მწუხრისგან,
სადაც ყოველი მშრომელის
თვალთა სინათლე გიზგიზებს,
სადაც დიდი და პატარა
იჩქარის კომუნიზმისკენ,—
იგი ნახავდა თვალნათლივ,
იგი ნახავდა აშკარად,
ქარიშხლის შემდეგ სამშობლომ
მხარ-ბეჭი როგორ გაშალა!
როგორ მიგვიძღვის სტალინი—
სწორუპოვარი სარდალი,
მშვიდობის დიდი მედროშე,
სამშობლოს ფარ-მუზარადი,
როგორ ამდგარან ფერფლიდან
უშველებელი ქარხნები,
როგორ დაცხრა და მოშუშდა
ნატყვიარი და ნახმლევი,
როგორ აყვავდნენ მინდვრები—
დამწვარი, ნაპარტახალი,
როგორ შხუიან არხები,
არხები—ახალთახალი,
როგორ წასულან ცისაკენ
ხარაჩოები ვეება,
ან როგორ წამოქოჩრილან
უდაბნოები ტყეებად !..
მას რომ შეეძლოს შემოვლა
სამშობლოს ყველა კუთხისა,
სადაც დიადი სიცოცხლე
გადარჩენილა მწუხრისგან,
სადაც მშრომელთა დიდება
კიდით კიდემდე გადადის,
სადაც სტალინის სახელი
ქუხს და გუგუნებს მარადის,—
ო, როგორ გაიხარებდა
ის დიდზე დიდი გენია,
დღეს ვისი სიბრძნის ნათელიც
მთელ ხმელეთს გადასწვდენია!..
მაგრამ ჩვენ მაინც არა გვწამს
ქვეყნად ლენინის არყოფნა,
ლენინს ვუმადლით ყველაფერს,
სასწაულები რაც მოხდა!..
ოქტომბრის დროშის შრიალში
ჩვენ მისი სუნთქვა მოგვესმის,
მიტომაც არა გვჩვევია
უკან დახევა ბრძოლებში...
ცად სტალინური ეპოქის
მზე ამოსულა გიზგიზა...
ჰეი, რა ფართოდ გახსნილა
კარები კომუნიზმისა!..

# შავი ოქროს ქალაქი



**ე. მარიამიძე**

ფოტო ლ. თურქიასი

— ჭიათურა... ჭიათურა... მოემზადეთ, ამხანაგებო! — კარებში შემოსვლისთანავე დაიძახა ვაგონის გამყოლმა.

საათებს დავხედეთ, ღამის თორმეტი იყო. სასწრაფოდ ჩავიცვით პალტოები, ღილები შევიკარით, საყელოები ავიწიეთ. ვაგონშივე იგრძნობოდა, რომ გარეთ ციოდა. მეც და ჩვენი ფოტოკორესპონდენტიც რაღაც ჩუმსა და შინაგან სიხარულს განვიცდიდით. ორივენი პირველად ვიყავით ჭიათურაში. რამდენ ახალს ვნახავდით ამ მუშათა ქალაქში, რამდენ სახელოვან მემაღაროელსა და ინჟინერს გავიცნობდით. ყველაზე მეტად კი ის გვაღელვებდა, რომ ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილავდით დიდი სტალინის მოღვაწეობის ადგილებს.

რკინიგზელებს გამოვკითხეთ სასტუმროს ადგილმდებარეობა და სადგურის მოედანზე გავედით. მოედანზე არავინ არ იყო. ეძინა მარგანეცის ქალაქს, თითქოს ღამეც მარგანეცის ფერით შეღებილიყო. იმ წუთშივე ვიცანით ჭიათურის თეატრის შენობა, რომელიც აქამდე მხოლოდ სურათებზე გვქონდა ნანახი. თეატრის ფასადის თაღქვეშ აკაკის ქანდაკების სილუეტი მოჩანდა. თეატრის უკან, იქვე, მაღალი მთა იყო წამომართული, ზედ გაშენებული საცხოვრებელი სახლებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს თეატრის შენობა იმ მთიდან იყო გამოკვეთილი. სადღაც ახლოს რადიორეპროდუქტორი ეკიდა. მთელ მოედანზე ისმოდა გლინკას «ვალსფანტაზიის» ხმები...

სასტუმროსაკენ მიმავალ აღმართიდან ვცდილობდით თვალი გადაგვევლო გარემოსათვის. აი, როგორ წარმოვიდგინეთ ქალაქი, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა ღამე: მარცხნივ მოჩანს სიგრძეზე გაწოლილი ღრუბლები, მათ მიღმა ვარსკვლავები ციმციმებენ. ქვევით კი, ყვირილის ნაპირებზე, გაწოლილან გაჩირაღდნებული შენობები.

სასტუმროს მორიგემ ჩვენს პასპორტებში ბეჭედი დასვა და შიგ ჩააწერა — «ჭიათურა». იმ ქალაქის სახელი, რომელშიც უკვე ვცხოვრობდით, მაგრამ ჯერ არ გვენახა...

დილით, სასტუმროს აივნიდან თვალს ველარ ვაშორებდით ჩვენს წინ გადაშლილ ქალაქს. წუხანდელი «სიგრძეზე გაწოლილი ღრუბლები» სიგრძეზე გაწოლილი მთები აღმოჩნდა, ღრუბლების მიღმა მოციმციმე ვარსკვლავები კი — ელნათურები.

ჭიათურა, თავისი ადგილმდებარეობით, ოდნავ წააგავს თბილისს. ისიც მთებს შორის არის მოქცეული, — კალთებზე შეფენილი სახლებით. მარცხნივ — მთაზე დაკიდულ საჰაერო გზაზე უხმოდ მოსრიალებენ მარგანეცით დატვირთული ვაგონები. მარჯვნივ — მთის მწვერვალზე, ხარაჩოებში ჩასმული მაღალი შენობა მოჩანს. ეს მომავალი სადგურია საჰაერო-სამგზავრო მაგისტრალისა, რომელიც მაღაროელებს გზას შეუმოკლებს ქალაქამდე. საბჭოთა კავშირის არც ერთი სამრეწველო ქალაქი არ არის ისე მდიდარი საჰაერო გზებით, როგორც ჭიათურა. საჰაერო სამგზავრო მაგისტრალის გაყვანაც პირველი შემთხვევაა ჩვენს ქვეყანაში.

თვითეულ მაღაროთა სამმართველოსთან გაშენებულია პატარა ქალაქები. ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოსათვის ორი ასეთი კეთილმოწყობილი დასახლებული პუნქტი გაშენდა: «საფარი» და «საავარიო ქალაქი». ამ უკანასკნელს ასეთი სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ აქ ცხოვრობენ ზეინკლები, ინჟინერ-ტექნიკოსები, საჰაერო გზის ოსტატები, სარემონტო ბიუროს მუშები, ე. ი. ისინი, რომლებსაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ მარგანეცის დამუშავების საქმესთან, მაგრამ პასუხისმგებელნი არიან მარგანეცის დამუშავებისათვის გამოყენებული მექანიზმების ნორმალურად მუშაობისათვის.

ჭიათურელებს უყვართ თავიანთი ქალაქი. უყვართ მაღაროები და მემაღაროელები. ქუჩაში ხშირად ვეკითხებოდით გამვლელებს:

— ხომ არ იცით სად არის I სკოლა?

— მარგანეცის ტრესტის ქვევით.

— სად ცხოვრობს მასწავლებელი აპოლონ გოქსაძე?

— ტრესტთან!

— ხომ ვერ მიგვასწავლით ტოლსტოის ქუჩას?

— ტოლსტოის ქუჩას? ტრესტამდე პატარა შესახვევია მარცხნივ, და იქ გაუხვიეთ.

მარგანეცის ტრესტის შენობა საორიენტაციო ცენტრადა აქვთ მიჩნეული ჭიათურელებს. დაწესებულებათა სახელებიც დამახასიათებელია: კინოთეატრი «მაღაროელი», რედაქცია «ჭიათურის მაღაროელი» და სხვ.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა ვნახოთ სტალინის სახლ-მუზეუმი.

ტოლსტოის ქუჩა. ორსართულიანი კოხტა შენობა. მემორიალურ დაფაზე სწერია: «ამ სახლში 1905 წელს იმართებოდა ჭიათურის ბოლშევიკური კომიტეტის სხდომები ი. ბ. სტალინის მონაწილეობით».

სახლ-მუზეუმის დირექტორი ამხ. ლომიძე დაწვრილებით გვიხსნის ყველაფერს. ვკითხულობთ ჭიათურის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პროკლამაციათა ფოტოპირებს, გაზეთ «ისკრაში» და «პროლეტარში» გამოქვეყნებულ კორესპონდენციებს ჭიათურაში მომხდარი გაფიცვების შესახებ. ეს დოკუმენტები ლაღადებენ მაშინდელი ჭიათურის მუშათა მზარდ რევოლუციურ სულისკვეთებაზე.

მუზეუმის კედლებზე გამოკრულია 1905 წელში გადაღებული ფოტოდოკუმენტები: მაღაროში შესული, ტანისამოსდაფლეთილი მუშა ზარით ჰყრის მარგანეცს, მერე იგივე მარგანეცი ცხენებითა და ჯორებით გადააქვთ გლეხებს. მართლაც სამუზეუმო ფოტოებია. უნებურად თვალს ვავლებ ფოტოაპარატს, რომელიც ჩვენს ფოტოკორესპონდენტს გადაუკიდია მხარზე. ეს აპარატი ხვალ, მაღაროებში სულ სხვა კადრებს გადაიღებს...

— ახლა გიჩვენებთ იმ ოთახს, სადაც სხდომები ტარდებოდა! — რატომღაც ჩურჩულით გვეუბნება სახლ-მუზეუმის დირექტორი ამხ. ლომიძე, თითქოს რაღაც საიდუმლოს გვანდობდეს. ეს სახლი, სადაც ჭიათურის ბოლშევიკური კომიტეტის სხდომები იმართებოდა, რასაკვირველია, საიდუმლო ადგილს წარმოადგენდა ძველად, და თითქოს მუზეუმის დირექტორიც მაშინდელი რევოლუციონერის სიფრთხილეს განიცდიდა ამ წუთში...

დიდხანს ვათვალიერებდით მუზეუმის ოთახებს, გულისყურით ვკითხულობდით თვითეულ დოკუმენტს.

...მუზეუმის ეზოში ასეთ სურათს მოვკარით თვალი. ჭიშკართან პატარა ბიჭუნები შეგროვილიყვნენ და მაღლა იყურებოდნენ. ჩვენც უნებურად ავიხედეთ: მუზეუმის სახურავზე მტრედი შეფრენილიყო.

— შენია? — ვკითხეთ ერთ ბიჭუნას.

— არა, ამისია! — გვიპასუხა მან და თითი ამხანაგისკენ გაიშვირა.

— მერე რატომ არ უძახი მტრედს?

მტრედის პატრონმა შემოგვხედა და მოკლედ გვიპასუხა.

— იყოს!

ეს იყო ნამდვილი, დამაჯერებელი სურათი დღევანდელობისა: სტალინი, მშვიდობა და ბავშვები.

მეორე დღეს დილის 9 საათზე ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში შევედით. სამმართველოს დირექტორმა ამხ. შალვა პაქსაშვილმა ხელით გვანიშნა «დაბრძანდითო» — ტელეფონში ელაპარაკებოდა რომელიღაც უბანს. მერე



**გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციაში. სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე იხილავენ გაზეთის მორიგი ნომრის მაკეტს.**

ბოდიში მოგვიხადა «ცოტახნით მომითმინეთო» და იქვე მდგარ ახალგაზრდა მუშას, რომელთანაც ეტყობოდა დაწყებული საუბარი შეეწყვიტა, შეეკითხა:

— აბა, გისმენ, რა გნებავდა?!

— ინსტიტუტში გამოცდები დამეწყო, ამხანაგო დირექტორო, და გთხოვთ შვებულება მომცეთ.

— სად სწავლობ?

— ქუთაისში.

— კარგად სწავლობ? — ახალგაზრდამ, პასუხის ნაცვლად, მატრიკული გაუწოდა სამმართველოს დირექტორს.

— აბა ვნახოთ, — სთქვა შალვა პაქსაშვილმა, მატრიკული გადაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

— ფიზიკა — კარგი, ქიმია — კარგი, მხაზველობითი გეომეტრია — კარგი, მერე უცბად დახურა მატრიკული, თითქოს შეეშინდა ამ «კარგებს» ცუდი ნიშანი არ მოჰყვესო, და გაიღიმა: — რადგან სულ კარგები გქონია, მეც კარგ რეზოლუციას დავაწერ, მომეცი განცხადება.

ახალგაზრდა სტუდენტი ნასიამოვნები გავიდა კაბინეტიდან...

ამხ. პაქსაშვილთან ერთად დაწვრილებით შევისწავლეთ კედელზე გაკრული რუკა, რომელზედაც ლენინის სახელობის მაღაროთა განლაგება იყო გამოხაზული. იქვე შევადგინეთ ჩვენი მიწისქვეშა მარშრუტიც.

ჩვენ მივდიოდით ფართო და მაღალთაღიან გვირაბში, რომლის კედლები მოპირკეთებული და გამაგრებულია ბეტონის სქელი ფენით. მარცხენა მხარეს, ჭერთან, გვირაბს მთელ სიგრძეზე გასდევს «დღის სინათლის» ნათურები. ცოტა ხნის შემდეგ, მარცხნივ გაყვანილი შტრეკის სიღრმიდან, მანქანის ხმაური მოგვესმა. ეს შეკუმშულ ჰაერით მომუშავე მარგანეცის დამტვირთავი მანქანაა. მისი გიგანტური ნიჩაბი ელვის სისწრაფით იღებს მონგრეულ მარგანეცს და ტვირთავს ელმავალის შემადგენლობას. მანქანას მართავს სტახანოველი მუშა გალაქტიონ წიქვაძე. იგი გეგმას 170%-ით ასრულებს. გალაქტიონი ახალგაზრდა მუშაა. იგი არ მოსწრებია იმ დროს, როდესაც მარგანეცს ბარით ტვირთავდნენ. ეს კუსტარული მეთოდი მანქანამ შესცვალა. მარგანეცის წერაქვით მონგრევა კი შესცვალა...

ლენინის სახელობის მაღაროთა პირველი უბანი. საბჭოთა ჯენსვეტიან ელექტრობურღთან მუშაობს სტახანოველი მბურღავი გიორგი თოდაძე. მას 17 წლის გამოცდილება აქვს. ახლახან დაამთავრა ტექნიკური სწავლების კურსები და სტახანოვური სკოლა. გიორგი თოდაძე შრომის რაციონალიზატორია. სამუშაო ადგილების გულდასმით მომზადება, მანქანის მუშაობის მტკიცე ტექნიკური რეჟიმი და მისი წინასწარი გაზეთვა, შპურების მიზანშეწონილი განლაგება, თანაშემწესთან შეწყობილი მუშაობა, აი ის «წვრილმანები», რაც ზოგავს ძვირფას წამებს. «მე მტკიცედ შევითვისე უბრალო ჭეშმარიტება: თუ გსურს მოიგო საათები, დაზოგე წამები» — ამბობს გიორგი. ასეთი წესით მუშაობის შედეგად თოდაძემ ცვლაში დაწესებული გეგმა 236%-ით შეასრულა და 15,9%-ით შეამცირა მადნის მონგრევის ღირებულება. ყველა მბურღავი ცდილობს მიბაძოს თოდაძის მეთოდს. მათ შორის გამოირჩევა სტახანოველი ალექსანდრე პონომარენკო. იგი მეორე უბნის № 25 შტრეკში მუშაობს. (პონომარენკოთა მთელი ოჯახი ცხოვრობს ჭიათურაში: ალექსანდრეს ძმა, ბორისი — მბურღავის თანაშემწეა, მეორე ძმა, გრიგოლი — ზეინკალია, მესამე — თედორე — ელექტროშემდუღებელია, მათი და — სოფიკო მაღაროთა სამმართველოში მუშაობს).

როდესაც ალექსანდრე პონომარენკომ ბურღვა დაიწყო, გადმოინგრა ფუჭი ქანების ერთი ფენა და მოულოდნელად გამოჩნდა ხის დამპალი მორი.

— ძველი კონცესიონერების ნაშთია! — მაშინვე დააკმაყოფილა ჩვენი ცნობისმოყვარეობა უბნის უფროსმა, — მაღაროს გამაგრება სდომებიათ; ყველაზე მდიდარ და ადვილად მოსაპოვებელ ქანებს ეტანებოდნენ. არავითარი ორგანიზაცია არ ჰქონდათ მადნის ექსპლოატაციისა; სამაგიეროდ კარგად იცოდნენ ადამიანის ექსპლოატაცია. ცდილობდნენ გაემაგრებინათ მაღარო და... თავიანთი ფირმის ფინანსიური მდგომარეობა... — ცოტახნის დუმილის შემდეგ მან დაუმატა — საქართველოს მარგანეცის ხარჯზე. — მერე უბნის უფროსმა თავი მაღლა ასწია და ერთბაშად «შეუტია» ალექსანდრე პონომარენკოს.

— აბა, ჩართე მანქანა, ახალგაზრდებმა არ გაჯობონ!

ახალგაზრდები აქ მართლაც «საშიში» ხალხია. ჭიათურაში სამი საქარხნოსაფაბრიკო სკოლაა. ისინი მაღაროების სხვადასხვა უბნებისათვის ყოველწლიურად ამზადებენ ტექნიკურად განათლებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს, ამშენებლებს, სამთო სამუშაოების კვალიფიციურ კადრებს და სხვ.

ახალგაზრდებს არც «მოხუცები» ჩამოუვარდებიან. აი კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა სამმართველოს პირველი უბნის ამწმენდი მუშა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პლატონ სიმონის ძე ბოყოველი, რომელიც გეგმას 259%-ით ასრულებს. იგი დამსახურებულად ატარებს მთავრობის უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს. აი ტრიფონ ფოფხაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობის დელეგატი, რომელიც სამჯერ იქნა არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მე-3 უბნის უფროსი — ჩაჩანიძე, რომელმაც 13 დეკემბერს შეასრულა წლიური გეგმა. ამ ცოტა ხნის წინათ ამხ. ჩაჩანიძემ არხანგელსკის სამხედრო საზღვაო გაზეთის მკითხველთაგან მიიღო წერილი, რომელშიც ულოცავდნენ მოპოვებულ მიღწევებს და სთხოვდნენ საპასუხო წერილის გამოგზავნას.

არხანგელსკელი მეზღვაურების ეს წერილი განხილულ იქნა ლენინის სახელობის მაღაროთა მუშების მიტინგზე.

მაღაროდან გამოსვლისას ყურადღება მიიპყრო ხეობიდან ამოზიდულმა რვასართულიანმა შენობამ. ეს არის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა («ცეგაფი»). მარგანეცის მადნით დატვირთული საჰაერო ვაგონები მერვე სართულის «ღია კედელში» შედიან და მთელი რიგი ფიზიკური პროცესების შემდეგ უკვე გამდიდრებული და გაფხვიერებული მარგანეცი პირველი სართულის ბუნკერებში იყრება.

— როგორ ამდიდრებთ მარგანეცს? — შევეკითხეთ ფაბრიკის ერთ-ერთ ინჟინერს. მან მოკლედ გვიპასუხა.

— სიღარიბეს ვართმევთ და მდიდარი ხდება!

ეს «სიღარიბე» კი წარმოადგენს მარგანეცის მადანში შერეულ ფუჭ ქანებს, კარბონატების მინარევებს და სხვ.

ჭიათურის «მარგანეცტრესტის» თვითეული მუშაკი, მაღაროთა სამმართველოების თვითეული ინჟინერი და მუშა იბრძვიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი გადაჭარბებით შეასრულონ გეგმა.

ჭიათურიდან დაძრული მარგანეცით დატვირთული მატარებელთა შემადგენლობები მიჰქრიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისკენ; ზოგი მათგანი ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხნისკენ იღებს კურსს. რკინიგზის მაგისტრალს თან მიჰყვება მარგანეცის შავი ფერით შეღებილი ყვირილა.



**ჭიათურის მარგანტრესტის სახტუმროს შენობა.**

# საერთაშორისო სტალინური პრემიები მშვიდობისათვის მებრძოლებს





1952 წელს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის სტალინური პრემიის მინიჭება დაემთხვა ხალხთა მშვიდობის კონგრესის დამთავრებას. მშვიდობის სტალინური პრემიის ლაურეატების ამ ახალი ჯგუფის ბევრი წარმომადგენელი ჯერ კიდევ გუშინ ვენის კონგრესის ტრიბუნიდან ხალხებს მშვიდობისაკენ მოუწოდებდა. პრემიები მიენიჭა:

ი ვ ფ ა რ ჟ ს — მშვიდობის მომხრეთა საფრანგეთის ნაციონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

ს ა ი ფ უ დ ი ნ კ ი ტ ჩ ლ უ ს — სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარეს.

ე ლ ი ზ ა ბ რ ა ნ კ ო ს — ბრაზილიელ ქალთა ფედერაციის აქტიურ მოღვაწეს.

პ ო ლ რ ო ბ ს ო ნ ს — ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ცნობილ მომღერალს.

ი ო ჰ ა ნ ე ს ბ ე ხ ე რ ს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრესულ პოეტს.

ჯ ე ი მ ს ე ნ დ ი კ ო ტ ს — კანადელ მღვდელს, ხელოვნების მაგისტრს.

ი ლ ი ა ე რ ე ნ ბ უ რ გ ს — საბჭოთა მწერალს.











იოჰანეს ბეხერი

## საყოველთაო სიმღერა მშვიდობაზე

როს გაზაფხული ველებზე
გამოიხედავს ტყიდან,
ქვეყანას შესძრავს გუგუნი
ხალხის ძლიერი ხმისა:

— ძმებო და დებო! — ძახილი
გულებს სიამით არხევს, —
— მშვიდობა ქვეყნიერებას,
თავისუფლება — ხალხებს!

რა მშვენიერი დრო არი!
უძლური ყინვა ტირის...
ვინც გუშინ ხმას არ იღებდა,
ახლა ხმამაღლა ყვირის:

— დავსჯით და გავაცამტვერებთ
მათ, ვინც ომს თავზე გვახვევს!
მშვიდობა ქვეყნიერებას,
თავისუფლება—ხალხებს!

მწამს, ხალხო, შენი სიმღერა,
როგორც მომსკდარი ქარი,
მთებს დასძრავს, შეაზრიალებს
ზღვებს ღელვით, ბობოქარით.

თუ არ ვიქნებით ყოველთვის
ძლიერი, შემმართველი,
ქვეყნიერებას—დაღუპვა,
ხალხს კი მონობა ელის.

თქვენ, ვინაც ომი იგემეთ,
სასტიკი, არნახული,
ნებას ნუ მისცემთ, ბომბებით
დაცხრილონ გაზაფხული!

სუყველას გამოვაღვიძებთ,
ხმამაღლა გადავძახებთ:
მშვიდობა ქვეყნიერებას,
თავისუფლება—ხალხებს!

1950 წ.

## სუფრული

ქართულ სუფრასთან ვისხედით ერთად,
თასებში ჩქეფდა ღვინო ქართული...
თითქოს ვუმზერდით სამშობლოს ჩვენსას
მასზე მწუხარე ფიქრით გართულნი.

აგერ, გამოჩნდა მაინი შორით,
აყვავებული ფრანკონის მთებიც,
სტრალზუნდთან—ლურჯი ზღვა, მშვიდად მთრთოლი,
და წისქვილები ვეება ფრთებით.

ჩანდა, ყველანი უსაზღვროდ ვწუხდით,
მაგრამ ეს მაინც ვერ გვეთქვა ენით:
ო, მალე დადგეს ნანატრი წუთი,
განთავისუფლდეს სამშობლო ჩვენი.

ყველა ვნატრობდით მასთან შეხვედრას,
მასზე ოცნება გვართობდა ლხენით,
და ამ საღამომ ჩვენ მიგვახვედრა,
როგორ ბევრი რამ დავტოვეთ ჩვენ იქ.

თითქოს დუმილის კარი დახურეს —
სიმღერა გულებს შეენთო ალად...
ჭიქები ჭიქებს მივუჭახუნეთ
და ქართულ ღვინის დავლოცეთ ძალა.

ვაქეთ, ვადიდეთ ეს წმინდა მხარე,
რომლის სიტურფე გვხიბლავდა ყოველს.
გამოდევნილნი მას შევეფარეთ
და აქ ახალი სამშობლო ვპოვეთ.

ცის ვარსკვლავები თასებში ბრწყინავს,
დე სადღეგრძელოც ერთურთს მოებას:
იმ ხალხს დიდება, გვაუწყებს ვინაც
ბედნიერ დროის მოახლოებას.

1938 წ.

თარგმანი გერმანულიდან
ვახტანგ ბეჭუკელიხა

# ქორწილი ზღვის პირას

გიორგი შატბერაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ზ. ლეჟავა

ჩვენ ისევ ნარდს ვთამაშობდით. ვთამაშობდით უხალისოდ, მხოლოდ იმისათვის, რომ დრო გასულიყო...

დრო მართლაც შეუმჩნევლად გადიოდა, ტაატით მიიპარებოდა; საპატარძლო და მისი მაყრები კი არსად ჩანდნენ.

ღამდებოდა. მასპინძლები ღელავდნენ. დიახ, მათ უკვე ემჩნეოდათ შეშფოთება.

განსაკუთრებით ჩვენი უფროსი მასპინძელი, რკინიგზის სადგურის მეისრე გაბრო კახაბრიშვილი ღელავდა. მას აივნის მოაჯირთან მიედგა სკამი. კუშტად შეკრული წარბები მხოლოდ მაშინ თუ გაეხსნებოდა, როცა აივანზე ქუჩის მხრიდან მანქანის ხმაური და თვალისმომჭრელი შუქი შემოიჭრებოდა. ერთი წამით იგი ფეხზე წამოდგებოდა, მოაჯირს გადაეყრდნობოდა და გზას გახედავდა; მაგრამ როცა მანქანა თბილისის ან სართიჭალის მიმართულებით გაიქროლებდა, მხრებს აიჩეჩავდა, ხელს უნებურად ჩაიქნევდა და ისევე სკამზე ჩამოჯდებოდა.

უმცროსი მასპინძელი, ჩვენი მეგობარი ტიტე კახაბრიშვილი ცდილობდა თავი მხნედ დაეჭირა, აივანზე უზრუნველი ღიმილით დადიოდა, ხან ჩვენ გადმოგვხედავდა, ხან შეშფოთებულ მამას.

— მოვლენ, მამი, მოვლენ... აბა, რა საფიქრებელია!

მაგრამ ამაოდ...

გაბრო კახაბრიშვილის დაჯერება კიდევ შეიძლებოდა. მას შეიძლებოდა ეფიქრა, რომ გზაში მანქანის გაფუჭება ან სხვა რამ უმნიშვნელო მიზეზი იწვევდა სარძლოს დაგვიანებას, ჩვენ კი...

ჩვენ, ტიტეს „მაყრები", თანდათან ღრმად ვრწმუნდებოდით, რომ ქეთინო შეასრულებდა თავის გადაწყვეტილებას და არ მოვიდოდა.

თქვა და აასრულა, მორჩა და გათავდა!

უკვე საკმაოდ გვშიოდა. მეოთხე საათი გადიოდა, რაც თბილისიდან ვაზიანში ჩამოვედით და აბა რა ხეირს დაგვაყრიდა ნერვიულ მოლოდინში „დაჯისა" და „დაუბასეს" ძახილი. ისიც გაშლილი სუფრის გვერდით.

სუფრა კი საპატარძლოს მოსვლამდე სამართლიანი იმუნიტეტით სარგებლობდა.

მერე რა სუფრა იყო!

...ჩაკვერცხილი დედლები, ახლადდაკლული ღორის ხორცი, გვიანი შემოდგომის ქორფა მწვანილში ჩამჯდარი უზარმაზარი ღორის თავი... იმ ღორის თავი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან შევადარეთ ზღაპრულ დინოზავრსა თუ იხტიოზავრს! შეაჩვენოს ღმერთმა, რამხელა იყო!.. ჰო ...ნივრის წვენითა და ტყემლის საწებლით სავსე ქაშანურის პატარა ჯამები, აწ უკვე შემშრალი ხელადები.

ეს მხოლოდ დასაწყისისათვის...

ქვევით, ეზოში ჩაღველფილ ცეცხლზე რამდენიმე ქვაბი და ტაფა ბუტბუტებდა... ეჰ, ნუღარ გამახსენებთ.

ყველაზე დიდის მოთმინებით ნარდს ახალციხიდან ჩამოსული ახოვანი მოხუცი, პენსიონერი ყარამანი თამაშობდა.

თუმცა მოთმინება რა სახსენებელია, მისი ცოცხალი თვალები, გალაყლაყებული ლოყები და ლურჯმოწითალოდ ჩამუქებული ვეებერთელა ცხვირი უდავოდ ამტკიცებდნენ, რომ ჩვენს მოსვლამდე სახელდახელოდ, მაგრამ მადიანად ესადილა. ამ მხრივ იგი, რა თქმა უნდა, ჩვენს ბედში მყოფად არ ჩაითვლებოდა.

ყარამანი უხმოდ თამაშობდა, კამათელს ძალას არ ატანდა, დუშაშიც და დუ იაქეც თითქმის ყოველთვის თავის დროზე მოსდიოდა. ულვაშქვემოთ, მსუქან ტუჩებზე მომდგარი ღიმილის შეკავებას საჩვენებელი თითის გადასმით ცდილობდა, ჩააჩველებდა, სუფრასთან მოფუსფუსე ცოლს გადახედავდა და ბოხი ხმით იტყოდა:

— მომდის, ბატონებო, მომდის!

ყარამანის მეუღლე, შუახნის ტანსრული დედაკაცი, ახალგაზრდული თვალების ჟუჟუნით გაუღიმებდა ქმარს და მაცთურად ახითხითდებოდა.

— გწყალობს ბედი, ჩემო ყარამან, გწყალობს!

დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მართლაც მოსდიოდა თუ „მოჰყავდა", მაგრამ როცა ყარამანმა ბარემ მეორმოცედ ჩაიღიმა ულვაშებში და ტუჩებზე თუთუნის კვამლისაგან გაყვითლებული თითი გადაისვა, მე ფეხზე წამოვდექი, ოთახიდან ჭადრაკის ძველი დაფა გამოვიტანე და ჩემს ამხანაგებს გივის და შალვას დაცინვით გადავხედე.

— ყმაწვილებო, ჭადრაკის თამაშზე გადავიდეთ, იქნებ ამაში მაინც გაგვიღიმოს ბედმა...

— მართლაც ცოტა ადრე რომ მოგვეფიქრა, არ იქნებოდა ურიგო, ახლა კი, ჩემის აზრით, ჭადრაკზე გადასვლას სუფრაზე გადასვლა სჯობს, გავთავდი კაცი! — წამოიძახა გივიმ, ფართო აივანზე გრძლად გაშლილ სუფრას აჭარ-ჩაჭარა და ნერწყვის ყლაპვით დაუმატა:

— მე მგონია, თბილისში ჩასვლამდე არაფერი გვეღირსება... აქ, როგორც ვატყობ, ქორწილი კი არა, მალე...

ყარამანი აივნის მოაჯირს გადაეყრდნო, გადაიხედა, უმალვე ჩვესნკენ შემობრუნდა და იდუმალი ხმით გვითხრა.

— არ მომწონს ტიტეს საქციელი... სად გაგონილა, ქალი თავისი ფეხით მივიდეს საკუთარ ქორწილში?!

პენსიონერი უცებ დადუმდა და ჭიშკარს გახედა. ეზოში მამა-შვილი შემოვიდა. ტიტე წინ მოდიოდა. გაბრო რაღაცას ბურტყუნებდა; ეტყობოდა შვილს ტუქსავდა.

— აქ სულ სხვა ამბავია, — ჩურჩულითვე უპასუხა გივიმ მოხუცს, — ქეთინო საპატარძლო კი არა, თითქმის რძალია ამ ოჯახისა, დღეს პირველად ხომ არ უნდა შემოედგა ფეხი ამ ეზოში, მაგრამ...

— სსს... — ტუჩებზე თითის დადებით გააფრთხილა შალვამ საუბრის ეშხში შესული გივი.

კიბისთავზე ჯერ სასიძო გამოჩნდა, მერე სამამამთილო.

გივიმ ჩურჩულით დაწყებული ლაპარაკი ხმამაღლა, ღიმილით განაგრძო:

— მაგრამ მე ეს სრულიადაც არ მაწუხებს... დღეს თუ არ მოვიდა, ხვალ მოვა, ზეგ მოვა... მე კი, ვიცი, ქეიფს არც მაშინ მოვაკლდები და ეს ერთი ზედმეტი ვახშამიც შემრჩება!

ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა სასიძოს მეტს. მან კუშტად გადახედა ენაკვიმატ მეგობარს და ღრმა რწმენით წარმოთქვა:

— მოვლენ, მოვლენ!

— მოვლენ, მოვლენ! — უეცრად აფეთქდა მუდამ დინჯი და ზომიერი გაბრო კახაბრიშვილი, — რა თუთიყუშივით იმეორებ ამ სიტყვას... მიიწვიე ეს ხალხი სუფრაზე! ამხნის კაცი ვარ და არ გამიგონია, მოლოდინს და იმედს კაცი გაეძღოს!

წამოიძახა და შვილისათვის არც შეუხედავს, ისე ჩამოჯდა სუფრის თავში.

— მოვლენ და მოვიდნენ, ასეთი არც მოსვლა მინდა და... მობრძანდით!

უხმოდ შემოვუსხედით მაგიდას. შიმშილი თითქოს სადღაც გაჭქრა, უგუნებოდ, უმადოდ შევუდექით პურის ჭამას.

სუფრაზე პანაშვიდური სიჩუმე სუფევდა. არც თამადა, არც სადღეგრძელო...

„გაგიმარჯოთ" — იტყოდა შუბლშეკრული გაბრო და ჭიქას სულმოუთქმელად გამოსცლიდა.

„გაგიმარჯოთ" — ხმადაბლა ვდუდუნებდით ჩვენც და ერთმანეთს უხერხულად შევცქეროდით.

გივი ჩემს გვერდით იჯდა. ის ჩემსკენ გადმოიხარა და ჩურჩულით მითხრა:

„ახია, ახი.. ხომ ვუთხარით... ჩვენც გვაცდენს ეგ ჯიუტი მამლაყინწა და არც ქორწილი გამოსდის".

„მართლაც ახია"... გავიფიქრე მეც და სასიძოს გავხედე. ელექტრონის შუქი უფრო მეტად აფერმკრთალებდა მის გაქვავებულ სახეს.

ნუთუ ეს უნდა მოჰყოლოდა ტიტეს და ქეთინოს სიყვარულს... ნუთუ ასე ულაზათოდ უნდა დამთავრებულიყო მათი სიყვარულის ამბავი?

სიყვარულით კი, მათ მართლაც უყვარდათ ერთმანეთი. უყვარდათ სხვებისათვის გაუგებარი, თავისებური სიყვარულით.

ეს ორი ადამიანი ერთმანეთს არაფრით ჰგავდა, არც გარეგნობით, არც ხასიათით და მგონი, არც მისწრაფებით.

ტიტე ულამაზო, მაგრამ ეშხიანი, ტლანქი, მაგრამ ვაჟკაცური შესახედაობის, მოსული ჭაბუკი იყო. გრძელკანჭა, დიდფეხება... არც ჩვენ, მისი ამხანაგები, ვიყავით ქონდრისკაცები, მაგრამ ის რომ ჩვენში ჩადგებოდა, თავს ყოველთვის უხერხულად ვგრძნობდით, კისერი გვეღრიცებოდა.

ერთის შეხედვით ვერცკი წარმოიდგენდით თუ ასეთი კაცის გულში სიყვარულის ნაზი გრძნობა შეიპარებოდა. მაგრამ არა...

მას საოცრად უყვარდა თავისი პატარა ქეთინო. მაგრამ... ხანდახან მის მოუხეშავ, მაგრამ კეთილ გულს თითქოს ვიღაც მეორე დაეპატრონებოდა, საავდროდ გამზადებულ ღრუბელს დაამსგავსებდა.

— მე დღეს თეატრში არ წამოვალ... რაღაც ხასიათზე არა ვარ, სადმე ბაღში ჩამოვჯდები რამდენიმე წუთით.

ეს ნიშნავდა იმას, რომ თეატრში ჩვენც არ უნდა წავსულიყავით, მით უმეტეს ქეთინო.

ჩამოჯდებოდა (ე. ი. ჩამოვსხდებოდით!) ბაღ-

## ხევსურები სამგორში

ეჰ, რა ძალაა მათში ულევი,
მგონი რკინასაც დაკვნეტენ კბილით...
მთაში ბილიკებს დაჩვეულები,
პირველად აქაც მისდევდნენ ბილიკს.

ხალისი როგორ არ იგრძნოს კაცმა,
ხევსური ბიჭი უსტვენს შურთხივით.,.
მოხუც თორღვაის ერთხელ კვლავ დასცდა:
შვილიშვილებო, ხრამებს უფრთხილდით,

სინათლე მოჰყვა ზეცის კაბადონს,
ახალი სახლის განათდა ჭერი...
ხევსურს უყვარდა ჭრელი კაბა და
მინდორმაც კაბა ჩაიცვა ჭრელი.

ნოდარ ნარსია

ში და ღამის პირველ საათამდე გვტანჯავდა თავისი დაუსრულებელი დუმილით. მუდამ ვერცხლისწყალივით ცოცხალი და დაუდგრომელი ქეთინო ამ დროს ძალაუნებურად იზიარებდა საქმროს მოწყენას და სულ თვალებში შესცქეროდა უმიზეზოდ „ხასიათწამხდარ“ ტიტეს.

ტიტე ღამის პირველ საათზე წამოდგებოდა, გაიღიმებდა და ხმადაბლა იტყოდა: — კარგი საღამო იყო... ახლა დავიშალოთ.

რა იყო ეს? პატივმოყვარეობა, ჯიბრი, სიჯიუტე თუ ეჭვი?..

ჩვენ ვუთმობდით ბავშვობიდან თანშეზრდილ მეგობარს. ვუთმობდით განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ინსტიტუტი დაამთავრა, საგარეჯოს რაიონში სამუშაოდ წავიდა და ამის გამო ქეთინოს იშვიათად ხვდებოდა.

თბილისიდან ტიტეს წასვლის შემდეგ ქეთინოს ხშირად მოწყენილს ვხედავდით.

— ორი კვირაა წერილი არ მოუწერია, ისევ გამიწყრა... მეტი აღარ შემიძლია.

ჩვენ ვგრძნობდით, რომ ერთხელაც არის, ქეთინოს ნაზი გულიც დაიქუხებდა და შეყვარებულთა შორის შავი კატა გაირბენდა.

აი, ის დღეც დადგა.

გუშინ საღამოს, სრულიად მოულოდნელად, ჩემოდნით და ნავაჭრით დატვირთულმა, გაოფლიანებულმა ტიტემ თავი დაგვიკრა, ჩამოგვიქროლა, ერთად შეგვყარა და გამოგვიცხადა:

— ხვალ ხუთ საათზე ვაზიანში უნდა ჩამოხვიდეთ, ძმობა უნდა გამიწიოთ და ქეთინო ჩამომიყვანოთ... პატარა ქორწილს ვიხდი.

სახტად დავრჩით. სამგორის არხის გახსნაზე წასასვლელად ვემზადებოდით. ამ მოულოდნელმა წინადადებამ ძალზე ჩაგვაფიქრა.

— ეგ ქეთინომაც მითხრა, მაგრამ გადადება არ შემიძლია...

ვეჩიჩინეთ, ვეჩხუბეთ... ვუმტკიცებდით, რომ ხვალ მთელი საქართველოს დიდი დღესასწაულია, რომ ეს დღე მეორედ აღარ დადგება, რომ ვალდებული ვართ...

მაგრამ ტიტე იმ ხეზე გულქვა და უგრძნობი იყო, რომელმაც, ხალხური თქმით, ნახირის შებლავლებას ვერ გაუძლო და გახმა.

— რას ჰქვია, არ წამოვა?.. ვთქვა და, ჩემი ვერ გავიტანო?!

ახლა ქეთინოსთან მივირბინეთ ყველამ.

ქეთინო ცრემლმორეული ემუდარებოდა საქმროს, კვირა საღამოსთვის მაინც გადაედო ეს ახირებული ქორწილი, ხელებს იმტვრევდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, უხსნიდა, რომ პარტიულმა კომიტეტმა მას მთელი ფაბრიკის ახალგაზრდობის სამგორში ჩაყვანა დაავალა, მაგრამ ამაოდ.

ამ დროს ტიტე მწვანე ხავერდის ნაჭრით ჩეხოსლოვაკური თუ უნგრული ფეხსაცმლის უზარმაზარ დინგს იპრიალებდა და ზევით აუჭედავად, უდარდელი ღიმილით ამბობდა:

— მე ეგ არ ვიცი, ხვალ საღამოს ვაზიანში გელოდებით. სამგორში ორშაბათ-სამშაბათს ავიაროთ... ხარჯი გაწეულია, სტუმრები მოწვეულია, მოვრჩით

გვეგონა, ქეთინოს წინააღმდეგობა გატყდებოდა, მაგრამ მოვტყუვდით.

უცებ ეს პატარა, მუდამ მტრედივით მოღუღუნე გოგონა გააფთრებულ ძუ ვეფხვად გადაიქცა, თვალები აუცეცხლდა, აიქოჩრა, ტიტეს ზურგი შეაქცია და ფეხები აბაკუნა.

— არ წამოვალ, გესმის, არ წამოვალ! რატომ თავის დროზე არ გამაფრთხილე, რად მაყენებ უხერხულ მდგომარეობაში, რატომ გინდა შენი ჯიუტობით შემარცხვინო?!

ტიტემ ფეხსაცმელის წმენდას თავი მიანება, თავისი ნავაჭრით ხელახლა დაიტვირთა და პირქუშად გვითხრა:

— ხვალ საღამოს გელოდებით, არა და...

ჩვენ, მისმა მეგობრებმა კარგად ვიცოდით, რასაც ნიშნავდა ეს „არა და“...

ეს ნიშნავდა, თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივი დროით მაინც დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას ჩვენსა და გაჭირვეულებულ სასიძოს შორის.

ამიტომ მეორე დღეს სრულ ოთხ საათზე ქეთინოს მაინც გავუარეთ. ქეთინომ ცივი უარით გამოგვისტუმრა.

— სათამაშო ტიკინა ნუ ვეგონები... ვალდებულებას თავი რომ დავანებოთ, დედაჩემმა ხომ უნდა იცოდეს?.. ბოდიში მოიხადოს, ჭკუა ისწავლოს და მერე ვნახოთ!

აღარ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. მივდიოდით და ჩვენს აზრს ხმამაღლა გამოვთქვამდით.

— ნეტავ რამ შეაყვარა ეგ ხე... მაგ ანგელოზივით გოგონას?

— სიყვარულის ამბავს ჩვენ ვერ ავხსნით... მეტი გზა არა გვაქვს, ჩვენ მაინც უნდა წავიდეთ ვაზიანში, თორემ...

— საპატარძლო არ მიდის თავის ქორწილში და ჩვენ რა ეშმაკი გვინდა?

— უნდა წავიდეთ. ტიტე და ქეთინო მაინც შერიგდებიან, ჩვენ კი სამუდამოდ დავკარგავთ ამხანაგს! ბოლოს და ბოლოს, მამიდაც ვნახოთ და კვიციც გავხედნოთ: ამაღამ ტიტეს მწუხარება გავიზიაროთ, ხვალ დილით კი სამგორისკენ გავწიოთ!

ასეც მოვიქეცით, უპატარძლოდ მივადექით ვაზიანს.

ტიტე სადგურში დაგვხვდა. ქეთინო რომ ვერ დაინახა, არ შეჭაშნიკა, გამოგვკითხა, არ დაიჯერა, პირქუშად იმზირებოდა ვაგონის კიბისკენ. ეგონა, მეხუმრებიანო. როცა მატარებელი დაიძრა და მის ცხვირწინ უკანასკნელმა ვაგონმაც გაიქროლა, ჩვენსკენ მობრუნდა და გვანუგეშა:

— უფროსებს ნურაფერს ეტყვით... ვიცი, რომ აუცილებლად მოვა... ჩემს ნათქვამს წინ ვერ წაუვა. წავიდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



***

„ხარჯი გაწეულია“... გამახსენდა უცებ ტიტეს გუშინდელი მუქარა და სუფრას ღიმილით გავხედე.

აი, ის „ხარჯი“ ჩვენს წინ არის გაშლილი.

ღვინოს გაუჭრია. მოხუცებს თვალები უბრწყინავთ, გივი და შალვა უკვე სიმღერის ხასიათზე დამდგარან, ჯერჯერობით ჩუმი კრინით კრუტუნებენ. კმაყოფილი, მაძღარი ხვადი კატებივით, თან ტიტესკენ იყურებიან. გაუბედავად, თვალებით სთხოვენ, ბანი მოგვაშველეო.

— ასეა, ბატონებო, გულს ნუ გავიტეხთ, რა ვქნათ, ქალი შეუცნობელი ქმნილებაა! — საჩვენებელი თითის მაღლა აწევით აცხადებს ყარამანი, თან თავის მეუღლეს გასცქერის, — ქვეყანაზე ისეთი კაცი არ იქნება, რომ ქალის ბრჭყალი არ მოხვედროდეს; თუ ჩემი დედაკაცი ნებას მომცემს, ერთ საოცარ ამბავს მოგიყვებით, რომელიც მე სიჭაბუკის ჟამს გადამხდა! ყარამანის „დედაკაცმა“ ისევ მაცთური ღიმილით შემოკვაშუქა თვალები, ისევ ხითხითში ჩახვია სათქმელი.

— ყმაწვილებო, ერთი კითხეთ, რატომ თხოულობს ჩემგან ნებართვას... განა ეს პირველი იქნება?...

ყარამანმა ჯერ გაიღიმა, მერე ულვაშებზე გადისვა ხელი, ღვინო მოსვა.

— მეც მიყვარდა... უბრალო ბიჭი ვიყავი, ის კი ვაჭრის შვილი. ჩემი ერთადერთი ქონება ის იყო, რომ თარზე ვუკრავდი შესანიშნავად, მთელი ქალაქი მარჯვენას მიქებდა... რა ლექსებს არ ვუთხზავდი, რა სიმღერებს არ ვუგალობდი ჩემს სატრფოს. ისიც გრძნობდა და ღიმილით მამხნევებდა, მაგრამ...

ერთხელ ბედნიერი დილა გამითენდა, ქალის მამამ ყურადღების ღირსი გამხადა: თავისი ქალიშვილის დაბადების დღეს ვახშმად მიმიწვია, „თარი წამოიღეო“, იდუმალი ხმით ჩამჩურჩულა... გულისცემით შევაღე კარი. საუკეთესო საზოგადოება უჯდა მაგიდას. იმ ღამეს ჩემს თითებს არ მოუსვენია — ვუკრავდი, ვუკრავდი, ვმღეროდი გატაცებით...

მოხუცმა თხრობა შეწყვიტა, გაიღიმა. მერე თითქოს თავს შეუწყრაო, ხელი გაიქნია, ღვინო კვლავ მოსვა და განაგრძო:

— ტაშის გრიალი არ შეწყვეტილა, ბედნიერი ვიყავი... თავბრუდასხმული, ჩემი სიმღერის მეტი არაფერი მესმოდა, ჩემი სატრფოს დიდრონი, სევდიანი თვალების მეტს ვერაფერს ვხედავდი... მხოლოდ განთიადისას გავიგე, რომ სატრფოს ნიშნობაში ვიყავი ვერაგულად მიპატიჟებული... გავცოფდი. ქვითინი ამივარდა, თარი მუხლზე დავირტყი და დავამსხვრიე...

— რა ვერაგობაა! — წამოიძახა განცვიფრებით გივიმ.

— დიახ, დიახ! — სასწრაფოდ დაეთანხმა მოხუცი და რატომღაც გადაიხარხარა. — აი, რა გვინახავს ჩვენ... ისე რომ ნურაფერი გაგიკვირდებათ, ევამ კაცობრიობას ედემი დაკარგვინა!

— კი მაგრამ, დანარჩენი?.. გაოცებით შეეკითხა ყარამანს თავისი მეუღლე.

ყარამანი ხან ჩვენ შემოგვხედავდა მცდელი თვალებით, ხან თავის მეუღლეს უღიმოდა ეშმაკური, უცნაური ღიმილით.

— დანარჩენს თავის დროზე გიამბობთ, პატარა ამომასუნთქეთ!

გარეთ მანქანის ხმაური გაისმა.

ყველანი სულგანაბული ვუსმენდით, როგორ მიჰქროდა ეს ხმაური შორს, შორს, არ ვიცი, თბილისისკენ, სართიჭალისკენ თუ სამგორისკენ.

— არა, იმედი აღარ არის, შუაღამე გადავიდა...

ხმამაღლა წამოსცდა თავისი ფიქრი გაბრო კახაბრიშვილს.

დაგუბებული მოლხენის წყურვილი და ყელში მომდგარი ბოღმა დიდხანს ებრძოდა ერთმანეთს ამ უცნაურ მაგიდაზე. ბოლოს, როცა ყველა მოიქანცა, როცა შუაღამეც გადავიდა, საპატარძლო კი მაინც არსად ჩანდა, ყველამ ხელი ჩავიქნიეთ, სუფრიდან ავდექით და ძილინებისა ვუსურვეთ ერთიმეორეს

დაწოლის წინ უფროსმა მასპინძელმა გარეთ გამიხმო და დაბალი ხმით მითხრა:

— ნუ დამიმალავ, ყველაფერი მიამბე!

ყველაფერი ვუამბე. გულს სარქველი მოვხადე და შიგ არაფერი დამიტოვებია, ისე ამოვხაპე. გაბრო კახაბრიშვილი თავს გაჯავრებით აქნევდა და წამდაუწუმ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ვიცოდი, მივხვდი, რა დროს ეს ამბავი იყო. სულ მაგის ბრალია, მაგ კერპის ნატეხისა... მაშ ის გოგო უდანაშაულოა?...

— უდანაშაულო...

* * *

ვერ ვიტყვი, მეძინა თუ არა იმ ღამეს. ვერ ვიტყვი, მართლა მესმოდა თუ მეჩვენებოდა ტიტეს გაბმული ოხვრა მეზობელი ოთახიდან. ალბათ მართლა.

ახლად გათენებული იყო, გარეთ რომ გამოვედი.

„თუ ის ოხვრა სინანულისაა, კარგია, მოუხდება ამ მართლაც მამლაყინწას".

ვფიქრობდი მე და ისღა მაწუხებდა, თუ როგორ გავცლოდი ამ კარმიდამოს, როგორ წავსულიყავი სამგორისაკენ.

მეგონა ყველას დავასწარ ადგომა, მაგრამ მოვტყუვდი.

ჩვენს უფროს მასპინძელს ეზოში ცეცხლი დაენთო და ზედადგარზე თანგირა ქვაბი შემოედგა. ახალციხელი პენსიონერი და მისი მეუღლეც იქვე იდგნენ და დილის სუსხით შემზრალ ხელებს იფშვნეტდნენ. ყარამანი ხალისიანად ამბობდა:

— უჰ, რა დილაა, რა დილა, რა დღე დადგება, რომ იცოდეთ, რა დღე!

მართლაც მშვენიერი დილა იყო. მოწმენდილი, კრიალა. ამომავალი მზის სხივები შენობათა შეჭირხლულ სახურავებს აელვარებდნენ. წყნარი თბილი დღე იყო მოსალოდნელი, დღე ისეთი, როგორიც თბილისსა და მის მიდამოებში იცის გვიანი შემოდგომისას.

გაბრო და ყარამანი ტკბილად ჩურჩულებდნენ, ერთმანეთს უცინოდნენ. მაშინვე მივხვდი, რაღაც გადაეწყვიტათ, რაღაც შეთქმულებას ამზადებდნენ.

გაბრომ შემამჩნია, ღიმილით მომესალმა, ცეცხლთან მიმიყვანა.

— როგორ გეძინათ?

თავაზიანად შემეკითხა ყარამანი, ჩემს პასუხს აღარ მოუცადა, და იდუმალი ხმით მითხრა:

— კარგად მოქცეულხართ, რომ გაბროსათვის ყველაფერი გითქვამთ... ჩვენ, ბებრებმა რაღაც ეშმაკური მოვიფიქრეთ და ეს თუ უშველის წამხდარ საქმეს...

— რა გადაწყვიტეთ, მაინც?

— საქმე არც ისე ცუდად ყოფილა, როგორც მე მეგონა, ცუდად კი არა, სწორედ ისე ეწყობა, როგორც საჭიროა... მოემზადეთ, სამგორში მივდივართ ხოხობზე სანადიროდ, საცაა მანქანა გამოჩნდება, მაშ!

მივხვდი. ამაზე უკეთესს კაცი ვერ მოიფიქრებდა.

— მაგრამ ტიტე, ტიტე რას იტყვის?...

— სულ კინწისკვრით წავიყვან, მაგ, მაგ...

გაჯავრებით ბურტყუნებდა გაბრო და ცეცხლს შეშას უმარჯვებდა.

— ცოცხალი... ღორის მწვადები... ცივი დედლები... კაი ღვინო... პატარა ქორწილი პატარა ზღვის პირას...

ხელების ფშვნეტით ისროდა ყარამანი.

აივანზე ტიტე გამოჩნდა. მან გაუბედავად გადმოხედა ეზოში მოფუსფუსე მამას. გაბრომ ქვეშ-ქვეშ, ქუშად ახედა შვილს და წელში გაუმართავად ასძახა:

— გაალვიძე, ბიჭო, შენი მაყრები, დილის პური მზად გახლავს!—

ტიტე სიტყვის უთქმელად შებრუნდა, მაგრამ მამის ხელახალმა ძახილმა ისევ მოაბრუნა.

— აბა არაყი და პურმარილი ჩამოიტანეთ და ჩამოდით...

მალე ბიჭები ხმაურით და ხუმრობით ჩამოვიდნენ ეზოში. გივის ღორისთავი მოჰქონდა.

— აბა, ყმაწვილებო, საცაა მანქანა მოგვადგება, ჰიქას ხელი მოჰკიდეთ, აი ცოცხალიც დაგიმზადეთ!

— მანქანა?—გაკვირვებით იკითხა ტიტემ.

— ჰო, მანქანა... სამგორში უნდა წავიდეთ...

— იქ რა გვინდა? მე... მე... არ წამოვალ!

ყველა დუმდა.

მაყრები მადიანად ილუკმებოდნენ. მხოლოდ „სიძე" იცოხნებოდა უგემურად.

ეზოს მანქანამ მოაყვირა, გაბრო დაფაცურდა. ერთ კალათში ღორისთავი და სხვა ხორაგეული ჩააწყო, მეორეში ორი სალვინე ჩადგა, ირგვლივ პურები შემოუწყო და წელში გასწორდა.

— აბა, ბიჭებო, ამ კალათს ხელი მოჰკიდეთ... ამას კი მე წამოვიღებ, თქვენ სალვინეებს დამიმტვრევთ...

ყველა მზად ვიყავით, ტიტე კი ნაბიჯის გადადგმასაც არ აპირებდა. იდგა გადამწყვეტი წუთი. ყველა ვგრძნობდით, რომ გაბრო ჩაფეთქებდა და...

მაგრამ ყარამანმაც ალბათ იგრძნო, რომ მისი მოქნილი ენის ჩარევა თუ გამოასწორებდა საქმეს.

— ბიძია, აქამდის ჩვენ დაგიჯერეთ, ახლა კი შენ გვათხოვე ყური!— უცებ წამოიძახა მან, ტიტეს მიუახლოვდა, ყურში მკაცრი ღიმილით მოჰკიდა ხელი და ბოჩოლასავით წაიყვანა მანქანისაკენ.

* * *

მაგრამ განა ასე ადვილი იყო იმ ზღვა ხალხში იმ პაწაწინა გოგონას მოძებნა?

აღელვებულ ყანაში გადაგდებულ ქინძისთავს უფრო ადვილად იპოვნიდით. იმ დღეს ყველა ერთმანეთს ეძებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და ვერ პოულობდა. მთელი თბილისი, თბილისი კი არა, მთელი საქართველო მომავალი ზღვის ფსკერზე ცოცხალ ზღვადვე გაშლილიყო, ერთმანეთს აწყდებოდა და მხიარულად გუგუნებდა ივრის პირველი ტალღის გამოჩენის მოლოდინში.

ამ სანახაობამ ყველა მოგვხიბლა, აგვაღელვა. დახშული გული გაგვიხსნა, გუნება შეგვიცვალა. წუხანდელი ლოდინი, ტიტეს ქორწილის ჩაშლით გამოწვეული უსიამოვნება თითქოს გამაცოცხლებელმა სიომ გაჰფანტა.

დიდებული სანახაობის ძალა ტიტეს გულსაც მოსდებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, უკან რჩებოდა, ფეხს ითრევდა და ჩვენს ქარავანს ისე მოსდევდა, როგორც დღეობაში მიმავალი ურმის ბოლოში გამობმული ყოჩი.

ხალხი ყველაზე მეტად აქ შენივთებულიყო, ყველაზე დიდი ჰედვა იქ იყო, სადაც წყალი პირველად უნდა გამოჩენილიყო.

უცებ მაღლობზე მდგარ გივის თვალები გაუბრწყინდა, ფეხის წვერებზე შედგა და ხმამაღლა წამოიძახა:





ჩვეულებრივი ამბავია მხატვრის ბინაზე: ი. გაბაშვილს ნორჩი მკითხველები ესტუმრნენ. მათ მხატვარი თავის ახალ ილუსტრაციებს უჩვენებს. ბავშვების აზრი განსაკუთრებით ძვირფასია მხატვრისათვის.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

## ბავშვების საყვარელი მხატვარი

წიგნის გრაფიკამ ნამდვილ აყვავებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიაღწია. წიგნი, ეს ხომ პოლიგრაფიული კულტურის საგანია, რომელიც ალამაზებს და აკეთილშობილებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას, ამბობს გორკი. აქედან ცხადია, თუ რაოდენ დიდია მისი გავლენა საბჭოთა ადამიანის გემოვნების ფორმირებასა და განვითარებაზე· ამიტომ უთუოდ მისასალმებელია ის მოვლენა, რომ ჩვენში წიგნის გრაფიკაზე მუშაობენ არა მარტო მხატვარი გრაფიკოსები, არამედ ჩვენი მოწინავე ფერმწერლებიც. ცნობილია, რომ რუსმა გენიოსმა მხატვრებმა რეპინმა, ვასნეცოვმა, მაკოვსკიმ, სეროვმა შესანიშნავი ილუსტრაციებით არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს წიგნის გრაფიკა.

ლიტერატურული ტექსტის ილუსტრირების პროცესში მხატვრის ამოცანები იგივეა, რაც თეატრის ან კინორეჟისორისა. ილუსტრატორმა უნდა შექმნას ტექსტის შესატყვისი სახეები, რომლებიც ახალი და საინტერესო მხარეებით შეავსებს და გაამდიდრებს მკითხველის წარმოდგენაში შექმნილ სურათებს. მხატვარმა უნდა მოახერხოს ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ადგილების გამოყოფა, მისთვის ხაზის გასმა.

იოსებ გაბაშვილი გამოჩენილი ქართველი გრაფიკოსია. იგი ნაყოფიერად მუშაობს წიგნის ილუსტრაციებზე. მაგრამ ი. გაბაშვილის შემოქმედება მარტო წიგნის ილუსტრირებით როდი იფარგლება, იგი დაზგურ გრაფიკაზეც ბევრს მუშაობს. მან შექმნა ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ნაწარმოებების ციკლი: «სტალინი სემინარიაში», «ახალგაზრდა სტალინი», «სტალინი გაზეთ «ბრძოლას» რედაქციაში», «სტალინი კრეისერ «მოლოტოვზე».

ი. გაბაშვილის მიერ შესრულებული ილუსტრაციები («თხა და ვენახი», «რწყილი და ჭიანჭველა», «ჩხიკვთა ქორწილი», «შვლის ნუკრის ნაამბობი», «ბუ»), გამოირჩევიან ოსტატობით, ნაწარმოებთა ღრმა ანალიზით, ფერთა მოხდენილი შეხამებითა და იმ განსაკუთრებული სითბოთი, რაც მუდამ ახასიათებს ი. გაბაშვილის შემოქმედებას. ეს ილუსტრაციები ახალი თვისებებით ამკობენ მკითხველის ფანტაზიით შექმნილ სახეს.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ი. გაბაშვილმა «ბუ» და ვაჟა-ფშაველას «ჩხიკვთა ქორწილი» იმდენად სრულყოფილად დაასურათა, ამ მოთხრობების შინაარსი ისეთ შესატყვის და დამაჯერებელ მხატვრულ სახეებში გადაგვიშალა, რომ მკითხველი აღტაცებაში მოჰყავს. ი. გაბაშვილმა ილუსტრაციებში კიდევ მეტად გააღრმავა ის სოციალური კონფლიქტი, რომელიც ამ მოთხრობებში არის მოცემული. ბუს სახეში ი. გაბაშვილმა ალეგორიულად ექსპლოატატორი და მუქთახორა ბატონი წარმოგვიდგინა, რომელიც უსირცხვილოდ ტყავს აძრობს საწყალ ხალხს და მათი შრომით ცხოვრობს.

ტიპაჟის სწორად გააზრებამ, ამ ტიპაჟის შესატყვის გარემოცვაში დახატვამ, მოთხრობების იდეისადმი აქტიურმა დამოკიდებულებამ, ხელი შეუწყვეს ი. გაბაშვილს სერიოზულ და საყურადღებო ილუსტრაციების შექმნაში.

«კაცია ადამიანის?!» ილუსტრაციები მახვილგონივრულად არის გააზრებული. ი. ჭავჭავაძის ამ გენიალური ნაწარმოების იდეამ, მწერლის ულმობელმა, აშკარა და მოურიდებელმა ბრძოლამ ძველ სამყაროსთან ღრმა გამოვლინება ჰპოვა ი. გაბაშვილის შემოქმედებაში. მხატვარმა ზომიერად გროტესკულ შტრიხებში დამაჯერებელი რეალისტური ხერხით წარმოგვიდგინა მუქთახორა, უსაქმური და უმაქნისი ლუარსაბი და დარეჯანი. მათი სახეები ისე რეალისტურად, ისე მკვეთრადაა გადმოცემული, რომ ილუსტრაცია უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევდა ლუარსაბის, ან დარეჯანის როლის შემსრულებელ აქტიორს. ილუსტრაციებში წარმოდგენილი თვითეული სცენის კომპოზიცია მხატვარს დამუშავებული აქვს დიდი გულმოდგინებით, კოლორიტის კარგი გრძნობით. ამრიგად ეს ილუსტრაციები სრულიად დამოუკიდებელი დაზგური ნაწარმოებებია.

ზღაპრის ილუსტრირება საკმაოდ რთული საქმეა. იმ ილუსტრაციებში, რომლებიც დართული აქვს ძველ ქართულ ზღაპარს «ნაცარქექიას», ი. გაბაშვილმა წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე დასახულ ამოცანას. ეს ნამუშევრები მეტყველებენ მხატვრის უდიდეს წარმოსახვით ნიჭზე და მდიდარ ფანტაზიაზე. ნორჩმა მკითხველმა სიყვარულით მიიღო მხატვრის ეს ნამუშევარი. ასევე საყურადღებოა «შვლის ნუკრის ნაამბობის» ილუსტრაციებიც; ეს ილუსტრაციები მხატვარს უფრო ლირიკული განხრით აქვს გადაწყვეტილი და კარგად გადმოგვცემს მოთხრობის იდეასა და განწყობილებას.

ი. გაბაშვილი კვლავაც ნაყოფიერად განაგრძობს წიგნის ილუსტრაციებზე მუშაობას.

ნინო გუდიაშვილი

— აგერ, აგერ, დავინახე, მოდის!

— მადლობა ღმერთს!—ჩურჩულით აღმოხდა გაბროს. მან გივის მიაშურა...

ჩვენც გივის მივაშურეთ და იქით გავიხედეთ, საითაც იგი გახარებული და სახეგაბადრული ხელს იშვერდა.

— ვინ?.. სად?.. დაგვანახვე?..

თუმცა ვერ ვხედავდით, მაინც გულზე მოგვეშვა. ლოდზე შემდგარ გივის ღიმილით შემოვეხვიეთ და ველოდით, როდის გამოჩნდებოდა, როდის დავინახავდით... მხოლოდ ტიტე იდგა განზე, თავი ჩაეღუნა, კეხიანი ცხვირი ჩამოეშვა და გაკრიალებულ ფეხსაცმელებს კუშტად დაჰყურებდა.

— ტიტე, გაიგე?.. მოდის, მოდის! გივიმ დაინახა!

მართლაც, სულ მალე ყველამ დავინახეთ, ყველამ დავინახეთ, როგორ გამოჩნდა, მაგრამ საპატარძლო კი არა..

იორი, იორი გამოჩნდა!

პირველი აქაფებული ტალღები გადმოდინდნენ ქვის კიბეებზე და დაბლა, ჩვენსკენ ქუხილით გამოეშურნენ.

ჩვენს წინ ამართული ცოცხალი ჯებირი უცებ ახმაურდა, შეიძრა, ორად გაიყო და წყალს გზა უტია.

ჩვენ, ყველანი, ჩვენი კალათებით, ჩვენი ლორისთავით გამოლმა დავრჩით, უკან-უკან ვიხევდით და ღიმილით გავცქეროდით გაღმელებს, რომლებიც ასევე უკან იწევდნენ.

წყალი თანდათან მატულობდა, დაბალ ადგილებს ეძებდა, ავსებდა, მაღლა იწევდა, ჩვენსკენ მოიწევდა და ჩვენც კვლავ უკან ვიხევდით, გაოცებულნი შევყურებდით ზღვის დაბადებას.

გამბედავი ბიჭუნები, ჭაბუკები ფეხთ იხდიდნენ, მუხლებამდის წყალში შედიოდნენ და სიცილ ხარხარით, სიმღერით ეგებებოდნენ კავკასიონის მთებიდან ჩამოსულ იორს.

სიმღერა გაისმოდა ჩვენს ირგვლივ. ახალგაზრდებს წრე შეეკრათ, ცეკვავდნენ, თამაშობდნენ და თავისი მხიარულებით ხალხს იზიდავდნენ.

ანაზდად, გაღმა მხარეს ახალგაზრდების ერთ-ერთ ჯგუფში ქეთინოს მოვკარი თვალი. დიახ, ის იყო, ნამდვილად ქეთინო იყო. სახე უცინოდა, მაგრამ ნაღველის ჩრდილი მაინც დაჰკრავდა მის ნათელ სახეს. მღეროდა... ჯერ ჩვენ ვერ გვამჩნევდა. ნაპირისკენ მოუძღოდა ამღერებულ ახალგაზრდებს.

—ხედავ?..

შევეკითხე ტიტეს და გაღმა გავახედე.

ტიტე შეკრთა, გაიხედა, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

ტიტემ თავი ჩაღუნა, ხელი ჩაიქნია და გაღმელებს ზურგი შეაქცია... მაგრამ უცებ ჩვენს გარშემო წრე შეიკრიბა, შუბლშეკრულმა გაბრომ შვილს ქოჩორში ხელი მოსჭიდა და თავი უკან გადაუწია.

— შენგან წამხდარ საქმეს შენვე უნდა მიხედო, აბა!

— რაო, მივეახლო?.. დავუჩოქო?.. ბოდიში მოვიხადო?

ისინი წამით გაჩერდნენ და უკმაყოფილოდ შესცქეროდნენ ერთიმეორეს, ეს დუმილი კარგის მომასწავებელი არ იყო. საქმეში ისევ ყარამანი ჩაერია.

—ყმაწვილო, დაჩოქება და ბოდიშის მოხდა რა საჭიროა, ისიც ამდენ ხალხში... ნურც ჩვენ გაგვტანჯავ და ნურც შენს თავს, აბა, ფეხთ გაიხადე, გატოპე ამ ღელეში, მიდი და ხელი მოჰკიდე!

ტიტე გაფითრებული იდგა.

უცებ ყარამანს სიცილი აუტყდა.

— ბატონო, სანამ ისევ იორი ჰქვია და ადვილია, გატოპე, თორემ, როცა ქეთინოს მოთმინების ფიალაც აივსება და ეს იორიც ნამდვილ ზღვად იქცევა, გვიანღა იქნება!

იორი თანდათან მართლაც ზღვას ემსგავსებოდა, თანდათან იშლებოდა და ტაფობს ეფინებოდა... სადღა იყო ისეთი გზა, რომ გაწბილებული სასიძო თავის საცოლესთან მშრალად მისულიყო. წყალსაშვებიდან გამოჭრილი ივრის ტალღები კუკიის ტბიდან უკვე ილდოყანის ტბისკენ მიისწრაფოდნენ. ერთი ხელის კვრაღა იყო საჭირო, რომ ტიტეს ჯიუტობა გამქრალიყო.. გაბრომ ღიმილით უბიძგა შვილს და ცალი ფეხი წყალში ჩააყოფინა.

— მოიცა, მაცალე!..—წამოიძახა საქციელწამხდარმა ტიტემ, ჩვენსა და წყალს შორის დარჩენილ მშრალ ადგილზე ჩამოჯდა, ხელის კანკალით გაიხადა ფეხსაცმელი, შარვალი მუხლებამდის აიკარწახა და უკან მოუხედავად შეტოპა ამღვრეულ წყალში.

— ვაშა!

გულწრფელი სიხარულით წამოიძახა გივიმ და ტაში შემოჰკრა. ტიტე ფეხის ბორძიკით, ტორტმანით მისტოპავდა, მარჯვენა ხელით შარვალს თანდათან მაღლა იწევდა, მარცხენაში ფეხსაცმელი და წინდა ეჭირა.

— ასეა, ყმაწვილებო,—წამოიძახა ყარამანმა,—ქალს არაფერი სჯობია ქვეყანაზე!

— კი, მაგრამ,—ღიმილით შეეკითხა გივი აღფრთოვანებულ პენსიონერს,— თქვენ ხომ წუხელის სულ სხვას ამტკიცებდით?...

ყარამანმა ხელი მოჰკიდა გივის და დაბალი ხმით გვითხრა:

— ბიძიებო, ქალთან მე დასამდური არაფერი მაქვს. წუხელის ვიხუმრე... აგერ ის ქალი, ვისთვისაც მე მაშინ თარი დავამსხვრიე!

და მან თავის დედაკაცს გახედა.

ჩვენ პირდაღებულნი შევცქეროდით ამ უცნაურ მოხუცს, რომელიც სიტყვას ხან სატევარივით ხმარობდა, ხანაც გაზაფხულის ნიავივით ალამუნებდა.

— თქვენი მეუღლე?...

— დიახ, ჩემი მეუღლე... ჩემი ხუთი შვილის დედა... თარი რომ დავამსხვრიე და გარეთ გამოვვარდი, ისიც უკან, ფეხდაფეხ გამომყვა და ჩემი ქოხიდან შინ აღარც დაბრუნებულა, მაშ!

— აი, ამბავიც ეს არის! — წამოიძახა გივიმ.

— ცეცხლთან და ქალთან ხუმრობას ნურასოდეს იკადრებთ, ყმაწვილებო, მაგრამ ძველ ამბავს თავი დავანებოთ და ახალს მივხედოთ!

ყარამანმა სალვინიდან ჭიქაში ღვინო ჩამოასხა და ხელი გაღმა გაიშვირა.

ტიტე ახალგაზრდებში ჩამდგარიყო. ფეხსაცმელები და წინდები ჯერ ისევ ხელში ეჭირა და ისე, გულმკერდგაღეღილი და თვალებგაბრწყინებული უერთებდა თავის ბოხ ხმას ქეთინოს წკრიალა მოძახილს,

— გაუმარჯოს პირველ ქორწილს ამ პატარა ზღვის პირას! — წამოიძახა ყარამანმა, ჭიქა პირთან მიიტანა, ერთი სულთქვით გადასწურა და დაცალა.

ჩვენც საჩქაროდ მოვკიდეთ ჭიქებს ხელი და სულმოუთქმელად დავლიეთ ზღვის გაღმა მყოფი ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო.



ი. გაბაშვილი. ლიახვის პირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაინც კიდევ ვერავინ მბედავდა თამაშობას. ბოლოს ისევ წრუწუნამ გაბედა. ისეთი ლეკური დაუარა, ისეთს ბუქნაში ამოდიოდა, რომ მტვერი ცასა სწვდებოდა
(ვაჟა-ფშაველა — „ჩხიკვთა ქორწილი").



იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ეს მოიფიქრა: გავივლი, გამოვივლი — ირგვლივ კორიანტელს დავაყენებო (ზღაპარი „ნაცარქექია").

ეროვნული ბიბლიოთეკა

5391

# იოსებ გაბაშვილის ილუსტრაციებიდან



მეკუნტრუშდა დედაჩემი, მეკუნტრუშდი მეც და გავსწიეთ ზევითკენ სკუპ-სკუპით
(ვაჟა-ფშაველა — „შვლის ნუკრის ნაამბობი")



ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილის" ბოლოსართი

საქართ. ბიბლიოთეკა თბილისი



## ი. გაბაშვილი

ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ ილუსტრაციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულგადაღეღილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მოგორდებოდა მოაჯირის გადასაყუდებელთან და გადასძახებდა ძილისაგან გაბოხებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა.

უროემში ისხდნენ კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე ლამაზისეული. ერთი ბიჭი და ლუარსაბი თავის წითელს ულაყ ცხენზე მჯდომი ნელ-ნელა აედევნენ უკან ფეხმძიმე ურემსა.



# ყარა-ყუმი




**ზურაბ წილოსანი**

*ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

ყარა-ყუმი მსოფლიოს ერთ-ერთი გრანდიოზული ქვიშოვანი უდაბნოთაგანია. ის თავისი ტერიტორიით ბევრად აღემატება პორტუგალიის, დანიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის და ბელგიის ტერიტორიებს, ერთად აღებულთ. ყარა-ყუმის ჰავა ცხელი, მშრალი და მკვეთრად კონტინენტურია. ზაფხულობით ჰაერის ტემპერატურა ჩრდილში ცელსიუსით 45° აღწევს. ქვიშა კი მზეზე 70°-დე ხურდება. ზამთარი საკმაოდ ცივი იცის — ტემპერატურა ზოგჯერ 30°-დე ეცემა ხოლმე. მაგრამ ასეთი დღეები იშვიათია. საერთო წლიური ტემპერატურა 14-16 გრადუსს უდრის.

თურქმენეთი მზიური მხარეა. მზის სხივებისა და სითბოს სიუხვის მხრივ მას შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მსოფლიოს ყველა ქვეყანას. ბევრია ნოყიერი ნიადაგები, სადაც მზისა და სითბოს გავლენით ბევრად უფრო მეტი მოსავალი შეიძლება მივიღოთ, ვიდრე ამჟამად ვიღებთ საბჭოთა კავშირის შუაზოლში. მაგრამ ყარა-ყუმი ძალიან ღარიბია ნალექებით. მიწა ხარბად თხოულობს წყალს, მაგრამ ამაოდ: ზაფხულის მცხუნვარე მზე უმოწყალოდართმევს იმ მცირე სინესტესაც კი, რომელსაც ის ზამთრობით და ადრე გაზაფხულზე იძენს.

უდაბნოს მცენარეულობა შეგუებულია წყლის ნაკლებობასთან, მათი უმრავლესობის სიცოცხლის ხანგრძლიობა შედარებით ნოტიო და ხანმოკლე გაზაფხულის დღეებით ისაზღვრება. უკვე მაისის პირველ რიცხვებში მზე ისევე მწვავედ აცხუნებს, როგორც შუა ზაფხულში. ხმება ბალახი და ყვავილები, ბუჩქებს ფოთლები სცვივა, უდაბნოს ბევრი ცხოველი ზაფხულის ძილს ეძლევა, რომელიც ბუნების ახალი გამოღვიძების მოლოდინში, ხშირად ზამთრის ძილში გადადის ხოლმე. უდაბნოში ბუნება შიშვლდება და აუტანელი სიცხე ისადგურებს.

თურქმენეთის ნიადაგები ნაყოფიერებით აღემატებიან ნილოსის ცნობილი ველის ნიადაგებს და თუ კი ადამიანი შესძლებს მიაწვდინოს მათ წყალი, გაწეული შრომა უხვი მოსავლით ანაზღაურდება. მაგრამ თურქმენეთი საუკუნეების მანძილზე განიცდიდა წყლის ნაკლებობას. ამუ-დარია, რომელსაც არალის ზღვაში ყოველწლიურად 42 მილიონი კუბმეტრი მტკნარი წყალი შეაქვს და რომელიც რესპუბლიკას აღმოსავლეთით საზღვრავს, მხოლოდ თავის სანაპიროს ვიწრო ზოლზე ახდენდა გავლენას.

თურქმენი ხალხი თაობიდან თაობას გადასცემდა ლეგენდას იმის შესახებ, რომ ერთ დროს ამუ-დარია ყარა-ყუმის გავლით კასპიის ზღვისაკენ მიედინებოდა. ეს ლეგენდა არის თურქმენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნების გამოხატულება ამუ-დარიის ყარა-ყუმისაკენ შემობრუნებასა და უსიცოცხლო ველების გამოცოცხლებაზე.

მხოლოდ სტალინურ ეპოქაში გახდა შესაძლებელი განხორციელებულიყო თურქმენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება· 1950 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის შესახებ.

თურქმენეთის მთავარი არხის გაყვანა გამოიწვევს თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ და ყარა-ყალპაკეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიკის მძლავრ აღმავლობას. კასპიის ზღვისპირა ვაკის, ამუ-დარიის ქვემო წელის და ყარა-ყუმის უდაბნოს ვრცელი ტერიტორიები სახეს შეიცვლიან. ეს არხი მორწყავს და სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგს გახდის 1 მილიონ 300 ათას ჰექტარ ახალ მიწას, წყლით უზრუნველყოფს 7 მილიონ ჰექტარ საძოვარს, სასმელ და ტექნიკურ წყალს მიაწვდის დასავლეთ თურქმენეთის დასახლებულ პუნქტებს. 500 ათას ჰექტარზე შეიქმნება ტყის დამცველი ზოლები, სახალხო მეურნეობა მიიღებს 100 ათას კილოვატ ელექტროენერგიას, არალის ზღვა ფართო მაგისტრალით დაუკავშირდება კასპიის ზღვას.

ყოველივე ამის შედეგად 7-8 ჯერ გაიზრდება ბამბის ნედლეულის წარმოება. საგრძნობლად გაფართოვდება ბაღების, ვენახების და ბაღჩების ფართობი. შეიქმნება ოაზისები, სადაც გაიხარებს სუბტროპიკული მცენარეულობა. არხის გასწვრივ დარგული იქნება მილიონობით თუთის ხე, რაც გამოიწვევს მეაბრეშუმეობის მძლავრ აღმავლობას. ახალი დამატებითი საძოვრების წყლით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს მეცხოველეობის განვითარებას. ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გამრავლდება უძვირფასესი კრაველის ჯიშის ცხვრის ფარები და თურქმენული ცხენის რემები. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება თურქმენეთის მთავარი არხის მნიშვნელობა: იგი მძლავრ ბიძგს მისცემს მრეწველობის ახალ აღმავლობას და შესაძლებელს გახდის მრავალი ძვირფასი ნედლეულისა და საბადოს ათვისებას.

ბუნების გარდაქმნის და სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების ასეთი გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტა, ცხადია, დაკავშირებულია დიდ სამუშაოებთან. კაპიტალისტურ სამყაროში შექმნილი ვერც ერთი ნაგებობა ვერ შეედრება თურქმენეთის მთავარ არხს.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს ძალიან დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოების შესრულება მოუხდებათ. მარტო მიწის სამუშაოები 400 მილიონ კუბმეტრს აღემატება, ბეტონის და რკინაბეტონისა კი—3 მილიონს. აგებული იქნება რამდენიმე ჰიდროსადგური 100 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით. სამუშაოს ფრონტი გაშლილია 1100 კილომეტრის მანძილზე.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის შესახებ საბჭოთა მთავრობის დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გასული პერიოდი ძირითადად მოსამზადებელ სამუშაოებს და უდაბნოს ყოველმხრივ შესწავლას მოუნდა. ყარა-ყუმის უდაბნოს მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ ახსოვს ალბათ იმდენი ხალხი, რამდენიც მან ამ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე იხილა.

ტახია-ტაშის კონცხთან, ამუ-დარიაზე, იქ, სადაც თურქმენეთის მთავარი არხი აიღებს სათავეს, უდაბურ ადგილზე გაშენდა მშენებელთა ქალაქი მრავალი საწარმოთი, სახელოსნოთი და საწყობით. გაყვანილ იქნა საავტომობილო გზა და რკინიგზის ხაზი, ამუ-დარიაზე აიგო დროებითი ნავსადგური. ამ მაგისტრალებით ტახია-ტაშისაკენ უწყვეტ ნაკადად მიედინება ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყოველი კუთხიდან გაგზავნილი მანქანები, მოწყობილობები და საშენი მასალები. ასეთივე მძლავრი ცენტრი შეიქმნა არხის კიდურა უბანში, ქალაქ ყაზანჯიკთანაც. სანამ მშენებლები უდაბნოზე გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ, სამეცნიერო დაწესებულებების და სხვადასხვა სამინისტროების მრავალრიცხოვანი ექსპედიციები უდაბნოს ყოველმხრივ შესწავლას აწარმოებდნენ. ამ კომპლექსური ექსპედიციების თავდადებული შრომის შედეგად, რომელიც ხშირად სიცოცხლისათვის სახიფათო პირობებში მიმდინარეობდა, დაზუსტებულ იქნა მომავალი ოაზისების და საძოვრების საზღვრები, გამოვლინებულ იქნა მრავალი, მანამდე უცნობი, სოფლის მეურნეობისთვის ვარგისი მიწის მასივები. შესწავლილ იქნა ნიადაგები და მომავალი არხის ტრასის გეოლოგიური, გეოფიზიკური პირობები. ძველ ოაზისებში შეიქმნა საკვლევო-სამეცნიერო სადგურები, რომელთაც დაევალათ რაციონალური აგროტექნიკური პირობებისა და ხელსაყრელი ჯიშების შერჩევა: სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ლაბორატორიებში ხდებოდა თურქმენეთის მთავარი არხისათვის სამშენებლო მასალების, მექანიზმების, ახალი რაციონალური კონსტრუქციების შემოწმება და შესწავლა.

ცხადია, ყველა ამ სამუშაოს ჩატარება, და ისიც ორიოდე წლის მანძილზე, თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, შეუძლებელი იყო. აქ გამოჩნდა ხალხთა სტალინური მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა. თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობა თავის ღვიძლ საქმედ მიიჩნია მთელმა საბჭოთა ხალხმა.

სხვებთან ერთად, თურქმენ ხალხს ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ქართველმა ხალხმა. საქართველოს საწარმოებში მზადდება აღჭურვილობა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთათვის, სამეცნიერო დაწესებულებები სწავლობენ არხის მშენებლობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მშენებლობის მთავარი ინჟინერი ბესარიონ სარდიონის ძე ერისთავი საქართველოს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობებზე დავაჟკაცდა. ის ახლა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე ნაყოფიერად იყენებს იმ გამოცდილებას, რომელიც მან რიონისა და ხრამის ჰიდროელსადგურების მშენებლობებზე მიიღო.

გასული წლის აპრილში ტახია-ტაშში თავი მოიყარა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩასულმა მრავალმა სპეციალისტმა. მათი მიზანი იყო უშუალოდ გასცნობოდნენ თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის პირობებს და მშენებლებთან ერთად ადგილზე გადაეწყვიტათ არხის ტრასის სამუშაოთა წარმოების, სამშენებლო მასალების, მექანიზმების და ახალი მიწების ათვისების ურთულესი საკითხები. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწყობილ ამ კომპლექსურ სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებმაც — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა პ. წულუკიძემ, პროფესორმა ი. შტაერმანმა და ტექნიკის მეცნიერების კანდიდატმა ზ. წილოსანმა.

დადგა ყარა-ყუმის უდაბნოზე გადამწყვეტი შეტევის პერიოდი. არხის ჩრდილო უბანზე, ტახია-ტაშთან, უკვე ამოღებულია ასეული ათასობით კუბმეტრი მიწა. უდაბნოში, ჩაპაევის მომავალი ჰიდროკვანძის ადგილას, სულ მოკლე ხანში აშენდა მშენებელთა დასახლებული პუნქტი. საღამოობით მშენებელთა სახლები ელექტრონის შუქითაა გაჩირაღდნებული. მოკლე დროში სამშენებლო უბნები შეიქმნება უდაბნოს სხვა პუნქტებშიც. დღითი დღე იზრდება სამშენებლო სამუშაოთა ფრონტი. სულ ახალი და ახალი ხალხი ემატება თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს. აქ ჩამოსულთა შორის არიან ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის სახელოვანი მშენებლებიც. მათ თავის საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ ახალ ვითარებაში იმ მდიდარი გამოცდილების გამოყენება, რომელიც დაგროვილი იქნა ვოლგასა და დონს შორის სანაოსნო მაგისტრალის აგების დროს.

კომუნიზმის ამ გრანდიოზულ მშენებლობაზე ფართოდ მოჩანს. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული სიძლიერე. ათასობით ბულდოზერი, სკრეპერი, ექსკავატორი და მრავალი სხვა სახის მანქანა და აგრეგატი ეხმარება საბჭოთა ადამიანის გმირულ შრომას ამ მშენებლობის ვადაზე ადრე დასრულებისათვის.

პარტიის XIX ყრილობამ სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ დირექტივებში მიუთითა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზეც. საბჭოთა ხალხების ძმური დახმარებით, მშენებელთა მთელი კოლექტივი იბრძვის დიდი სტალინის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმის განხორციელებისათვის.




# პიგმეები



გაუვალ ტროპიკულ ტყეებით დაფარულ თვალწარმტაც ბუნების წიაღში, დღევანდელი საფრანგეთისა და ბელგიის კონგოს ტერიტორიაზე, ცხოვრობს ერთი ნაწილი აფრიკის ჯუჯა ტომებისა, რომლებიც ისტორიაში პიგმეების სახელით არიან ცნობილნი. ეს სახელწოდება მათ მიიღეს განსაკუთრებული სიდაბლის გამო. Pigmorioi ბერძნულად „მუჭს" ნიშნავს.

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ჯუჯების წარმომავლობის შესახებ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ ძველად აფრიკა მთლიანად ჯუჯებს ეკავათ და შემდეგ მათ, სხვა ხალხების შესევის გამო, აფრიკის მატერიკის სამხრეთ-დასავლეთისაკენ გადაინაცვლეს. მეორენი კი, ბურჟუაზიული მიგრაციის თეორიის მიმდევრები, მათ აზიიდან მოსულ ხალხად სთვლიან.

ანთროპოლოგიურად ჯუჯები ხასიათდებიან დაბალი ტანით (საშუალო სიმაღლე 140 და 150 სმ შორის მერყეობს), მუქი ფერის კანით, ხუჭუჭა თმით, შედარებით დიდი თავით, სწორი შუბლით და ფართო ნესტოებით. ენათმეცნიერული მონაცემების მიხედვით, მათი ენა მალაიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.

პიგმეები მონადირეობას მისდევენ. ამიტომაც, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნიათ. მიწათმოქმედებას თითქმის არ იცნობენ. ნადირობის დროს ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან, ცხოველებითა და ფრინველებით მდიდარ მხარეში, სადაც ზოგჯერ თვეობითაც კი რჩებიან ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ პიგმეები ბინადარ ცხოვრებას არ ეწევიან, საცხოვრებელ ქოხს მაინც აგებენ. ქოხი ნახევარწრისებრია; სახურავი გუმბათოვანი აქვს და სიმაღლით ერთ მეტრს არ აღემატება. ეს ქოხები ხის ტოტებისაგან კეთდება და სახურავიც ხის ტოტებითა და დიდი ფოთლებით აქვს დაფარული. აღსანიშნავია, რომ ქოხს ძირითადად ქალები დგამენ.

ჩაცმულობის მხრივ, ქალი და კაცი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ტყავისა და რბილი ხის ქერქის წინსაფარი ტანს მხოლოდ ნაწილობრივად უფარავთ, სამკაულებად სხვადასხვა ცხოველების და ფრინველების ძვლებს და ნიჟარებს ხმარობენ. თიხის ჭურჭელი არ გააჩნიათ, და თუ აქვთ ისიც მიწათმოქმედ ზანგებისაგან შეძენილი. უმთავრესად ხის ქერქისაგან თავიანთივე ხელით დამზადებულ ჭურჭელს ხმარობენ. ჯუჯების ძირითად საკვებს ფრინველისა და ნადირის ხორცი შეადგენს. ნადირის ნაკლებობის შემთხვევაში, პიგმეები მცენარის ნაყოფითაც იკვებებიან. იქ მრავლად მოიპოვება გარეული ყურძენი, ფინიკი, ქოქოსის კაკალი, უამრავი სახის სოკო და სხვ. პიგმეები ნანადირევს და ზოგიერთი მცენარეულის ნაყოფს ცეცხლზე წვავენ და ისე შეექცევიან.

ჯუჯები ძირითადად მშვილდისრით ნადირობენ. გააჩნიათ აგრეთვე სხვა იარაღებიც — შუბი, ორლესული რკინის დანა, ფარი, ხაფანგები და მცენარის ძირის ამოსაგდები მარგილები. ნადირობის დროს მხარზე ტყავის ჩანთა და კაპარჭი ჰკიდიათ.

ისინი ალებმიცემობას აწარმოებენ მეზობელ მიწათმოქმედ ზანგებთან. გადასაცვლელად მიაქვთ სპილოს ძვალი, გარეული თაფლი, ნანადირევი და შხამი (ამ უკანასკნელის დამზადებაში მათ საქვეყნოდ გაითქვეს სახელი), თვითონ კი ისრის წვეტებს, დანებსა და თამბაქოს იძენენ.

კონგოს აუზის ჯუჯა ტომები ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ, თითო ჯგუფში ზოგჯერ ასზე მეტი ქოხია. ჯუჯებში გავრცელებულია პოლიგამიური ქორწინება (მრავალცოლიანობა). ოჯახი ექვსი-შვიდი სულისაგან შედგება. რამდენიმე ათეული ასეთი ოჯახისაგან შემდგარ ტომს საკუთარი ბელადი ჰყავს, რომელიც თავისი გამოცდილებისა და სიმამაცის წყალობით, განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს ჯუჯებს შორის. ჯუჯების სულიერი კულტურა მეტად დაბალია. ისინი კერპთაყვანისმცემლები არიან.

თავისებურია ჯუჯებში გავრცელებული მიცვალებულის დასაფლავების წესი, რომლის მიხედვითაც გვამს ხის ფუღუროში ან მდინარის ფსკერზე მარხავენ. განსაკუთრებით დასაფლავების უკანასკნელი წესია საინტერესო. საფლავის მოსამზადებლად, მდინარეს გადააგდებენ სხვა კალაპოტში და დამშრალ ფსკერზე საფლავს ამოთხრიან. მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ კი მდინარეს ისევ ძველ კალაპოტში გაუშვებენ.

ჯუჯები ნაკლებად ზრუნავენ საკვების მარაგის მომზადებაზე. საკვები მეორე დღემდე არა ჰყოფნით. ბოლო ხანებში, ნადირის შემცირების გამო, პიგმეების ზოგიერთმა ტომმა, მექოთნეობას და მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი, მაგრამ პიგმეების უმრავლესობისათვის საკვების მოპოვების უმთავრეს წყაროდ მაინც ნადირობა დარჩა.

ნადირობაში პიგმეი მეტად დახელოვნებულია. ის საოცარი სიმარჯვით ხმარობს მშვილდისარს. ხოლო მათ მიერ დაგებულ ხაფანგს ყველაზე ფრთხილი ნადირიც ვერ ასცდება. პიგმეი ნადირობის დროს, უმთავრესად მოშხამულ ისარს ხმარობს. ისარი ლერწმისაა, შხამს კი მცენარისაგან ან და წითელი ჭიანჭველისაგან ამზადებენ. ასეთი ისრით მსუბუქად დაჭრილი ნადირიც კი შორს ველარ მიდის, რადგანაც შხამი მომაკვდინებელია და სწრაფად მოქმედობს. ჯუჯები, მშვილდისართან ერთად, დანასაც თან ატარებენ. მამაკაცებს სანადიროდ ქალებიც მიჰყავთ. წინათ ჯუჯების თვითეულ ტომს საკუთარი სანადირო ადგილები ჰქონდათ, სადაც სხვა ტომს ნადირობა ეკრძალებოდა. თავდასხმები ტომებს შორის იშვიათი არ იყო. ისინი მეზობელ ტომებს ძირითადად ამ სანადირო ადგილებისათვის ებრძოდნენ. იყო შემთხვევა, როცა ზანგების ტომებს მათი დამონება უცდიათ, მაგრამ თავისუფლების მოყვარული პიგმეები ვაჟკაცურად იგერიებდნენ მომხდურებს, თუმცა თავის დაცვა ძვირად უჯდებოდათ. ხშირად მომხდურები იკლებდნენ მათ საცხოვრებელ ადგილებს და ვისაც კი მოასწრებდნენ, ტყვედ მიჰყავდათ და მონებად ჰყიდდნენ. აფრიკის ზანგების სხვადასხვა ტომების ბელადების კარზე ხშირად ნახავდით ჯუჯა მსახურებს, რომლებიც მეტწილად მცველებისა და მონადირეების მოვალეობას ასრულებდნენ.

ომის დროს ჯუჯები თავგანწირულად იბრძვიან. მათი საომარი ყიჟინა მოზღვავებულ მტერს თავზარს სცემს და არევ-დარევა შეაქვს მის რიგებში.

უღრანი ტყეები და გაუვალი ჭაობები საიმედო საფარველს წარმოადგენს თავდაცვისათვის, მაგრამ კოლონისტების ბრჭყალებისაგან ვერც ამან იხსნა ისინი. სიმდიდრეს დახარბებული ხალხთმოძულე იმპერიალისტები არაფერს არ ერიდებიან, აფრიკის სხვა ხალხებთან ერთად, პიგმეებიც კოლონიურ რეჟიმს დაუმორჩილეს. კონგოს აუზის მეპატრონეები ფრანგი და ბელგიელი კაპიტალისტები გახდნენ. მათ ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის მძიმე ნატურალური გადასახადი შემოიღეს. მაგრამ აბა რა უნდა გადაიხადოს ისედაც არაფრის მქონე პიგმეიმ! გადაუხდელობის შემთხვევაში ხელფეხის მოკვეთაა დაწესებული. მაგრამ კოლონისტები ამასაც არ დასჯერდნენ: საცხოვრებელ ადგილებიდან აჰყარეს ჯუჯები და კაუჩუკის მოსაგროვებლად გარეკეს. ყოველდღიურ შრომას მიუჩვეველმა და ბუნების წიაღში ლაღად გაზრდილმა პიგმეებმა ველარ გაუძლეს შიმშილს, წამებას და კაუჩუკის პლანტაციებში გამეფებულ არაადამიანურ შრომის პირობებს. ისე გახშირდა სიკვდილიანობა, რომ კონგოს აუზში მოსახლე ჯუჯების რაოდენობა ოცი წლის განმავლობაში თითქმის განახევრდა! მაგრამ კოლონისტები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. მდიდარი მოგზაურები და ტურისტები ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ჯუჯებზე ნადირობით ირთობდნენ თავს და შეპყრობილ ჯუჯებს ნაცნობ-მეგობრებს უგზავნიდნენ საჩუქრად. ასეთი ბარბაროსული მოპყრობის შედეგად 900 ათასიდან (XIX საუკ. პირველი ნახევრის ცნობებით), დღეისათვის ჯუჯების რიცხვი 80 ათასამდე შემცირდა.

სულ უფრო და უფრო იზრდება და ღრმავდება კოლონიალური სისტემის კრიზისი. „დაბალ რასებს" ძველებურად ცხოვრება აღარ სურთ. ცდილობენ რა შეასუსტონ კოლონიალური სისტემის კრიზისი, იმპერიალისტები ეძებენ და იყენებენ ახალ მეთოდებს ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის დასათრგუნავად. ამ საქმეში დაქირავებული მეცნიერებიც კი ჩააბეს, მაგრამ კოლონიალურ რეჟიმს უკვე ბზარი გაუჩნდა.

თეიმურაზ ჩიქოვანი

მხატვარი ზ. ლეჟავა



# არდადეგების დღეებში

დაუღალავი და ბეჯითი სწავლის ოთხმა თვემ განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი სკოლების აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობა ხარბად ეწაფებოდა ცოდნას. საკლასო ჟურნალებში დამსახურებული ხუთიანები ჩაიწერა. საზამთრო არდადეგებიც დაიწყო, მაგრამ სკოლებში მოსწავლეთა ჟრიამული წამითაც არ შეწყვეტილა. მათმა ცოცხალმა ჟრიამულმა კაბინეტებიდან და ლაბორატორიებიდან, — სკოლების სასპორტო დარბაზებში, კლუბებში და გამოფენებზე გადაინაცვლა, სადაც მოსწავლეთა თვითმოქმედი წრეების კონცერტები, ლიტერატურული საღამოები, ნაძვის ხეები და სხვა გასართობები იმართება. დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად, ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდა თაობას, სწავლასთან ერთად, ყველა პირობა აქვს შექმნილი დასვენებისათვის.

პიონერთა სასახლის ნორჩი ალპინისტების კაბინეტიდან ახალგაზრდა მეთხილამურეები გამოვიდნენ.

მათ შურით გააყოლეს თვალი უმცროსმა ბავშვებმა. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ალბათ ბაკურიანის თოვლიან ფერდობებზე დაიწყებენ სრიალს და სწრაფად დაშვებაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს პატარები კი ჯერჯერობით მხოლოდ მაყურებლები არიან. დიდი ხანი არ არის, რაც მათ საკუთარი თოჯინებიც ჰყავდათ, და აი საზამთრო არდადეგების დღეებში ისინი პიონერთა სასახლის თოჯინების თეატრში არიან მიწვეულნი. რამდენადმე უჩვეულოა ეს თეატრი. გარდა იმისა, რომ ცოცხალი ადამიანების ნაცვლად სცენაზე თოჯინები გამოდიან, თვით ამ თოჯინების როლებს აქ ბავშვები ასრულებენ, ისინი მოხდენილად ბაძავენ თავიანთ თოჯინებს· მართლაცდა ვის ეცოდინება ნორჩებზე უკეთესად თოჯინების ხასიათი და სურვილები, — ამბობს თეატრის ხელმძღვანელი მარო აბრამიშვილი. მათ ხომ ყველას საკუთარი თოჯინა ჰყავდათ და მათი საიდუმლო კარგად იცოდნენ. ამიტომაც არის, რომ მათ ბუნებრივ თამაშს ნორჩი მაყურებლები აღტაცებით ხვდებიან.

ამ საორკესტრო ანსამბლის ყველაზე პატარა მონაწილე თერთმეტი წლისაა. მაგრამ არც ყველაზე უფროსია ბევრად დიდი.

ისინი ყველანი მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლენი არიან და დღეს თავიანთ ამხანაგებს საკუთარ ხელოვნებას უჩვენებენ. მდიდარია საბავშვო ორკესტრის რეპერტუარი, რუსეთის და დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა ნაწარმოებებთან ერთად, ნორჩი მუსიკოსები წარმატებით ასრულებენ ზაქარია ფალიაშვილისა და თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორების სიმფონიურ ნაწარმოებებს.





ფარდა აიხადა. მარინე და მზია განაბული უმზერენ „ჯადოსნური კალოშის" ახალ წარმოდგენას პიონერთა სასახლის თოჯინების თეატრში.

ფოტო ი. მღებრიშვილისა

დირიჟორის ნიშანზე V კლასელმა ჯარჯი ბალანჩივაძემ გაბედულად აიღო თავისი მამის მიერ შექმნილი ახალი საფორტეპიანო კონცერტის პირველი აკორდები.



---

**ილია ხოშტარია**

## [illegible]

**ციკლიდან „სიმღერა ქუთაისელ მეავტომობილეებზე"**

მზის ელვარება ღამემ ჩააქრო,
ცაზე აინთო ვარსკვლავთ კრებული,
უზარმაზარი ვნახე საამქრო,
დაზგებთან ვიდექ ჩაფიქრებული.
სიჩქარის ყუთის დასამზადებლად
ხუთასი ჩარხი მუდმივად ბრუნავს,
მიცემულ გეგმის შესასრულებლად
გურესაშვილი დღედაღამ ზრუნავს.
მკერდი რვალის აქვს, გაზრდილს რაჭაში,
მის მაგარ კუნთებს რას ავნებს ტყვია...

პირველი ჩარხი ამ ქარხანაში,
ასე გადმომცეს, მას აუწყვია.
აღტაცებულმა დიად ოცნებით,
კომუნიზმის მზე ამოვა იცის,
გულს ჩაინერგა მან სასოებით
სითბო, ბარაქა, რუსული მიწის.
სად არ იბრძოდა, სად არ უვლია,
აწ კი ქარხანას აღარ დატოვებს,
დღეებს უმიზნოდ არ ჩაუვლია —
ქართველ ოსტატთა ზრდის ნოვატორებს.

## [illegible]

მშვიდობის დილა მოაქვს ყოველ დღეს,
სამშობლოს ზეცა მტრედისფერია,
ახალ რუსთავში, ძმას მეფოლადეს,
ხმას აწვდის შოთა გიგიბერია.
თავგამეტებით ყალიბს აკეთებს,
რიგში ფორმები ჩამწკრივებულა,
გახსნის, დახურავს, მაგარ საკეტებს;
ვაჟკაცის სახე გაბრწყინებულა.
მეყალიბეა, მუდამ დღე ხარობს,
რა აღტაცებით მას გული უცემს,
მძლავრი ხელები ისე მოძრაობს —
თითქოს მანქანის სიჩქარეს უსწრებს.
ქვევით ჩამოდგამს მზა ყალიბს მყისვე, —
უძლებს სიმძიმეს გაშლილი მხრები,

ბუღში საგნები მოსჩანან ისე,
როგორც ზღვის ნისლში გემის აფრები.
მისცენ სამშობლოს მეტი დოვლათი, —
ძმებმა ქარხნისთვის ოფლი დაღვარეს,
ჩვენი რუსთავის მტკიცე ფოლადი
მათ ხელში კიდევ უფრო ელვარებს.
თავდადებულთა შეჯიბრის ძალამ,
დღეს ბუმბერაზი მთებიც კი შესძრეს,
გამარჯვებულ ძმებს მოგიძღვნით სალამს,
თქვენი ძალ-ღონე კიდევ ბევრს შესძლებს.
თავს დასტრიალებს საამქროს ქურებს, —
მისთვის ქარხანა — ყველაფერია,
მზამს სიცოცხლესაც არ დაიშურებს
ქვეყნისთვის შოთა გიგიბერია.

# ქართული ბუნების მომღერალი

მისი დიდებული მუსიკის მელოდიებივით ნაცნობი და ახლობელია ჩვენთვის მხცოვანი კომპოზიტორის ჭაღარით მოსილი სახე. სპეტაკი თმები ქუდის ქვეშიდან ურჩად გამოსჩრია. მეტყველ თვალებს ოდნავ გახსნილი ტუჩების გულღია ღიმილი მოუტაცნია და მთელ სახეს ერთი შეხედვით მშვიდი, მაგრამ შემოქმედისათვის დამახასიათებელი შინაგანი მღელვარების ელფერი ადევს.

აი, ახლახან, ლექციების შემდეგ მან მეგობრებს მანქანით გასეირნებაზე უარი უთხრა: ქალაქში ფეხით გავლა ურჩევნია. კონსერვატორიის დაღმართზე დაეშვა.

უცებ მშენებლობის ღიად დატოვებულ კარებში შეიხედა. ბოლნისის ტუფისა და მწვანე გრანიტის ფერში გახვეულიყო ყველაფერი. შენობას უკანასკნელ ხარაჩოებს ხსნიდნენ. ამ დროს მშენებლობას თავისი მომხიბვლელობა და სურნელება აქვს, ადამიანები რაღაც თავისებურად მოძრაობენ და ლაპარაკობენ, თითქოს რთული ოპერაციის შემდეგ უკანასკნელ ნახვევს ხსნიდნენ ჭრილობას. ეს თავის ძალაში და გამარჯვებაში დარწმუნებული ადამიანების სიხარულია.

მხცოვან კომპოზიტორსაც გადასდებია ეს სიხარული.

მას კი არ უკვირს—ახარებს, კი არ აოცებს—აღაფრთოვანებს თავისი ხალხის ბედნიერება.

აქა-იქ, პირზე ხელმოფარებული მშენებლების გადაძახილი მოისმის, მათი ხმა თანდათან უფერულდება და მერე თალებქვეშ სრულიად იკარგება, მანქანების ხმაურს შეერთვის. კომპოზიტორი ყურს უგდებს ყოველივეს და თითქოს უკვე დაკარგულ გამოძახილებიდან მთელი მშენებლობის რიტმს, მის თავისებურ ინტონაციას აღადგენს... წარმოდგენით დანახულ ხუთხაზიან ფურცლებზე ძუნწ ჩანიშვნებს აკეთებს.

რა ცოტა ნოტებია და რამდენი მუსიკაა მათში!...

და განა მარტო ამ ჩანიშვნებში?...

მთელი მისი შემოქმედება,—პირველი რომანსებიდან დღემდე,—სისადავისა და ბუნებრივი უბრალოების ნიმუშია.

დიმიტრი არაყიშვილი იმ ნიჭიერ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შეუძლიათ უდიდეს ადამიანურ ვნებათა ღელვას და სულიერ მისწრაფებებს უბრალო, კლასიკური სიცხადის ნათელი და გამჭვირვალე ფორმები მოუძებნონ.

არაყიშვილის რომანსების მუსიკალური ფრაზა არსად არ წყდება, ისინი თითქოს სულმოუთქმელად უნდა იმღეროთ, რადგან ავტორსაც ერთი ამოსუნთქვით დაუწერია.

თუმცა ეს მუსიკალური ექსპრომტები როდია, არამედ გულში დაზვავებული ფაქიზი ემოციების მძლავრი დინება, რომლისთვისაც ამავე დროს, არაფერი ადამიანური უცხო არ არის.

მართლაცდა, როდესაც თქვენ მის რომანსს «ვარსკვლავიანსა ღამეს» ისმენთ, განა არ ფიქრობთ, რომ მას თქვენი სათქმელი უთქვამს, თითქოს სადღაც თქვენი საუბრისათვის მოუსმენია და ეს ადამიანური გრძნობები დიდი მოკრძალებით გადმოუცია მუსიკაში.

არაყიშვილი ფაქიზად ინახავს მოგონებას ქართული მუსიკის ისტორიაზე, როდესაც თითქმის ყამირ ნიადაგზე მისი კლასიკური კონტურები მოიხაზა. მოკრძალებით იხსენებს ქართული მუსიკის ამაგდართა სახელებს (ამ დროს მას თვალები ბავშვურად უკრთის და იმაზე მეტი ვერაფერი უთქვამს ვიდრე: «ჩვენი ვანო, ჩვენი ზაქარია»...), მაგრამ როდესაც საუბარი ხალხურ მუსიკაზე ჩამოვარდება, მას თითქოს სიტყვები უთავდება და ურჩევნია მისი მშვენიერება თვით მუსიკით განგაცდევინოთ. წაიმღერებს რომელიმე მელოდიას და მისდა უნებურად მარჯვენა ხელიც მორჩილად აჰყვება ხალხური სიმღერის აღმავალ-დაღმავალ კადანსებს.

ამ დროს იგი თავის გარშემო მუსიკის მეტს არაფერს გრძნობს. ხოლო როდესაც ამ ოცნების სამყაროდან გამოერკვევა, შეგეკითხებათ:

— აბა, რას იტყვით?..

და თქვენ ხვდებით რომ მას კიდევ უნდოდა ეთქვა,—ხომ დიდებულია! — იგი საერთოდ სიტყვაძვირია.

ვიდრე თქვენ რამეს კითხავდეთ, ურჩევნია თვითონ შეგეკითხოთ. აქა-იქ სხარტად ჩართული შენიშვნებით, რომლებიც შორისდებულებს უფრო გვანან, გამოგეხაუბრებათ:

— არა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რა სრულქმნილი სილამაზე იმალება ქართულ მრავალხმიან მუსიკაში...

ქართული საგუნდო სიმღერები, დღემდე ფერშეუცვლელი პოლიფონიური სალებავებით, მას საკაცობრიო კულტურის უდიდეს მონაპოვრად მიაჩნია.

სწორედ ქართული საგუნდო სიმღერა გახდა მისი ხელოვნების შთამაგონებელი წყარო.

მაშინ დ. არაყიშვილი 15 წლისა ძლივს იქნებოდა. ჩრდილო კავკასიაში ალნიაშვილის გუნდი ჩეხი მომღერლის ი. ი. რატილის ლოტბარობით მართავდა კონცერტებს...

ქალაქში რომ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ რჩეულ ვაჟკაცებს შეხვდა, გადასწყვიტა: იმ საღამოს ქოსატყუილების პაექრობის ნაცვლად, რომელიც ძილის წინ მედუქნის საკუჭნაოში იმართებოდა ხოლმე, კონცერტზე გაპარულიყო...

შეგირდი ბიჭი კონცერტიდან გაბრუებული დაბრუნდა. ქართული ხალხური მელოსის სინატიფემ და მისმა ჰარმონიულმა თავისებურებამ ისე დაატყვევა ჭაბუკი, რომ იმავე ღამით პირდაპირ... გუნდების წერა დაიწყო...

1894 წელს არაყიშვილი უკვე მოსკოვის საფილარმონიო საზოგადოების მუსიკალური კურსის მსმენელია. იგი ახლოს ეცნობა რუსულ კლასიკურ მუსიკას, რამაც შემდეგ ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მისი შემოქმედების რეალისტური სახის ჩამოყალიბებაზე. ახალგაზრდა კომპოზიტორს და პირველ ქართველ დირიჟორს მალე მოსკოვის სახალხო კონსერვატორიაში ვხვდებით. ამ დიდი ქალაქის სხვადასხვა უბნებში მართავს იგი კონცერტებს და ქართული მუსიკის პოპულარიზაციას ეწევა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ემთხვევა მისი საქართველოში ჩამოსვლაც. ამ ულამაზეს მხარეში პირველად მოხვედრილი კაცის სიხარბით დაეწაფა იგი ქართული ბუნების მშვენიერებას და ის, რისი გადმოცემაც სიტყვებს არ შეეძლო, თავის დახვეწილ მუსიკას ათქმევინა. იგი თითქოს მთელი არსებით გრძნობს ქართული ლანდშაფტის მომხიბვლელობას, ყოველთვის რაღაც თავისებური და ადამიანური შეაქვს ბუნების სურათებში, მაგრამ არასოდეს ზედმეტ მგრძნობელობას არ იჩენს.

არაყიშვილი ინტიმურ-კამერული ჟანრის უბადლო ოსტატია. მან გააფართოვა ამ ჟანრის ჩარჩოები, წმინდა ქართული ინტონაციებით გაამდიდრა იგი.

არაყიშვილის რომანსები ქართული ბუნების მუსიკალური ტილოებია.

ივერიის მთების სისპეტაკე, არაგვის დაუდეგარი ტალღების სიდიადე შუქჩრდილებსავით ენაცვლებიან ერთმანეთს მის შემოქმედებაში და ამაღლებულ განწყობილებას ქმნიან. ისინი ესალბუნებიან ადამიანის გრძნობებს, მაგრამ არასოდეს არ აყუჩებენ მათ.

არაყიშვილის იდეალები არასდროს არ გასცილებია ცხოვრებას. იგი ორივე ფეხით მკვიდრად იდგა იმ მიწაზე, რომლის მადლმა და ბარაქამ არა ერთი და ორი ამაღელვებელი მუსიკალური სურათი გამოსტაცა კომპოზიტორს.

არაყიშვილისათვის თანამედროვე ცხოვრების პროცესი მუდამ იყო დაუსრულებელი სრბოლა უმაღლესი იდეალისაკენ, რომელიც სიმბოლიურად მზით შეფერილი უკეთესი მერმისის სახით ეხატებოდა.

ქართველი ხალხი დასაბამითვე ოცნებობდა თავისუფლებაზე, ოცნებობდა მზის ამოსვლაზე, რომელსაც მას თავისივე წიაღში გამოზრდილი გმირი მოუტანდა. მშობლიური ხალხის ამ მისწრაფებათა მკაფიო გამოხატულება იყო არაყიშვილის მიერ შექმნილი სიმფონიური პოემა «ჰიმნი ორმუზდს», რომლის შესრულებითაც საფუძველი ეყრება ქართულ პროფესიონალურ სიმფონიურ მუსიკას. ხალხურ მელოდიურ მასალაზე აგებული ეს ჰიმნი პირველი ქართული პროგრამული ნაწარმოებია, თუმცა მისი პროგრამის სიტყვებით გადმოცემა თითქმის შეუძლებელია. ეს უფრო ავტორის ლირიულ განწყობილებათა ვარიაციული გადმოცემაა, როდესაც მთელი ჰიმნი, განსაკუთრებით კი მისი ფინალი, მონუმენტურ ფორმებში კრისტალდება.

1913 წელს მან თბილისში სცადა ჰიმნის შესრულება. იტალიური ოპერა-ბუფის ბელ-კანტოზე სმენაშეჩვეულმა ქართველმა არისტოკრატებმა თავი შორს დაიჭირეს... რომელიმე დიდებული სტუმრის შესახვედრად გამართული ნადიმი რომ ყოფილიყო, სხვა საქმეა... სტუმრის მოსახიბლავად მტკვრის სანაპირო ბაღებში თუნდაც გათენებამდე აკვნესონ დუდუკი ქართველმა მომღერლებმა... მაგრამ, აბა, სად ჩვენ და სად სიმფონიური მუსიკაო...

## ბურლაკი

**(ნაწყვეტი)**

მწუხარე ბურლაკს,
სევდიან ბურლაკს
როგორც გხედავდი, კვლავ ისე გნახე...
არ შეუცვლიხარ შენ დროთა ბრუნვას!
იგივ ტანჯული, დაღლილი სახე!
იმავ ჭაპანში გაბმული კვნესი!
იგივ მწუხარე სიმღერა მესმის!
უცვლელი არის გარემო მკაცრი,
სად თაობათა წყება და წყება
ცოცხლობს და კვდება
და ისე ჰქრება,
რომ გაკვეთილი შვილებს არ რჩება.
ამ ნაპირებზე ორმოცი წელი
მშობელი მამა კვნესოდა შენი,
და არ იცოდა, კვდებოდა ოდეს,
რა ეანდერძნა შვილისთვის მშობელს.
. . . . . . . . . . . . .
შენც მამასავით უხმოდ ჩაჰკვდები,
შენც მამასავით უხმოდ გაჰქრები
გადიფარება ქვიშით და ქარით
შენი გზაც ისე, ვით მშობლის კვალი.

1860 წ.



# ნ. ნეკრასოვი

**(გარდაცვალების 75 წლისთავი)**

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი პოეტის ნიკოლოზ ნეკრასოვის ლექსები თავიდანვე ფართო გამოხმაურებას პოულობდა ქართველ მკითხველში, ქართველი ხალხი და მისი საუკეთესო შვილები დიდად აფასებდნენ თავისუფლების მომღერალი პოეტის შემოქმედებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ითარგმნა პოეტის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ჩვენი ჟურნალის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ნ. ნეკრასოვის სამ ლექსს, თარგმნილს მურმან ლებანიძის მიერ.

## ზინას

შენ ჯერ კიდევ გაქვს სიცოცხლის უფლება,
ჩემი მზე კი მალე დაიღრუბლება;
წავალ— ჩემი გახუნდება დიდება —
ნუ იდარდებ და ნურც გაგიკვირდება!
დე იცოდე, დიდხანს ჩემი სახელი
ვერ ინათებს, ვერ იბრწყინებს შვიდფერად,
მე მღერაში ხელს მიშლიდა ბრძოლები,
მე ბრძოლაში ხელს მიშლიდა სიმღერა.
ვინც დიდ მიზნებს ემსახურა დროისას,
ვინც მიუძღვნა მთელი თვისი ცხოვრება
ერთ დიდ საქმეს — ხალხისათვის ბრძოლისას,
მხოლოდ მისი სახე ემახსოვრებათ,
უკვდავებაც მხოლოდ იმას მოიცავს.

1877 წ.

* * *

წლები გადიან,
გადვილალე და ძლივსღა დავალ.
მძიმდება ტვინი
სისხლი გაშრა. მივალ, გეცლები.
დედავ რუსეთო,
სამარეში დღეს თუ ხვალ ჩავალ—
თავისუფლებას
ვიცი შენსას ვერ მოვესწრები!
მაგრამ მინდოდა,
სიკვდილის წინ მცოდნოდა მაინც,
რომ გზას ადგიხარ
სწორსა და მართალს;
რომ გუთნისდედა
უკვე ხედავს ხვალინდელ ამინდს,
როცა დღის ხნულში
მარცვალსა ჰფანტავს...
რათა ჩემს შემდეგ
ჩემს საფლავზე ჩამოერბინა
და მოეწვდინა
ერთი ჰანგი მშობლიურ ზეფირს,
რომელსა შინა
აღარ ისმის კვნესა და გმინვა
და კაცთა სისხლის,
კაცთა ცრემლის დუღილის ხმები.

1861 წ.



კომპოზიტორის შეუპოვრობამ თავისი გაიტანა. ქართული კლუბის შენობაში მისი დირიჟორობით პირველი რეპეტიციები დაიწყო. და როგორც ხუმრობით იტყვის ხოლმე კომპოზიტორი — დარბაზი გაჭედილი იყო... ორი კაცით. პარტერის შორეულ რიგებში სმენადგადაქცეული ვასო აბაშიძე და ვალერიან გუნია ისხდნენ.

— სავსე დარბაზის აზრს მერჩივნა ქართული სცენის ამ კორიფეების მიუდგომელი მსჯავრიო, — დასძენს კომპოზიტორი. რეპეტიციის ბოლოს ქართველმა მსახიობებმა ბავშვური აღფრთოვანებით მიულოცეს დიმიტრი არაყიშვილს.

ქართული კლუბის მამასახლისებს ღიად დარჩენილი კარებიდან შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ეს ამბავი და შემდეგ ერთმანეთს ასწრებდნენ, რათა მათთვის მიებაძათ, ერთმანეთს ასწრებდნენ, რათა პირველად ჩამოერთმიათ ხელი იმისათვის, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ არ დაუთმეს დარბაზი.

მალე კონცერტიც შედგა.

ეს საღამო ქართული მუსიკის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. ასევე სიყვარულით მიიღო ქართველმა საზოგადოებამ მისი რომანტიული ელფერით გამთბარი ოპერა — «თქმულება შოთა რუსთაველზე», რომლის მელოდიები პირველი შესრულებისთანავე მოიტაცა ხალხმა.

დაძაბულ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად, დ. არაყიშვილი ყოველთვის მზრუნველობით ეკიდებოდა ხალხური მუსიკის საგანძურს.

არაყიშვილისთვის მუსიკალური სახეების შექმნის პროცესი, ამავე დროს, კონკრეტული მუსიკალური ენის შექმნის პროცესიც იყო, რომლის გასაფორმებლად და ხორცშესასხმელად ქართული მუსიკა ფერებს უხვად იძლეოდა. მან ხარბად შეისუნთქა



მისი მაცოცხლებელი სიო და როგორც ეს მადლიერ და ჭეშმარიტ ხელოვანებს სჩვევიათ, ხალხისაგან აღებული ხალხსვე დაუბრუნა — თავისი დიდებული მუსიკის სახით.

1942 წლის შემოდგომის პირქუში დღეები იდგა. დარიალის მისადგომებთან სამშობლოს ბედ-იღბალი წყდებოდა. დიდი სტალინის ირგვლივ დარაზმული საბჭოთა ხალხი ერთი კაცივით აღსდგა მტრის წინააღმდეგ.

ამ დიდ საქმეში მხცოვანმა კომპოზიტორმაც დაიდო წილი. რადიოს მისი მუსიკის გამამხნევებელი მელოდიები მიჰქონდა მებრძოლებთან.

იგი სადირიჟორო პულტთან იდგა და თავის ახლად დამთავრებულ სიმფონიის ფრაგმენტებს ასრულებდა.

მას თითქოს მუსიკით სურდა გამოეთქვა გამარჯვების შეურყეველი რწმენა, მუსიკით სურდა გამოეთქვა საუკეთესო სურვილები იმ ადამიანისადმი, რომელიც მისთვის ყველაზე ახლობელი იყო. მისი გმირული სახის გამოხატვას მიუძღვნა კომპოზიტორმა თავისი ახალი სიმფონიის ფინალიც, სადაც ბელადი, სამშობლო და გამარჯვება ერთ ურღვევ მონოლიტად წარმოგვიდგინა.

ნახევარ საუკუნეზე მეტმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც მოსკოვის მუსიკალურ ჟურნალში დ. არაყიშვილის რომანსები პირველად გამოქვეყნდა.

მსხვილად გამოყვანილი სათაურის ქვეშ — «**На холмах Грузии**», მკრთალად ეწერა: **Музыка Д. Чернова**.

ეს არაყიშვილის ფსევდონიმი იყო.

ახალგაზრდა კომპოზიტორს, თვით ამ ჟურნალის ერთ-ერთ რედაქტორს, თავისი გვარი, თავისი ქართველობა როგორმე უნდა დაეფარა, თორემ ამ ახალ რომანსსაც არ ასცდებოდა დანარჩენების ბედი... ალბათ ისიც სხვებივით ეყრებოდა კომპოზიტორის არქივში, ან კიდევ რომელიმე მეგობრის ალბომში ხშირი ფურცვლისაგან გაიცრიცებოდა...

«**Музыка и жизнь**»-ის მაშინდელმა რედაქტორებმა დაუმალეს საზოგადოებას კომპოზიტორის ვინაობა. მათ დაუმალეს, მაგრამ მუსიკამ ვერ დამალა. ეროვნული კოლორიტით გამთბარი მისი მუსიკა, იმდენადვე ქართულია, რამდენადაც მშვენიერი.

მისი ხნოვანება ზუსტად მხოლოდ მისმა ბიოგრაფებმა იციან. ზოგი მათგანი ალბათ შიშობს კიდეც, ან ერიდება დაამრგვალოს რვა ათეულ წელიწადს მიღწეული კომპოზიტორის ასაკი. ამაო შიშია. ჭეშმარიტ ხელოვნებას დროის არ ეშინია.

თვითონ კომპოზიტორი წლებს გაზაფხულით ითვლის...

შარშან გაზაფხულზე... აი, იმ გაზაფხულს... გაზაფხულის დამლევს — იტყვის ხოლმე ხშირად საუბარში.

და მისი მუსიკაც ქართული გაზაფხულის, ქართული ბუნების მშვენიერების დაუსრულებელი სიმღერაა!..

**ვახტანგ ნადარეიშვილი**

# ამერიკული სამსახურის მინისტრი

ო. გიგინეიშვილი

ანკარის გორაკიდან, სადაც ძველი ქალაქი იყო გაშენებული, ნელი სიო უბერავდა და ოდნავ არხევდა გაზეთის ფურცლებს, რომელიც ხელში ეჭირა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს თურქეთში ედვინ ვილსონს. უკვე ათამდე წელია ეს ელჩი თურქეთში იმყოფებოდა, მაგრამ თურქული მაინც არ ისწავლა, და ამიტომ ახლა კითხულობდა «ლა რეპუბლიკს», თურქულ გაზეთ «ჯუმჰურიეთის» ფრანგულ გამოცემას. მხოლოდ ნაშუადღევს მის სამუშაო კაბინეტში, სადაც ის ახლა იჯდა, შემოვიდოდა ხოლმე საელჩოს პრეს ატაშე და შემოიტანდა თურქული გაზეთებიდან ამოღებული სტატიების ინგლისურ თარგმანებს, გადაბეჭდილს თხელ ქაღალდზე. მათ შორის ვილსონი სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდა სტამბოლის უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტის ყოფილი დეკანის პროფესორ მეჰმედ ფუად ქეფრულუს სტატიებს.

დღევანდელი თარგმანების დასტაშიც აღმოაჩინა მან ქეფრულუს სტატიის თარგმანი გაზეთ «ვათანიდან». სტატია საქართველოს ეხებოდა. ქეფრულუ სწერდა: არ არსებობს ქართული კულტურა, ხოლო ის, რასაც უწოდებენ ქართულ კულტურას, არის ნარევი ირანული, ბიზანტიური და მუსლიმანური კულტურებისა და, ასე წარმოიდგინეთ, თურქული კულტურისაც კი. საქართველოს ხსენებაზე ელჩს თვალწინ წარმოუდგა ის ოქროს ზოდები, რომელიც ასე უხვად დახარჯა ჯერ ინგლისმა, ხოლო მე-20 საუკუნეში შეერთებულმა შტატებმა, რათა თურქეთი დამკვიდრებულიყო საქართველოში. ახლა ხომ საქართველოც, თურქეთივით ამერიკელებისა იქნებოდა!..

ელჩს ღიმილი მოერია, მას გაახსენდა ქეფრულუ, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ათათურქის ბულვარისა, სადაც ამერიკის საელჩო იმყოფებოდა. მაინც როგორ ვერ გაიხსენა იგი აქამდე. მოაგონდა მისი ჩია ტანი, ანთებული გესლიანი თვალები... უთქვამთ ისიც, რომ მეჰმედ ფუადი დიდების მანიით არის შეპყრობილიო; თუმცა თავისი დიდებისა გულის სიღრმეში თვითონაც არა სჯეროდა. ელჩმა იცოდა, რომ ასეთი ადამიანები ხელისუფლებისაკენ მიილტვიან ყოველგვარი საშუალებებით. მართალია ქეფრულუ თავის ნაწერებში ამტკიცებდა, მომავალში თურქებმა მთელს აღმოსავლეთზე უნდა იბატონონო, მაგრამ ისიც იცოდა, თუ ვისთან რისი ლაპარაკი შეიძლებოდა. ქეფრულუს უყვარდა ნაპოლეონის გამოთქმის განმეორება, «მახლობელი აღმოსავლეთი მსოფლიოს გზაჯვარედინიაო» ოღონდ თავისას უმატებდა, რომ თურქეთიც ამ გზაჯვარედინის გასაღებიაო. სწორედ ასე უთხრა მან ვილსონსაც ამ რამდენიმე ხნის წინათ, დარბაზობის დროს, საფრანგეთის საელჩოში, შემდეგ ოდნავ წელში მოიხარა, ქვევიდან ეშმაკურად შეაპარა თვალი ელჩს და განაგრძო: «ჩვენ თურქები ჩამორჩენილი და ღარიბი ხალხი ვართ» ვილსონისათვის გასაგები იყო, რისი თქმა სურდა მეჰმედ ფუადს.

იმავე დღეს საელჩოს მრჩეველმა, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის დავალებებს ასრულებდა, ვილსონისგან დავალება მიიღო, ყოველმხრივ შეესწავლა მეჰმედ ფუადი და წერილობით მოეხსენებინა ელჩისათვის.

საღამოს შეერთებული შტატების საელჩოში შედგა თათბირი, რომელსაც ვილსონის გარდა, ესწრებოდნენ ამერიკული მონოპოლიების «დილონ რიდ კომპანის», «სოკონი ვაკუმ ოილის», «ჯენერალ მოტორს»-ის და სხვათა წარმომადგენლები. ისინი არ იყვნენ კმაყოფილნი ელჩის მუშაობით და ამას არც მალავდნენ. მათი აზრით, საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება და თურქეთის მთავრობის სათავეში «ენერგიული ფიგურების» დაყენება.

ქემალისტურმა პარტიამ, რომელსაც ოფიციალურად სახალხო-რესპუბლიკური პარტია ერქვა და მისმა მეთაურმა ისმეთ ინენიუმ ხალხში ყოველგვარი ავტორიტეტი დაჰკარგეს. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. მრავალი წლის მეგობრობამ ჰიტლერთან და მუსოლინისთან, ფაშისტურ ქვეყნებისადმი მეორე მსოფლიო ომის დროს გაწეულმა აშკარა დახმარებამ მთელს მსოფლიოს დაანახვეს ისმეთისა და მისი პარტიის ნამდვილი სახე. ამავე დროს ამერიკელებს სურდათ, რომ თურქეთში გაუქმებულიყო მრავალი კანონი, რომლებიც ერთგვარად ზღუდავდნენ უცხო კაპიტალს. ამისათვის კი ისმეთი ნაკლებად გამოდგებოდა.

თუმცა არც ისმეთისა და არც მისი პარტიის წინააღმდეგ ამერიკელებს არაფერი საწინააღმდეგო არა ჰქონიათ. ისმეთი ხომ თავიდანვე «ამერიკელთა კაცი» იყო თურქეთში. ჯერ კიდევ 1919 წლის 27 აგვისტოს იგი ამიერკავკასიის ხალხთა ჯალათს, თავის პირად მეგობარს ქიაზიმ კარაბექირს, როცა ეს უკანასკნელი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა სომხეთისა და საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს, სწერდა, რომ იგი ურჩევს ყველას გადასცენ თურქეთი ამერიკის კონტროლქვეშ. შეერთებული შტატების ნდობის მოხვეჭის შემდეგ იგი გახდა ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ პრემიერი და ბოლოს პრეზიდენტი. ისმეთიც არ დაიბნა, და ახლა გაზეთებიც ვეღარ მალავენ, რომ მან სახელმწიფო მოღვაწის კარიერა დაიწყო პოლკოვნიკის ჯამაგირით (მაშინ ის პოლკოვნიკი იყო), ხოლო ბოლოს, როდესაც პრეზიდენტობას მიაღწია, ფარაონივით მდიდარი გახდა.

შეერთებული შტატებისათვის აშკარა გახდა, რომ მომავალში სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაზე დაყრდნობა სახიფათო იყო. აღარც ავტორიტეტდაცემული ისმეთი გამოდგებოდა. უახლოეს წლებში მოსალოდნელი იყო თურქეთის ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი მკვეთრი გაუარესება. «აგრარული კანონით», რომელიც 1945 წელს მიიღეს, დიდხანს ვერ აუხვევდნენ თვალს გლეხობას, უმუშევრობა იზრდებოდა, მოსახლეობის საარსებო დონე კატასტროფულად ეცემოდა, ხალხის უკმაყოფილება მთავრობის პოლიტიკით სწრაფად იზრდებოდა. წონასწორობის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო დემაგოგიური კამპანიის ფართოდ, თურქეთისათვის ჯერ კიდევ არნახული მასშტაბებით გაშლა, «დამნაშავის პოვნა», ამ «დამნაშავისათვის» ყველაფრის გადაბრალება და ამ აურზაურში უცხოეთის კაპიტალისათვის თურქეთში ყოველგვარი შეზღუდვების მოსპობა, თურქეთის საბოლოოდ გადაქცევა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პლაცდარმად.

ასე გადაწყდა თურქეთში ახალი პარტიის შექმნა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შეცვლიდა სახალხო რესპუბლიკურ პარტიას. ახალი პარტიის სათავეში ცხადია, უნდა მდგარიყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის აბსოლუტურად სანდო პირები. ვაშინგტონმა ამ ახალ პარტიისათვის გამონახა კიდეც სახელწოდება «დემოკრატიული» და ამრიგად ამიერიდან თურქეთში შეერთებული შტატების მსგავსად ორი მთავარი პარტია იქნებოდა—რესპუბლიკური და დემოკრატიული. ერთი სიტყვით, სულ ისე, როგორც ამერიკაში.

როდესაც ვილსონი გაეცნო საელჩოს მრჩევლის მიერ შედგენილ ცნობას ქეფრულუს შესახებ, მისთვის გასაგები გახდა, რომ მეჰმედ ფუადი სწორედ ზედგამოჭრილი იქნებოდა მისი ახლანდელი მიზნებისათვის.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ ენვერ ფაშას აღტაცებული მიმდევარი მეჰმედ ფუადი, შეუდგა ენვერის გიჟური იდეების «თეორიულ» დასაბუთებას. მან გერმანელი იმპერიალისტების ლოზუნგი «გერმანია ყველაზე უფრო მაღლა» თავისებურად გადააკეთა: «თურქეთი ყველაზე უფრო მაღლა». პანთურქიზმის მამამთავრების ზია გოკ ალპის, ისმაილ გასპირალისა და თექინ ალპის მოწაფე ქეფრულუ თავისი მასწავლებლების მსგავსად მოუწოდებდა თურქებს, შეექმნათ მსოფლიოში უვრცესი სახელმწიფო, უნაპირო თურანი, გადაჭიმული ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან წყნარ ოკეანემდე. ამაში ხედავდა იგი თურქთა მოდგმის «ისტორიულ მისიას». იგი გამუდმებით იმეორებდა «პოეტ» მეჰმედ ემინის სიტყვებს «ასობით მილიონო თურქო, ძველო და ახალო თურქესტანო, მთელი მსოფლიო და მომავალი შენია».

მართალია, ქეფრულუ ვითომდა თაყვანსა სცემდა თურქულ ენას, მაგრამ წერას და ლაპარაკს ამჯობინებდა ფრანგულად; მართალია, იგი ვითომ ეტრფოდა თურქეთს, ანატოლიის მთებსა და ველებს, მაგრამ სტამბოლსა და ანკარასთან შედარებით, უპირატესობას აშკარად პარიზის ბულვარებსა და სალონებს ანიჭებდა. ბოლოს «მეცნიერებას» პოლიტიკოსობა ამჯობინა, ხოლო სტამბოლის უნივერსიტეტის კათედრას—მეჯლისის ტრიბუნა...

ასე დასტოვა მან სტამბოლის უნივერსიტეტის დეკანის კაბინეტი, იმ იმედით, რომ ოდესმე მინისტრის კაბინეტში წამოიჭიმებოდა. სხვა პანთურქისტებთან ერთად ათათურქს ამოუდგა გვერდში და მალე გახდა თურქეთის დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) დეპუტატი ყარსის ვილაიეთიდან. ყარსი, ართვინი, არტანუჯი, მისი აზრით, ხომ ჭიშკარია თურანისაკენ, რომელიც მტკიცედ უნდა ეპყრას ხელში თურქეთს, რომ შესაფერ მომენტში დაიძრას აღმოსავლეთისაკენ....

ახალი პარტიის ხელმძღვანელთა შორის, რომლებიც ათათურქის ბულვარზე შეარჩიეს, იყვნენ: მსხვილი ბანკირი, ამერიკის ფინანსიურ მაგნატებთან მეტად დაახლოებული თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ათათურქის დროს, ჯელალ ბაიარი; მსხვილი მემამულე ადნან მენდერესი, (იგი, მართალია, ფართო საზოგადოებრიობისათვის აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი, მაგრამ ათათურქის ბულვარზე კარგად ახსოვდათ, რომ მრავალი წლის წინათ, ლოზანის კონფერენციის პერიოდში მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადნან მენდერესი ბევრს ლაპარაკობდა ამერიკის მომავალზე თურქეთში); რეფიკ კორალთანი, ხელობით პოლიციელი, ტრაპიზონის პოლიციის ყოფილი უფროსი, შემდგომში ტრაპიზონისა და ჭოროხის ვილაიეთების გუბერნატორი (ვალი), რომელსაც დავალებული ჰქონდა ლაზისტანის მოთვინიერება; და, ბოლოს, მეჰმედ ფუად ქეფრულუ.

რამდენიმე ხნის შემდეგ გათამაშებული იქნა ამ პირთა დემონსტრაციული გამოსვლა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიიდან, ხოლო 1946 წლის 7 იანვარს გამოცხადდა «დემოკრატიული» პარტიის შექმნა. თურქეთის გაზეთებმა აუწყეს ქვეყანას თურქეთში ახალი «დემოკრატიული» ერის დაწყება, და რომ არავის ეჭვი არ შეპარვოდა, რომ ეს სწორედ ასეა, რამდენიმე დღის შემდეგ სტამბოლის პოლიციამ დაარბია დემოკრატიული გაზეთების «ტანის», «იენი დუნიას» და ჟურნალ «გიორუშლერის» რედაქციები, ხოლო 21 თებერვალს დააპატიმრეს თურქეთის დემოკრატიული პრესის რედაქტორები და თანამშრომლები. რადიოკომენტატორი ნურედინ ართამი კი გაიძახოდა: «საჭიროა, ყოველ თავისუფალ მოაზროვნე თურქის თავში ჩავაყენოთ ციხის ზედამხედველიო».

ახლოვდებოდა 1950 წლის მაისის არჩევნები მეჯლისში. შეერთებული შტატები სულ უფრო და უფრო უჭერდნენ მარყუჟს თურქეთს. «ტრუმენის დოქტრინამ» და «მარშალის გეგმამ» თავისი ნაყოფი გამოიღეს. განადგურდა თურქეთის მრეწველობა, მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა. 36 ათასი სტამბოლელი ფეიქრიდან 15 ათასზე მეტი უმუშევარი იყო. თურქეთის რეაქციული პრესაც ვეღარ მალავდა ამ მდგომარეობის ნამდვილ მიზეზს. იგი ერთსულოვნად აღიარებდა, რომ მიზეზი ამერიკული იმპორტია. მარტო ქსოვილების წარმოება 25% შემცირდა, ამერიკულმა ნეილონმა გაანადგურა თურქეთის საქსოვი ფაბრიკები. გაზეთი «ვათანი», რომელშიც თანამშრომლობდა ქეფრულუ, აღიარებდა, რომ იმ დროს, როდესაც თურქეთში საარსებო მინიმუმი თვიურად უდრის 389,33 ლირას, მუშის ხელფასი თურქეთში, როგორც წესი, არ აღემატება 70 ლირას.

გლეხობა ღატაკდებოდა. გაზეთი «ჯუმჰურიეთი» სწერდა: «გვალვით გამოწვეუ-

ლი უმუშევრობა ცენტრალურ ანატოლიაში საშიშ ხასიათს იღებს, არ არის მარცვლეული, არ არის საკვები პირუტყვისათვის. გლეხები მოაწყდნენ ქალაქებს. შაქრის ქარხანა თუსპალეში, რომელიც მუდამ განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას, ამჟამად ალყაშემორტყმულია უმუშევარი გლეხების მიერ. 5 ათასი გლეხი დგას რიგში, რომ მიიღოს სამუშაო ამ ქარხანაში».

იგივე გაზეთი, ეხება, რა «ნოეს კიდობანის» «საძებნელად» ჩამოსულ ექსპედიციას, სწერდა: «სმიტის ექსპედიციამ ვერ ნახა ნოეს კიდობანი, მაგრამ მან ნახა ნოეს ეპოქის ცხოვრება, ვინაიდან ტანსაცმელი, საცხოვრებელი და სოფლის მეურნეობის იარაღები ისეთივე დარჩა როგორც ნოეს დროს იყო».

ჯერ არნახული შიმშილი მძვინვარებდა ლაზისტანსა და ჭოროხში, ათასობით ქართველი ლტოლვილი, თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებიდან, მიაწყდა სტამბოლსა და ზონგულდაკს, ბურსასა და იზმირს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახაზო გემების ყელმოღერებული ზარბაზნები, სტამბოლისა და იზმირის რეიდებზე, ამერიკის ინტერესებისათვის ნაკლებად საიმედო გარანტია იყო. ამას კარგად გრძნობდნენ ათათურქის ბულვარზე. მაშინ მიცემულ იქნა ნიშანი და ამოქმედდა დემოკრატიული პარტიის ამერიკულ ყაიდაზე მომართული სააგიტაციო მანქანა,—ბაიარი, ქეფრულუ, კორალთანი და მენდერესი დადიოდნენ ვილაიეთიდან ვილაიეთში, ქალაქიდან ქალაქში, ყველაფერს აბრალებდნენ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას და ისმეთ ინენიუს; აეროდრომებსა და რკინიგზის სადგურებზე ისინი იგებდნენ, რა სჭირდებოდა ამა თუ იმ ადგილის მოსახლეობას: — თუ ადგილი ურწყავი იყო, პირდებოდნენ არხებს, თუ არ იყო გზები, პირდებოდნენ გზებს, ხიდებს და რაც მთავარია გლეხობას ყველგან პირდებოდნენ მიწას. თავის გამოსვლებში ქეფრულუ აცხადებდა, რომ «ყველაფერში დამნაშავეა პრეზიდენტი ისმეთ ინენიუ, მისი მთავრობის პოლიტიკა უვარგისია», «სახალხო რესპუბლიკურმა მთავრობამ შექმნა კაპიტალისტური, ბიუროკრატიული და ექსპლოატატორული სახელმწიფო», «სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილია», «მრეწველობა და წარმოების დონე ჩამორჩენილია», ქეფრულუს ბანს აძლევდა მენდერესი «ძველმა მთავრობამ გაგვანადგურაო», ბაიარი კი, როგორც ფინანსისტი, მდგომარეობას ლირებით აფასებდა და ითვლიდა სახელმწიფო ვალს, რომელმაც 2,5 მილიარდ ლირას მიაღწია, «მისტიროდა» თურქეთის სახელმწიფო ოქროს მარაგს, რომელიც ხუთიოდე წელიწადში 214 ტონიდან 130 ტონამდე შემცირდა.

1950 წლის 14 მაისის არჩევნებმა გამარჯვება მოუტანეს დემოკრატიულ პარტიას. პრეზიდენტი გახდა ჯელალ ბაიარი, პრემიერი ადნან მენდერესი, ხოლო საგარეო საქმეები ჩააბარეს მეჰმედ ფუადს, ვინაიდან გზებს ვაშინგტონისა, ლონდონისა და პარიზისაკენ ყველაზე უფრო კარგად იგი იცნობდა.

მეჯლისის პირველსავე სხდომაზე დემოკრატიულმა პარტიამ აიხადა ნიღაბი. დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთი «ზაფერი» იუწყებოდა, რომ ახალი მთავრობის სამოქმედო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრძოლას მემარცხენე მიმდინარეობათა წინააღმდეგ, რომელნიც ძირფესვიანად იქნებიან აღმოფხვრილნიო.

ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ფუად ქეფრულუ დაუყოვნებლივ გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში. პარიზსა და ბრიუსელში იგი მოწიწებით იხრებოდა ამერიკის ელჩებისა და სხვა წარმომადგენელთა წინაშე, არწმუნებდა მათ ერთგულებაში, ტკბებოდა პარიზისა და ბრიუსელის რეაქციულ გაზეთებში მოთავსებულ თავის ფოტოგრაფიებით, მართავდა უამრავ პრესკონფერენციას და ლაპარაკობდა გაუთავებლად.

ყველასათვის გასაგები გახდა, რომ მეჰმედ ფუადი, მართალია, თურქეთის მინისტრია, მაგრამ მინისტრი ამერიკული წარმოშობისა (თუმცა იგი პარიზის სალონებში ირწმუნებოდა, რომ მისი მეორე სამშობლო საფრანგეთია და არა ამერიკა). მან ისე აშკარად მოხაზა თურქეთის საგარეო პოლიტიკა «ამერიკულად», როგორც ვერ გაბედა ვერც ერთმა მისმა წინამორბედმა. უპირველეს ყოვლისა, აღმოჩნდა, რომ მეჰმედ ფუადს ჰყვარებია პაქტები. ამ მხრივ მისი გემოვნება არაფრით არ განსხვავდება შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გემოვნებისაგან. «აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის პაქტი», ანტისაბჭოთა «საადაბადის პაქტი», ამერიკული ვარიანტით აღორძინებული ბალკანეთის ანტანტა საბერძნეთის, იუგოსლავიისა და თურქეთის მონაწილეობით.

ქეფრულუ არწმუნებდა ამერიკელებს, რომ მხოლოდ თურქეთი შეიძლება იყოს მახლობელ აღმოსავლეთში ამერიკის პოლიტიკის დასაყრდენი. თითქოს დღიდან კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენისა, თურქები სულ იმის მოლოდინში იყვნენ, როდის მოვიდოდა მათთან ამერიკა. მან აშკარად განაცხადა, «თურქეთის ახალ მთავრობას ექნება დასავლური ორიენტაცია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ჰქონია რომელიმე თურქეთის მთავრობასო». «მე უკვე არა ერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ,—სწერდა იგი, — რომ ჩვენი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებულია ამერიკასთან მეგობრობაზე» და, ქეფრულუს აზრით, ყოველგვარ ასეთ პაქტს მახლობელ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სათავეში თურქეთი უნდა ჩაუყენონ.

მეჰმედ ფუადს თვალნათლივ წარმოუდგა პაქტების საშუალებით თურქეთს დამორჩილებული აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები და ისე ეგონა, თითქოს ახლა გვერდში ედგა ჰაირედდინ ფაშა ბარბაროსი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების თურქი დამპყრობელი, სულთან სულეიმან პირველის «ადმირალი», სინამდვილეში კი ყაჩაღი და მეკობრე, რომელიც,—ჩინგის ყაენის, თემურ ლენგის, მაჰმუდ ღაზნეველისა და აღმოსავლეთის ტრამალებიდან მოსულ სხვა ველურ ხმალშემართულ დამპყრობლებთან ერთად,—თურქმა «ისტორიკოსებმა», ქეფრულუს ხელმძღვანელობით თურქეთის ეროვნულ გმირებად გამოაცხადეს, აღმოსავლეთის ხალხთა «კეთილისმყოფელებად» აღიარეს და თურქეთის ახალგაზრდობას მოუწოდეს მათთვის მიებაძათ. «საადაბადის პაქტის» სახით კი წარმოიდგინა თურქეთს დამორჩილებული ირანი, ავღანისტანი და ერაყი!.. ამით ის ხომ გადააბიჯებდა სულთან სულიმ პირველის მახვილით გავლებულ თურქეთის აღმოსავლეთის საზღვარს და გასწევდა თურანის აღმოსავლეთ საზღვრებისაკენ! ბალკანეთის პაქტი კი მას გააბატონებდა ბალკანეთზე და სულთან სულეიმან პირველივით ამოჰყოფდა თავს ვენის კედლებთან!..

ამიერიდან მეჰმედ ფუადი აღარ სცილდებოდა ვაშინგტონს, პარიზსა და ლონდონს. ამერიკელები არ დარჩნენ უკმაყოფილონი ვილსონის არჩევანით, ქეფრულუმ ყველაფერი გააკეთა, რათა შეესრულებინა ამერიკელთა მოთხოვნა, კორეაში ჯარისკაცების გაგზავნის შესახებ. როდესაც შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს თურქეთის შეყვანა აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში, მეჰმედ ფუადმა თავს იდვა ეს მისია. თურქეთი აქ ისე აშკარად ემორჩილებოდა ამერიკის დიქტატს, რომ მრავალი თურქი რეაქციონერიც კი შეშფოთდა. თურქეთში ყველასათვის გასაგები გახდა, რომ ატლანტიკის პაქტზე ხელისმოწერა, ეს იყო თურქეთის სუვერენიტეტზე საბოლოოდ უარის თქმა, ტერიტორიის დათმობა ამერიკის სამხედრო ბაზებისათვის, ნედლეულის და ბუნებრივი სიმდიდრეების მთლიანი გადაცემა უოლ-სტრიტის მაგნატებისათვის, თურქეთის არმიის სრული დამორჩილება ამერიკისადმი. ქეფრულუზე არა ნაკლებად რეაქციონერი ბაიური იმ დღეებში სწერდა, «მთავრობა მეტად საშიშ გზას დაადგაო». ქეფრულუმ კი მეჯლისის წინაშე ვერც გაბედა ეთქვა ყველაფერი, თუ რა პირობებით მიიღეს თურქეთი ატლანტიკის ბლოკის წევრად.

კორეაში თურქი ჯარისკაცების გაგზავნისა და თურქეთის ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში მიღებისას, ამერიკა ერთხელ კიდევ დარწმუნდა ქეფრულუს ერთგულებაში. იგი ერთგულია ამერიკისა, ინგლის-ამერიკის ბრძოლაშიც მახლობელი აღმოსავლეთისათვის. ეს მან დაამტკიცა, როდესაც მენდერესთან ერთად გასული წლის ოქტომბერში ეწვია ლონდონს. ქეფრულუს სძულს ყოველგვარი ანტიიმპერიალისტური ბრძოლა. იგი აძაგებდა ირანს, როდესაც იქ მოახდინეს ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის ნაციონალიზაცია. იგი აღშფოთებული იყო ეგვიპტელებით, როდესაც ისინი სუეცის არხის ზონიდან ერეკებოდნენ ინგლისელებს. იგი არწმუნებდა ამერიკელებსაც და ინგლისელებსაც, რომ თუ ისინი თურქეთს ჩააყენებენ მახლობელი აღმოსავლეთის სათავეში, მაშინ თურქეთი შესძლებს უფრო ეფექტიურად დაეხმაროს მათ მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამერიკა-ინგლისის თითქმის ყველა ბევრად თუ ნაკლებად ცნობილმა გენერალმა მოიარა თურქეთი და ყველა მათ ხვდებოდა და აცილებდა ქეფრულუ....

ახლა ამერიკის საელჩოში, ვილსონის მაგივრად, ზის მაკგი. იგი სულ რამდენიმე ხნის წინათ დაბრუნდა ხანგრძლივი მოგზაურობიდან. მან ინახულა ტრაპიზონი, რიზე, ხოფა, ართვინი, არდაგანი... ყველაფერს დახედა პატრონის თვალით. მას წინ უდევს ცნობები ამერიკის კაპიტალის დაბანდებათა შესახებ თურქეთში და «სტანდარტ ოილ კომპანის», «ჯენერალ მოტორსის» და სხვა მონოპოლიების წარმომადგენელთა ანგარიშები, გეგმები...

სულ რაღაც წელიწადი და რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თურქეთის მეჯლისმა 1951 წლის 1 აგვისტოს მიიღო კანონი, რომლის ძალითაც უცხოეთის კერძო კაპიტალი თურქეთში სარგებლობს ისეთივე პრივილეგიებით, როგორც ნაციონალური თურქული, და ამერიკის კერძო კაპიტალის დაბანდებებმა თურქეთში უკვე მიაღწია 33 მილიონ დოლარს. აქედან ნავთის მრეწველობაში დაბანდებულია 8 მილიონი, თამბაქოს მრეწველობაში — 6 მილიონი და ა. შ. თურქეთის ეკონომიკის ყველა დარგი გაამერიკულდა. ამ ორიოდე წლის წინათ ჯელალ ბაიარი მისტიროდა თურქეთის ოქროს მარაგს და ყველაფერს ისმეთ ინენიუს აბრალებდა. მაგრამ ჯელალ ბაიარის პრეზიდენტობის პერიოდში ოქროს მარაგი კვლავ შემცირდა. სულ რამდენიმე კვირის წინათ თურქეთიდან უცხოეთში კვლავ გაგზავნეს 20 ტონა ოქრო. საგარეო ვაჭრობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა მიაღწია სარეკორდო ციფრებს. 1952 წლის პირველი 10 თვის საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა მიაღწია 484 მილიონ ლირას, იმ დროს, როდესაც 1951 წლის იმავე პერიოდში იგი უდრიდა 221 მილიონს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 1952 წ. მიაღწია 199,3 მილიონ ლირას, ხოლო გაზეთ „ულუსის“ ცნობით 1953 წელს იგი კვლავ გაიზრდება.

თურქეთის გაზეთები აჭრელებულია ცნობებით გლეხებსა და ჟანდარმებს შორის შეტაკებათა შესახებ. ამ შეტაკებებში მონაწილეობენ უკვე არა ერთეულები, არამედ ხშირად მთელი სოფლები. გლეხები ინაწილებენ მემამულეთა მიწებს. მეჯლისის შეშფოთებული დეპუტატები აღნიშნავენ, რომ ხალხი შეიარაღებულია, და მთავრობიდან მოითხოვენ მოსახლეობის დაუყოვნებლივ განიარაღებას. დემოკრატიული პარტიის მესვეურები გლეხობას პირდებოდნენ მიწას და ახლა ეს დაპირება „შეუსრულეს“. ამას წინათ თურქეთის მეჯლისმა მიიღო კანონი № 5917, იმ პირთათვის სასჯელის გაძლიერების შესახებ, ვინც ხელჰყოფს მსხვილ მემამულეთა მიწასა და უძრავ ქონებას, ხოლო თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-141 და 142 მუხლი შეცვლილ იქნა და ამიერიდან ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას იმ პირთათვის, ვისაც ბრალად დაედება კომუნისტური მოღვაწეობა.

ამბობენ, რომ მაკგი, ისევე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ ვილსონი, თურქეთში ახალ „ენერგიულ ფიგურებს“ ეძებს. მისი კარნახით მენდერესი განუწყვეტლივ სცვლის მინისტრებს. ნოემბერში კვლავ იქნა დათხოვნილი რამდენიმე მინისტრი. მათ შორის სამხედრო მინისტრიც. გაზეთმა სხვათა შორის აღნიშნა, რომ მენდერესი მინისტრებს არჩევს არა საქმიანი ნიშნის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვის სჩვევია უსიტყვოდ დამორჩილება.

ქეფრულუმ ამ უკანასკნელ დროს კვლავ მიმართა წარსულის ლანდებს. ახლა იგი ყურანზე აფიცებს არაბეთის ქვეყნებს, რომ მათაც გაატარონ, ერთმორწმუნე თურქეთივით, ამერიკასთან „მეგობრობის“ პოლიტიკა.

თურქეთში კი, მიუხედავად გაძლიერებული რეპრესიებისა, სულ უფრო და უფრო ხშირად გაიგონებთ: „ძირს ამერიკელი ოკუპანტები“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ხიდი მდინარე მტკვარზე

უკვე წელიწადზე მეტია, რაც ელბაქიძის ხიდის ადგილას ახალი ხიდის მშენებლობა დაიწყო. ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობა დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ამ მშენებლობას. ეჩქარებოდათ მისი დასრულება. ეს ხომ ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა უნდა ყოფილიყო დედაქალაქში. ამაზე მოგვითხრობდა ჟურნალ-გაზეთებში წინასწარ მოთავსებული ცნობები და მომავალი ხიდის პროექტი.

ამავე დროს, ამ ხიდის აგება ხელს შეუწყობდა ტრანსპორტის ფართო მოძრაობას ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და გაუადვილებდა მოსახლეობას ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში მიმოსვლას.

პირველ ხანებში სამუშაოები ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მშენებლობის დასრულების ვადები რამდენჯერმე შეიცვალა. ნამდვილი მუშაობა ამ ობიექტის ასაშენებლად 1952 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. ჩვენს თვალწინ დღითი დღე სახეს იცვლიდა ეს მშენებლობა.

მთელი სამშენებლო ტექნიკა იქნა გამოყენებული. ბულდოზერები, ექსკავატორები, ტრაქტორები, გზის მტკეპნელები, ათეული ტვირთმზიდი მანქანები დღედაღამ მუშაობდნენ მშენებლობაზე. სხვადასხვა სპეციალობის ასეული ადამიანი ფუსფუსებდა აქ. ერთდაიმავე დროს კეთდებოდა მრავალი სხვადასხვა სახის სამუშაოები, ისე რომ ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ, ორგანიზებულობა სჩანდა სამუშაოთა ყველა უბანზე.

ხიდის მშენებლებმა პირნათლად შეასრულეს დაპირება. 21 დეკემბერს ხიდზე მოძრაობა დაიწყო.

ახალი ხიდის ცენტრალური მალი 70 მეტრის სიგრძისაა და მთელს მტკვრის სიგანეზეა გადაჭიმული. ხიდს აქვს აგრეთვე ორივე მხარის სანაპიროზე გადადგმული ორი მალი, თვითეული 20 მეტრის სიგრძისა. მთელი ხიდი 900-დე ტონას იწონის. თუ რამდენად დიდი სამუშაო იყო ჩატარებული ამ ხიდის ასაგებად, ამაზე ზოგიერთი ციფრები მეტყველებენ: შესრულებულია 35.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო, ჩასხმულია 18.000 კუბმეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, ბოლნისის ტუფისაგან დამზადებულია 1.500 კვ. მეტრი მოსაპირკეთებელი ქვა და სხვ.

67 წელს ემსახურებოდა თბილისის მოსახლეობას ძველი ვერის ხიდი. უწინ არავის ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ეს ხიდი როდესმე ძალზე პატარა გახდებოდა გაზრდილი ქალაქის მოძრაობისათვის. მაშინდელ ქალაქის სამმართველოს საკამათოდაც კი მიაჩნდა ვერის ხიდის მშენებლობის საჭიროება. ეს ადგილი ქალაქის განაპირად ითვლებოდა და შიშობდნენ: აქ აშენებულ ხიდზე ნაკლები მოძრაობა იქნება და ქალაქს ამ ხიდიდან ბაჟის სახით ნაკლები შემოსავალი ექნებაო.

მეტად დამახასიათებელია ვერის ხიდის გახსნის დღეებში «დროების» ფურცლებზე მოთავსებული ცნობები.

პირველ დღეს «ზეიმის» აღსანიშნავად უფასო მოგზაურობა დააწესეს. «ეკიპაჟებს ნება ჰქონდათ უფასოდ სიარულისა და მეორე დღიდან კი თითო შაური გამოერთმევათ. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს, რომ წელიწადში 12000 მანეთი შემოვა ამ ხიდიდან»-ო, იუწყებოდა «დროება».

მაშინდელი ქალაქის მესვეურები ყოველ ახალ წამოწყებას შემოსავლის თვალსაზრისით უყურებდნენ. არა ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, არამედ ფული, მოგება, ასე უყურებდა ქალაქის თვითმართველობა ქალაქის გასაშენებლად მიმართულ ყოველგვარ ღონისძიებას.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი ახლა ყოველდღიურად იზრდება, მშვენიერდება, ფერს იცვლის. და რა დიდი პერსპექტივა აქვს მას კიდევ უფრო კეთილმოწყობილ ქალაქად გადაქცევისა! ყველაფერი ეს საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის ხდება.

სტალინის სახელობის ახალი ხიდიც ამის დამადასტურებელია. იგი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი კარგი ნაგებობა და ცენტრალური მაგისტრალია.

# „ოთარაანთ ქვრივი“

## ჭიათურის თეატრში

აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისათვის, ჩვენი საამაყო მწერლის —ილია ჭავჭავაძის კლასიკურ ნაწარმოების „ოთარაანთ ქვრივის“ სცენური განსახიერება (ინსცენირების ავტორი გრ. ბერძენიშვილი) საპატიო და პასუხსაგებ ამოცანას წარმოადგენდა.

დამდგმელს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს პავლე ფრანგიშვილს, მხატვარ მიხ. აბჟანდაძესთან ერთად, შეუქმნია საინტერესო, კოლორიტული და დამაჯერებელი სპექტაკლი. მაყურებელი დიდი მღელვარებით ისმენს სცენიდან ილიას შთამაგონებელ სიტყვებს.

ოთარაანთ ქვრივის რთულ სახეს, მისი ხასიათის ორიგინალობას დამაჯერებლად გადმოსცემს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თამარ აბაშიძე. მის შესრულებაში მკვეთრად გამოსჭვივის ოთარაანთ ქვრივის ხასიათის მრავალმხრივობა, მისი მშობლიური სიყვარული და გულისხმიერება. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი სპექტაკლის უკანასკნელ სურათში, როდესაც იგი გიორგის სამარისაკენ მიემართება და გიორგის საფლავზე ლევს სულს. ამ როლის მეორე შემსრულებელმაც, მსახიობმა ა. დათებაშვილმა, მაღალი აქტიორული ხელოვნებით გახსნა სახე და მაყურებლის საერთო მოწონება დაიმსახურა. შესანიშნავი სცენური მეტყველება და გააზრებული თამაში ა. დათებაშვილის შემოქმედებით სიმაღლეზე მეტყველებს.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხ. ვაშაძე ოსტატურად გამოსახავს არჩილის კეთილშობილურ ხასიათს, მის უტოპიურ ოცნებას თავადებსა და გლეხებს შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენაზე. მსახიობი შესანიშნავი სცენური მეტყველებით შლის კესოსთან გაბაასების ეპიზოდს, ცოცხლად და ხაზგასმით წარმოგვიდგენს არჩილის მისწრაფებებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ სცენაში არ ჩანს არჩილის კლასობრივი შეზღუდულობა, რასაც მსახიობმა შემდეგში ყურადღება უნდა მიაქციოს.

მეტს მოველოდით ამ თეატრის ერთ-ერთი ნიჭიერი მსახიობის ა. ბარათაშვილისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი ძირითადად კარგად გადმოსცემს გიორგის ხასიათის მთავარ ხაზებს, მის ვაჟკაცურ ქცევას, გულჩახვეულობას, სიმკაცრეს და გულკეთილობას, — გადაჭარბებული პოზიორობით და არა ბუნებრივი მეტყველებით მსახიობი ვერ ახერხებს სრულყოფილად გამოკვეთოს გიორგის სახე.

დანარჩენ შემსრულებელთაგან მოწონებას იმსახურებენ: მსახიობი ა. მოსეშვილი (კესო), მსახიობი ნ. ქამუშაძე (მეწისქვილე სოსია), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ნუცუბიძე (პეტრე), მსახიობი მიხ. კუსიანი (მოჯამაგირე), მსახიობი ნ. ქუთათელაძე (ბიჭი).

დადგმას აქვს ზოგიერთი ნაკლიც: ზვინიდან გიორგის ჩამოვარდნის სცენის მიღმა გადატანით მაყურებლისათვის ძნელად შესაცნობი ხდება გიორგის დაღუპვის ამბავი; — გადაჭარბებულია სცენის სიღრმიდან ურმულის დაუსრულებელი სიმღერა (საკმარისია ერთი წამღერება) და სხვ.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, „ოთარაანთ ქვრივი,“ როგორც ამაღელვებელი სპექტაკლი, გულთბილად მიიღო მარგანეცის ქალაქის მაყურებელმა.

**ხ. წერეთელი**



# წიგნები და ავტორები

## „კოლხეთის ცისკარი“

კონსტ. ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ცისკარი“ მხატვრული მატიანეა საქართველოს გლეხკაცობის ცხოვრების იმ პერიოდისა, როცა საკოლმეურნეო წყობილების ცხოველმყოფელმა მზემ პირველი სხივები მიმოფინა, როცა კოლექტიურმა მეურნეობამ პირველად გაიდგა მძლავრი ფესვები. ეს დაუვიწყარი წლებია, ის წლები, როცა საკოლმეურნეო მოძრაობის ყველაზე ადრინდელ ენთუზიასტებს პირველი კვალი გაჰქონდათ ძველი სოფლის ყამირზე, როცა იფურჩქნებოდა პირველი ჯეჯილი საკოლმეურნეო მინდვრებზე.

რომანის ცენტრში დგას კომუნისტი ტარასი ხაზარაძის სახე. ის განასახიერებს პარტიის ნებას. პარტიამ მისცა მას ძალა გამხდარიყო მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უნარიანი და მარჯვე ხელმძღვანელი. ტარასი




ცოცხალი სახეა, ხორცშესხმული განსახიერებაა იმ ადამიანისა, რომელიც მთელი ძალღონის დაძაბვით იბრძვის ახალი, საკოლმეურნეო წყობილების გასამარჯვებლად. რომანის ფურცლებზე ჩვენს თვალწინ დგას მუდამ საქმიანი, მუდამ სოფლისათვის მზრუნველი ადამიანი. იგი ყოველთვის ადვილად პოულობს ადამიანის გულის გასაღებს. ავტორმა ტარასის სახით მოგვცა სულიერი სიმტკიცე, ის ფოლადისებური გაუტეხლობა, რომელიც კომუნისტს ახასიათებს მტერთან შეხვედრისა და შებრძოლების დროს.

კითხულობთ რომანს და რწმუნდებით: ტარასის ძლიერების წყარო ის არის, რომ იგი გულდადებით უსმენს პარტიის ხმას, ახორციელებს პარტიის ნებას. გავიხსენოთ ტარასი სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე, სადაც ის მიხვდება თავის შეცდომას და ნათლად გაერკვევა კულაკის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიაში; ის იდეურად და პოლიტიკურად შეიარაღებული ბრუნდება კონფერენციიდან. ტარასის ძლიერების წყარო ამავე დროს ხალხთან კავშირშია.

ახალი ადამიანის ზრდის პროცესი კ. ლორთქიფანიძემ შესანიშნავად გვიჩვენა და აქ გამოიხატა მისი, როგორც რომანისტის, მაღალი ოსტატობა. კ. ლორთქიფანიძემ თავისი რომანის სიუჟეტი მძაფრ კონფლიქტებზე ააგო. ახალი სოფლის ადამიანების ზრდის, წინსვლის პროცესი ნაჩვენებია იმ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ფონზე, რომელიც წინ უძღოდა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას. ტარასიმ კარგად იცის, საით მიდის ისტორია და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ისტორიის ზეაღმავალ პროცესს, გაუწმინდოს და გაუკაფოს გზა ახალს, ჩამოაცალოს მას ის ნარ-ეკალი, ის შხამიანი ბალახ-ბულახი, რომელიც იმ წლებში წინ ეღობებოდა სოციალიზმის გზაზე დამდგარ განახლებულ სოფელს.

რომანში განსაკუთრებულ ყურადღებას მექი ვაშაკიძის ცხოვრება იპყრობს. ავტორმა დაგვანახვა, როგორ გუბდება მექის სულში სიძულვილი ძველი ცხოვრებისადმი, შემდეგ ეს დაბეჩავებული, დაჩაგრული ბიჭი როგორ იმართება წელში, გრძნობს თავის ადამიანურ სიამაყეს. საუცხოო ოსტატობითაა გადმოცემული ეს გარდაქმნა მექის შეგნებისა.

რომანში ნაჩვენებია მთელი გალერეა სახეებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან გიორგი ჯიშკარიანი, კირილე მიქაძე, ბეჟან უშვერიძე; ესენი არიან გლეხკაცობის ძირითადი მასის წარმომადგენელნი, რომელნიც ნელნელა ფხიზლდებიან, მიიკვლევენ გზას წინ, ნათელი საკოლმეურნეო ცხოვრებისაკენ, თავს აღწევენ სიღარიბესა და კულაკურ კაბალას.

ახალი ცხოვრება სოფლად იბადებოდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. რომანი გვიხატავს საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ მებრძოლთა სახეებსაც. ესენი არიან სოფლის ბობოლა ბარნაბა საგანელიძე და მედუქნე ერემო პირტახია. რომანისტმა გვიჩვენა მათი მგლური ბუნება, ექსპლოატაციის ის ათასნაირად შენიღბული ფორმები, რომლებსაც ისინი მიმართავდნენ.

„კოლხეთის ცისკარში“ მწერალმა შეძლო ყოველი ეპიზოდი მტკიცედ ჩაექსოვა სიუჟეტში, ყოველი უბრალო მოვლენა აემაღლებინა ტიპიური და დამახასიათებლის დონემდე. ავტორი ხშირად უბრუნდება პოლიტიკური ცხოვრების მოვლენათა გამოსახვას, მაგრამ იგი ამ მოვლენებს ყოველთვის გვიჩვენებს არა მშრალად, არა გარეგნულად, არამედ ისე, როგორც ისინი გადატყდებიან ადამიანთა, კერძოდ, რომანის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ პრიზმაში. ის აქაც იცავს რეალიზმის უკეთეს ტრადიციას.

კ. ლორთქიფანიძე საუცხოოდ გადმოგვცემს გმირების შინაგან სამყაროს, ქმნის ეპოქის ტიპიურ ხასიათებს, იგი ამავე დროს პეიზაჟის კარგი ოსტატია. რომანში მოცემულია ბუნების განუმეორებელი სურათები, რომლებიც გვხიბლავენ თავისი ფერების ელვარებითა და სიზუსტით.

კ. ლორთქიფანიძის ამავე წიგნში მოთავსებულია „ბელორუსული მოთხრობები“. ამ ციკლში ავტორი ნათელი რეალისტური სახეებით გვიხატავს მოძმე ბელორუსი ხალხის თავდადებულ ბრძოლას სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს „მოგზაური“—ეს ბრწყინვალე შედევრი ქართული პროზისა, რომელშიაც ავტორმა ასახა ყრმა სოსო ჯუღაშვილისა და ახალგაზრდა მაქსიმ გორკის პირველი შეხვედრა გორში.

ნაწარმოებთა ამავე კრებულში წარმოდგენილია კ. ლორთქიფანიძის რჩეული მოთხრობები სამამულო ომის თემაზე—„უსახელო მაღლობზე“, „მაისის დილა“, „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, „ერთხელ ღამით“ და სხვ.

„კოლხეთის ცისკარი“ ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველს იმ რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზის შესახებ, რომელიც გაიარა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ. ეს წიგნი— ჩვენი ლიტერატურის თვალსაჩინო გამარჯვებაა.

**გ. ნ.**

## მისალმებათა ნაკადი

სახელგამმა 1952 წელს გამოსცა რევაზ მარგიანის ლექსთა კრებული „მისალმებათა ნაკადი“. დიდი მნიშვნელობა აქვს სათაურს. სათაური ხშირად უვერტიურასა ჰგავს, მასშია გახსნილი მთელი ნაწარმოების აზრი და იდეა. ასეა აქაც. როცა თვალს ან ყურს მოჰკრავ სიტყვებს: „მისალმებათა ნაკადი“, თვალწინ ადამიანთა კეთილდღეობაზე ფიქრში გაჭაღარავებული მზეკაცი დადგება; მახლობელი, საყვარელი, თბილი. ყოველი საქმე, რომელიც ბედნიერების, თავისუფლებისა და გამარჯვების შენაკადია, — ერთ მისამართს ატარებს. ამ მისამართით იგზავნება ამბავი ბრძოლასა და შრომაში გამარჯვებისა, ბუნებისა და მტრის ძლევისა. დღისით და ღამით, ფოსტას და ტელეგრაფს, დღის სინათლესა და მზის სხივებს ყველაზე ძვირფასი ბარათები ბელადთან მიაქვთ.

„ეს ჩემი ლექსიც იქ გაფრინდება,
რადგან გული მაქვს ბრძმედივით ცხელი,
სადაც მზედ ბრწყინავს ხალხთა დიდება
და სადაც ცხოვრობს ბელადი ჩვენი“.

რევაზ მარგიანი უდავოდ ნიჭიერი პოეტია. ათ წელზე მეტია ქართულ პოეზიას სილამაზესა და ძლიერებას მატებს მისი ორიგინალური ხმა. იშვიათად ყოფილა რესპუბლიკის ცხოვრებაში ახალი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არ აეღელვებინოს იგი და ლექსით არ აემეტყველებინოს.

მისი ლექსი წრფელია და თბილი, ძალოვანი და მსუბუქი. სახეები ნათელი და დახვეწილი არიან. მისი ხმა ხან მღელვარე და ვაჟკაცურია, ხან კი ლირიული და მშვიდი, იმისდა მიხედვით, თუ რა მოვლენას ჩაუდგამს ხოლმე ენას.

მოსკოვი — მშვიდობის დილა; მოსკოვი — თავისუფლების ბურჯი. ასეთია ჩვენი დედაქალაქი სინამდვილეში. ასეთია იგი მარგიანის ლექსებშიც. ყოველი საგნის დანახვა შეიძლება სხვადასხვანაირად, სხვადასხვა მხრით. პოეტის გამარჯვებაც ის არის, თუ ჩვენთვის ნაცნობ საგანს ისეთი მხრით დახატავს, ისეთი თვალით შეხედავს, რომ ახალი მშვენიერება და სილამაზე ვიგრძნოთ, აღმოვაჩინოთ. მოსკოვისა და გორის — ამ უახლოესი და საამაყო ქალაქების ურთიერთობის ხატვა, პოეტს საშუალებას აძლევს თავისი ნიჭის გაშლისთვის.

საბჭოთა ხალხი ყოველ გამარჯვებას პარტიის ისტორიის ნაწილად, მის გამოსხივებად თვლის. მარგიანს შესანიშნავი ოსტატობით მოუქსოვია პარტიის ისტორიულ ქარგაზე ჩვენი სამშობლოს წარმატებების და მიღწევების ამბავი. რევოლუციის ძლევამოსილად დამთავრება და ტრიუმფალური სვლა სოციალიზმისაკენ, სამამულო ომი და მისი დაგვირგვინება, როგორც კომუნიზმის ძლიერებისა და მსოფლიოში მისი გამარჯვების ღაღადი.

კრებულში შესულია განყოფილება: „აქა მშვიდობა“. ავტორი ხმას იმაღლებს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. რომ მეტი ძალა მისცეს მშვიდობის თემაზე დაწერილ ლექსებს, პოეტი მიმართავს იმ მოვლენების აღწერისა




და დახატვის გზას, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ სამამულო ომთან, და მათი მოგონებით ზრდის ემოციურობასა და შთაბეჭდილებას. ასეთია ლექსი: „ელენე კოშევაია — ოლეგის დედა“, და სხვ.

პოეტი თავისი სიმღერის საგნად აქცევს კორეელ ხალხს, ჩინელ და კორეელ პროგრესულ მოღვაწეებს. იგი უმღერის ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას. უმღერის და ამხნევებს ინტერვენტების წინააღმდეგ მებრძოლ მამაც კორეელებს.

კრებულში უხვადაა ლექსები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყვავილებისადმი, — ნორჩი თაობისადმი უძღვნია ავტორს. რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ შესანიშნავ სტრიქონებში, რომელიც ბელადისადმია მიძღვნილი:

„სულ შენს სურათს თავს ევლება
და შენს ნახვას გულით ნატრობს.
შენი მზის ქვეშ დაიბადა,
შენს ღიმილში გაიზარდოს“.

რევაზ მარგიანი თავისი პოეზიის იდეურობით, მაღალმხატვრულობითა და ეპოქის გრძნობით სამართლიანად დგას მოწინავე საბჭოთა პოეტების რიგებში. მისი წიგნი ნათელი დადასტურებაა ავტორის ნიჭისა და დიდი პოეტური პოტენციისა. ქართველი მკითხველი მისგან ახალ, კიდევ მეტად მაღალხარისხოვან ნაწარმოებებს მოელის.

**ნ. ჩხეიძე**

# ჭადრაკი

## ლამაზი ეტიუდი

კაცობრიობის გენიოსი ვ. ი. ლენინი დიდი სიყვარულითა და ყურადღებით ეკიდებოდა რუსული საჭადრაკო სკოლის ყოველ ახალ მიღწევას. არჩევდა და ხსნიდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ ეტიუდებსა და ამოცანებს.

1910 წელს დ. ი. ულიანოვისადმი გაგზავნილ წერილში დიდი ბელადი წერდა:

«... აი დღეს «რეჩში» ვნახე ეტიუდი, რომელიც უცბად ვერ გადავწყვიტე და რომელიც ძალიან მომეწონა· მდგომარეობა ასეთია: თეთრები: მფg3, კe 7, მg1 და პაიკები: d3 და h5, შავები: მფe3 და პაიკები: h7, d5, a2 (ე. ი. უკანასკნელს ერთი სვლა აკლია ლაზიერად გადაქცევამდე) თეთრები იწყებენ და იგებენ. ლამაზი რამ არის!»

ეტიუდი, რომელიც ლენინს მოეწონა, ეკუთვნის რუსული საჭადრაკო კომპოზიციის ოსტატებს—ძმებს პლატოვებს. ამ ეტიუდმა პირველი პრიზი მიიღო 1909 წელს გამართულ საერთაშორისო კონკურსზე.



თეთრები იწყებენ და იგებენ

1. კe7—f6  d5—d4

2. მg1—e2!  . . . . სწორედ ასე! რადგან სხვა გაგრძელებას ყაიმისაკენ მივყავართ ა. მ. 2. მf3? a1ლ 3. კ:d4+ ლ:d4 4. მ:d4 მფ:d4 5. მფ.g4 მფ:d3 6. მფ.g5 მფe4 7. მფh6 მფf5 8. მფ:h7 მფf6 და თეთრები მხოლოდ ყაიმს უნდა დასჯერდნენ.

2. . . . a2—a1ლ

3. მe2—c1! ლa1—a5

თუ 3.... მფd2 4. მb3+ ან 3.... h6 მაშინ 4. კe5

4. კf6:d4+ მფe3:d4

5. მc1—b3+ და იგებენ.

რატომ მოეწონა ეს ეტიუდი ლენინს? რა თავისებურებით ხასიათდება იგი, რომ მკაცრი შემფასებლის მაღალი გემოვნება დააკმაყოფილა? უპირველეს ყოვლისა ძმები პლატოვების ეტიუდი გვიზიდავს ფორმის ეკონომიურობით—დაფაზე მცირე რაოდენობითაა ფიგურები, მაგრამ თვითეული მათგანი მონაწილეობს დაძაბულ ბრძოლაში და ასრულებს ზუსტად განსაზღვრულ როლს, რაც აუცილებელია თავდაცვისა და გამარჯვებისათვის; გარდა ამისა, ეტიუდი გვხიბლავს მოქმედების ჰარმონიულობით—თვითეული ფიგურა ორგანულადაა დაკავშირებული სხვა ფიგურების მოქმედებასთან და ხელს უწყობს მოქმედების განვითარებას. ვ. ი. ლენინის მიერ მოწონებული ეს ეტიუდი ყურადღებას იპყრობს ბუნებრიობით და ეტიუდში შექმნილი მდგომარეობის სიცოცხლისუნარიანობით. აღსანიშნავია ავტორების ჩანაფიქრის ორიგინალობა. იმ სვლებს, რომლებიც გვეჩვენება სწორ, შაბლონურ სვლებად, არ მივყავართ გამარჯვებისაკენ; მხოლოდ შაბლონისათვის გვერდის ავლით და მოცემულ მდგომარეობისადმი შემოქმედებითი მიდგომით, მოცემულ პოზიციაში ფარულ შესაძლებლობათა გამოვლენით ვაღწევთ ჩვენ სწორ გადაწყვეტას, რომელიც ერთი შეხედვით იმდენად მოულოდნელია, რომ არაჩვეულებრივ შემოქმედებით აღმოჩენად გვეჩვენება. ეტიუდი ამოსახსნელად იმდენადვე ძნელია, რამდენადაც ორიგინალურია ავტორების ჩანაფიქრი იდეა·

ლენინმა ერთბაშად ვერ გადაწყვიტა ეტიუდი და ეს მას მოეწონა კიდეც. გადაწყვეტის ძიებამ, აზრისა და ნებისყოფის დაძაბვამ, რომელსაც ერთადერთი სწორი გზით მივყავართ გამარჯვებისაკენ, არ შეიძლება ღრმა კმაყოფილება არ აგრძნობინოს გონებრივი სპორტის მოყვარულს. შავები, გაიყვანენ რა პაიკს ლაზიერად, მატერიალურად თითქოს უფრო ძლიერი ხდებიან, ვიდრე თეთრები. მიუხედავად ამისა, თეთრები მაინც იგებენ იმიტომ, რომ მათ დაძაბული ბრძოლის შედეგად მონახეს გამოსავალი მეტად მძიმე მდგომარეობიდან. თეთრები რომ შავებზე მატერიალურად უფრო ძლიერი ყოფილიყვნენ, ან შავებს რომ არ ქონოდათ თავდაცვის საშუალება და სვლების არჩევანი, არც ის მხატვრულობა გვექნებოდა, რომლითაც ასე ძლიერ გვხიბლავს ეს ეტიუდი. მისი ამოხსნისას ჩვენ ღრმა ესთეტიკურ კმაყოფილებას განვიცდით, რადგან მოწმენი ვხდებით იმისა, თუ დაძაბულ ბრძოლაში ნათელი იდეა როგორ იმარჯვებს უხეშ ძალაზე; ამ ლაკონიურ ეტიუდში გამარჯვების მხოლოდ ერთი გზა არსებობს, რომელიც ითვალისწინებს მე-3 სვლაზე მხედრის ეფექტურ, მოულოდნელ შეწირვას.

**გ. ნადარეიშვილი.**

# კროსვორდი



### ჰორიზონტალურად:

5. მოქმედების სისწრაფე. 7. პატარა ქალაქი. 8. ერთი წყვილთაგანი. 9. აღმოსავლური სათამაშო. 10. ადრიანი სალამო. 11. გამომწვარი ქვანახშირი. 15. მდინარე ავსტრალიაში. 16. სითბოს ერთეული. 18. ფულის ერთეული დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 21. რომის პაპის სასახლე და რეზიდენცია. 24. საფრანგეთის საზოგადო მოღვაწე. საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი. 26. მ. გურიელის ლექსი. 29. ინგლისისა და შოტლანდიის ძველი სახელწოდება. 30. მდინარე საქართველოში. 31. ბერძნული ანბანის ასო. 32. ძველი საბერძნეთის მითოლოგიური მუსიკოსი. 34. ისეთი თვისების გამოჩენა შთამომავლობაში, რომელიც ახასიათებდა შორეულ წინაპრებს. 37. სტ. ცვეიგის ნაწარმოები. 38. დამოუკიდებელი პიროვნება. 41. ტერმინი იურისპრუდენციაში. 42. ხეობა საქართველოში. 45. მინისებრი ფოროვანი მინერალი. 48. გალვანური ელემენტის დადებითი პოლუსი. 50. ჩვილი გარეული ცხოველი. 51. მამაკაცის სახელი. 52. მიწის საზომი ინგლისსა და ამერიკაში მეტრულ საზომთა შემოღებამდე. 53. დიდი ზომის ქვა. 54. საერო ან სასულიერო ხელისუფლის მოადგილე არაბეთში.

### ვერტიკალურად:

1. მეცნიერება მცენარეთა შესახებ. 2. გაუტეხავი მიწა. 3. წრე, რომლის ცენტრიც მოთავსებულია სხვა წრის წრეხაზზე. 4. სურნელოვანი ფოთლოვანი ხე. 6. დაწყვილებული ფლოქვი. 10. ჰაერის ტალღებით გამოწვეული ხმიანობა. 12. კარავი. 13. ტრანსპორტის სახეობა. 14. უარყოფითი ნაწილაკი ბერძნულ ენაში. 17. ყვითელი საღებავი. 19. საჯარისო შენაერთი 20. სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა. 22. უღრანი ტყე ციმბირში. 23. გერმანელი ფილოსოფოსი. 24. თევზეული. 25. სახელმწიფო აზიაში. 27. მწერი. 28. გამოუწვავი აგური. 33. ქიმიური ელემენტი. 35. ტრიალი მინდორი. 36. გარეული ცხოველი. 39. მუსიკალური ნაწარმოები, შედგენილი ორი ხმისათვის ან ორი ინსტრუმენტისათვის. 40. სპეციალური ნებართვა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. 43. სახელმწიფო აფრიკაში. 44. ცხიმოვანი ნივთიერება, გამოყენებული მედიცინასა და კოსმეტიკაში. 46. დიდი რუსი მწერალი. 47. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა. 49. თვალის ბუდე.

## ჟურნალ „დროშის“ № 12-ში მოთავსებულ კროსვორდის პასუხი.

### ჰორიზონტალურად:

1. სარდაფი. 5. კობალტი. 6. ნიტროზა. 8. ნარგილე. 10. ლესინგი. 12. ზოოლოგი. 13. ბანგი. 14. სოფია. 15. არაბეთი. 16. პაროდია. 18. მალაზია. 21. ნამგალი. 25. ინჟინერი. 27. გერმანია. 29. ბარიტონი. 31. კოალიცია. 34. ამირანი. 35. არტერია. 37. მინდორი. 39. სეპტიმა. 41. ცაიში. 42 რიქშა. 43. ცანგალა. 46. ნეაპოლი. 47. რეკლამა. 48. იმპორტი. 49. ტურნირი. 50. ამან ათი.

### ვერტიკალურად:

1. სილეზია. 2. რონდო. 3. ალეკო. 4. ინგლისი. 5. კანტატა. 7. ალიტეტი. 9. რობსონი. 11. ნიაგარა. 16. პაი. 17. იდეოლოგი. 19. აგრეგატი. 20. ანა. 21. ნიბლია. 22. მარანი. 23. არსენა. 24. იგრეკი. 26. ნანა. 28. ინდი. 29. ბზა. 30. ინერცია. 32. ინდიანა. 33. არი. 36. რეგენტი 38. როზ-მარი. 39. სიცილია. 40. არარატი. 44. ნორმა. 45. ანაპა.

**გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი.** ქანდაკება იაკობ ნიკოლაძისა.

**მეოთხე გვერდზე: ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლე. პიონერები ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელ კაბინეტში.** ფოტო ო. თურქიასი.

რედაქტორის მაგიერ—ვ. ჭელიძე

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/I-53 წ. გამომც. № 298 ნაბეჭდი ფურც. 3½ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 966 უე 00405

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს საჰაერო-საბაგირო გზა.

ფოტო ო. თურქიასი.

ფასი 3 მან.

1/ც 45/96.



ეროვნული ბიბლიოთეკა